კულტურა, ისტორია, სპორტი და სხვა

„დილა ამ გაზეთის გადაშლით დაიწყეთ...“

# საქართველოს რესპუბლიკა

ორშაბათი 30 ივნისი, 2003 წელი

№170 (4549)

გაზეთი დაარსებულია 1918 წლის 25 ივლისს, აღდგენილია 1990 წელს. ფასი 50 თეთრი.

სნსკ
საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია
Georgian International Oil Corporation

შპს „საქართველოს რკინიგზა“
The Georgian Railway Ltd

თვალსაწიერი

## ციხევ, მოგიკვდეს ამშენებელი...

ზოგადად რომ ვთქვათ, საზოგადოებაში ხაზგასმულად არის გამოკვეთილი ორი პოლუსი: ვინც გარბის და ვინც მისდევს. ანუ, ვისაც იჭერენ (ან დასაჭერია, მაგრამ ვერ იჭერენ) და ვინც იჭერს (ან უნდა დაიჭიროს, მაგრამ ვერ იჭერს), ანუ დამნაშავენი და პოლიციელები.

დამნაშავის დაჭერა კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მასთან ყველა ანგარიში გასწორებულია. სულაც არა! დაჭერის შემდეგ მეორე ეტაპი იწყება — დამნაშავის იზოლაცია და ამ იზოლაციის უზრუნველყოფა, ანუ დაცვა. რასაც ერთობლიობაში პენიტენციური სისტემა იქმს.

ეს სისტემა იმისთვის არის მოწოდებული, რომ დამნაშავემ, ხატოვნად რომ ვთქვათ, თავისი დანაშაული სრულად, ე. ი. იმ ზომა-წონით ზღოს, რა ზომა-წონითაც დააშავა.

მაგრამ, მოგეხსენებათ, მარტო სისხლის სამართლის კანონთა კოდექსის შექმნით და დამნაშავეთათვის შესაბამისი მუხლების მიყენებით საქმე არ მთავრდება. დამნაშავემ ციხე უნდა ხეხოს (დამნაშავის შრომით აღზრდის თეორია, ვინ იცის, იქნება სწორიც არის, მაგრამ ჩვენს ღატაკ ქვეყანაში პატიმრისთვის კი არა, აკადემიკოსისთვის (ნამდვილი აკადემიის აკადემიკოსზე მოგახსენებთ) არ იშოვება სამუშაო. ამიტომ ჩვენში ჯერჯერობით სწორედ რომ დასჯას ეკუთვნის აღმზრდელობითი როლი.

მაგრამ თუ იმის თავიც არ გვაქვს, რომ დამნაშავე საპყრობილეში ან კოლონიაში იზოლაციის მეთოდით მაინც „აღვზარდოთ“, მთლად წასული ყოფილა ჩვენი საქმე...

მოგეხსენებათ, ათადან ბაბადან პატიმრები გარბიან — როგორც კი საშუალება მიეცემათ, ჰაიდა! მაგრამ მსოფლიო პრაქტიკა გვაკვალიანებს, რომ წარმატებული გაქცევა მაინც იშვიათია.

ბედნიერი, სრული გამარჯვებით დაგვირგვინებული გაქცევა მხოლოდ მაშინ ხდებოდა, როცა მასზე ბევრს ფიქრობდნენ და როცა თანდათანობით ამზადებდნენ შიგნიდანაც და გარედანაც (რა თქმა უნდა, შემთხვევით გაქცევაც ხდებოდა და ხდება). ამგვარად გაიქცა ჰერცოგი ბოფორი ვენსენის ციხე-სიმაგრიდან, აბატი დიუბუკუა — ფორტ-ლევეკიდან, ხოლო ლატიუდი — ბასტილიიდან.

იხ. მე-2 გვ.

მეზობლებთან

## «ნაყოფისაგან საცნაურ არს სიკეთე ხისაი»



იშხანი. IX საუკუნე დღეს.

### ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ქართველ მეცნიერთა ექსპედიციის კვალზე

ჩუქურთმაში ვაზი ტირის ქარაგმულად,
სიმღერები ლაზის ხაით დაკარგულა?..

შოთა ნიშნიანიძე.

დაკარგულია სიმღერები, დაკარგულია ფრესკები, ჩუქურთმები, სახელები... ბევრი რამ არის ჩაკარგული ისტორიის მიწამიყრილ გარდასულობაში.

ერთი ასეთი ამბავიც დაკარგულა:

დასასრული. დასაწყისი იხ. „სრ“ № 152, 153, 159, 163.

იხ. მე-3-4 გვ.

გუშინ





## „თბილისელი“ ანგარიშს აბარებს

გუშინ თბილისში, დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა საზოგადოება „თბილისელის“ შეკრება. გამომსვლელებმა ასახეს ის სიტუაცია, რომელიც ქალაქში არის შექმნილი, სიყვარულისკენ და თანადგომისკენ მოუწოდეს დედაქალაქის მკვიდრთ.

შეკრებას დედაქალაქის საზოგადოებრიობის, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად მთავრობის წევრებიც დაესწრნენ. სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

ვრცელ ანგარიშს „თბილისელის“ შეკრების შესახებ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

დაჯილდოება

## საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება

2003 წლის 29 ივნისი ქ. თბილისი

### ზურაბ აზმაიფარაშვილის ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ვაჟთა ჭადრაკის განვითარებაში, მის პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, ჭადრაკში ევროპის ჩემპიონატზე თამაშისას გამოვლენილი ვაჟკაცობის, შეუპოვრობისა და მიზანსწრაფვისათვის, ნაყოფიერი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტი, ფიდეს ვიცე-პრეზიდენტი, ქართული ჭადრაკის ისტორიაში პირველი ევროპის ჩემპიონი, საერთაშორისო დიდოსტატი **ზურაბ აზმაიფარაშვილი** დაჯილდოვდეს ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.

ედუარდ შევარდნაძე.

ისტორიის ფილოსოფია

## გეორგიევსკის ტრაქტატი და ქართული სახელმწიფოს მომავალი

წარსულის პოლიტოლოგიური გააზრება

იხ. მე-11 გვ.

რეგულარული, კვირაში ერთხელ, სახაზო გემით ტვირთების კონტეინერებით გადაზიდვა მარშრუტით:

ფოთი — ოდესა (ილიჩოვსკი) — ფოთი

ინფორმაციის მიღება შესაძლებელია:

**თბილისი** — (995 32) 227223, ფაქსი 221129,
Email: barwilt@access.sanet.ge;
**ფოთი** — (995 393) 71681/82, ფაქსი 71685/86,
Email: elglch@barwilpti.com.ge;
**ოდესა (ილიჩოვსკი)** — (380 482) 345912, 346027, ფაქსი 346141, Email: barwilt.odessa@barwil.com;
**კიევი** — (38044) 229 8539, ფაქსი 228 3036,
Email: aosadchiy@barwil. kiev.ua.

სულიერება

## სამების ტაძარი — ერთიანი საქართველოს სიმბოლო

ყოველ დილით, სამუშაო კაბინეტში შემოსვლისას, თვალს შევავლებ ხოლმე დიდი ტაძრის აღნაგობას.

ეს მშენებლობა ჩვენი ცხოვრებისა და სახელმწიფო მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ვაღიარე.

,სამების დიდი ტაძარი ქართული მიწის მადლად და სიკეთედ იქცევა.

იგი განასახიერებს და სულიერად შეკრებს ასიათასობით ადამიანს, ვისაც საუკუნეთა განმავლობაში უღვაწია, ვისაც სისხლი დაუღვრია და ლოცვა აღუვლენია სამშობლოს გადარჩენისა და ბედნიერებისათვის... გლობალიზაციის მკაცრ ეპოქაში სამების დიდი ტაძარი იქცევა იმ წმინდა კელაპტრად, რომელიც პლანეტის ნებისმიერ წერტილში მცხოვრებ ქართველს მუდამ სულს გაუთბობს და სამშობლოსკენ მოუხმობს...“

ედუარდ შევარდნაძე.

იხ. მე-6 გვ.

## დაჯილდოება

### საქართველოს პრეზიდენტის

# განკარგულება

2003 წლის 29 ივნისი ქ. თბილისი

**ილია ქევხიშვილის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ჭიდაობის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის, საქართველოს სპორტული ღირსების მაღალპროფესიულ დონეზე დაცვისათვის, ნაყოფიერი სამწვრთნელო-პედაგოგიური და ორგანიზაციული საქმიანობისათვის, ქვეყნის ჩემპიონი და საერთაშორისო ტურნირების მრავალგზის პრიზიორი, საქართველოს ვეტერან მოჭიდავეთა კავშირის კონსულტანტი თავისუფალ ჭიდაობაში **ილია ქევხიშვილი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

### საქართველოს პრეზიდენტის

# განკარგულება

2003 წლის 29 ივნისი ქ. თბილისი

**ჯალალ ალიევის ღირსების ორდენით დაჯილდოების შესახებ**

ქართულ-აზერბაიჯანული და ორი ქვეყნის მეცნიერთა ურთიერთობების გაღრმავებაში შეტანილი თვალსაჩინო წვლილისათვის, თანამედროვე ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციის ხელშეწყობისათვის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული დახმარების გაწევისათვის მეცნიერი-სელექციონერი, აზერბაიჯანის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ჯალალ ალიევი** დაჯილდოვდეს ღირსების ორდენით.

**ედუარდ შევარდნაძე.**

## კვირა

**რუბრიკას უძღვება ზურაბ ოიკაშვილი**



**— რით იყო მნიშვნელოვანი გასული კვირა ქვეყნისთვის და თქვენთვის პირადად? — „კვირის" ტრადიციულ შეკითხვას უპასუხებს საქართველოს სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ალეკო ხომერიკი.**

### ქვეყნისთვის

— ვფიქრობ, მრავალმხრივ მნიშვნელოვანი იყო უკრაინის კულტურის დღეების გამართვა თბილისში. უწინარესად, უკრაინა საქართველოს ერთ-ერთი მთავარი მეგობარი ქვეყანაა, უკრაინელი ხალხი კი, ქართველების მოძმე ხალხია. უკრაინისგან გაწეულ დახმარებას სათანადოდ აფასებს საქართველო. ასეთი კულტურული ურთიერთობების მომძლავრება ცისარტყელასავით არის, რომელიც გამოდარებას მოასწავებს. ასეთ სასარგებლო საქმეს ხელშეწყობა სჭირდება, რათა მან გაგრძელებაც ჰპოვოს და მასშტაბურად აისახოს ქვეყნის განვითარებაზე. მიმაჩნია, რომ ზოგჯერ უკეთესია პოლიტიკური დიალოგის წინმსწრები კულტურული დიალოგი იყოს, რადგან ქვეყნებისა თუ ცივილიზაციების გადამრჩენი ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორი სწორედ კულტურაა.

სხვათა შორის, სომხეთის პრეზიდენტის რობერტ ქოჩარიანის თბილისში ვიზიტსაც ხომ წინ უსწრებდა ერევნის გაბრიელ სუნდუკიანის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის გასტროლები?! ამასთან, ცნობილი სომეხი ტენორის გეღამ გრიგორიანის ხელმძღვანელობით ახალგაზრდა სომეხი მომღერლების შარშანდელი თბილისური გასტროლების პასუხად, მედეა ამირანაშვილის თაოსნობით ერევანში ჩვენმა ახალგაზრდა ვოკალისტებმა გამართეს გასტროლი გასულ კვირას.

ასეთი ურთიერთობები კი, ვფიქრობ, ქვეყნებს შორის მეგობრობის განმტკიცების ერთ-ერთი მთავარი ხელშემწყობია. სომხეთთან და უკრაინასთან მეგობრობა კი, ჩვენი ქვეყნისთვის ძალზე მნიშვნელოვანია.

### ჩემთვის პირადად

— გამოჯანმრთელებას ვიწყებ და შესაბამისად, აქტიურად ვიწყებ სიმღერასაც. გასულ კვირაში ვიგრძენი, რომ შევდივარ ჩვეულ ფორმაში.

მოგეხსენებათ, რომ პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ვეწევი და ჩემი ერთ-ერთი რჩეული „აღსაზრდელი" ცნობილი ქართველი მომღერალი თემურ წიკლაურია, რომელიც სერიოზულად დაკავდა საოპერო ხელოვნებით. სწორედ გასულ კვირაში თემურმა დაასრულა ამონასროს (ვერდის „აიდა") პარტიის შესწავლა და ეს პარტია სრულად იმღერა, რაც, ცხადია, ჩემთვის ძალზე სასიამოვნო, სასიხარულო და საამაყოა.

### ახალი საგუშაგოები საზღვარზე

რუსეთ-საქართველოს საზღვარზე გაიხსნა დამატებითი სასაზღვრო საგუშაგოები, უთხრა ჟურნალისტებს საქართველოს ელჩმა რუსეთში ზურაბ აბაშიძემ. როგორც მან აღნიშნა, ახალი საგუშაგოები ამოქმედდა საზღვრის ჩეჩნეთ-ინგუშეთის მონაკვეთზე, მათ შორის დაღესტნის მიმართულებით. ელჩმა ამასთან განაცხადა, რომ ამ მონაკვეთზე კვლავ ახორციელებენ კონტროლს ეუთოს მეთვალყურენი. როგორც ზ.აბაშიძემ თქვა, საზღვრების გამაგრება ამ მიმართულებით გამოწვეულია იმით, რომ შესაძლოა გააქტიურდნენ საზღვრის დამრღვევები რუსეთის მხრიდან. როგორც ზ.აბაშიძემ აღნიშნა, ამჟამად სიტუაცია რუსეთ-საქართველოს საზღვარზე მშვიდია.

სადღეისოდ, როგორც ზ. აბაშიძემ თქვა, საქართველოს სასაზღვრო ჯარების რაოდენობა სამას კაცზე მეტს შეადგენს. მან განაცხადა, რომ გრძელდება მუშაობა ამ რაიონში მოკალათებულ ბანდიტთა ლიკვიდაციისათვის ელჩმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ ამ რაიონში ბანდიტური ფორმირებების თავმოყრაზე ლაპარაკი სინამდვილეს არ შეესაბამება.

### შეიქმნა საზოგადოების ქართული განყოფილება

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტში გაიმართა საერთაშორისო სემინარი თემაზე „სამეცნიერო კავშირების დამყარებისა და თანამშრომლობისათვის საჭირო ცოდნისა და გამოცდილების შეძენა". იგი მოაწყო ამერიკული ორგანიზაცია „sigma-XI"-ს ახლად ჩამოყალიბებულმა ქართულმა სამეცნიერო ორგანიზაციამ — „sigma-XI — საქართველომ", აიოვას სახელმწიფო უნივერსიტეტის (აშშ) „ქალები მეცნიერებასა და ინჟინერიაში"- საერთაშორისო პროგრამასთან ერთად.

ერთობლივი სემინარის მსვლელობისას ოფიციალურად წარადგინეს ქართული განყოფილება და მას საპატიო ლიცენზია გადასცეს. „sigma-XI — საქართველოს" შექმნის იდეის ავტორი და სულის ჩამდგმელია ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი ია ქვანია. სწორედ იგი აირჩიეს ორგანიზაციის პრეზიდენტად.

**ინფორმაციები მოგვაწოდა საქინფორმმა.**

## თვალსაწიერი

(პირველი გვერდიდან)

# ციხევ, მოგიკვდეს ამშენებელი...

თუმცა ასე შორს რომ არ წავიდეთ, „ჩვენი, მშობლიური გაქცევებიც" უხვად გვაქვს. მაგალითად, გარედან მიწისქვეშა გვირაბი გათხარეს ქუთაისის ციხის სიკვდილმისჯილთა საკნამდე და 1907 წლის 25 სექტემბერს 27 პატიმარმა დააღწია თავი სატუსაღოს და სახრჩობელას. ჩამოსაკიდებლად გამზადებული კამოც გარედან დახმარებით ორჯერ გაიქცა მეტეხის ციხიდან (1905 და 1911 წ.წ.).

მაგრამ ქუთაისში გვირაბს ჭიათურიდან სპეციალურად ჩაყვანილ მაღაროელებს ათხრევინებდნენ რევოლუციონერები. კამოს გაპარებაც დიდ შრომად დაუჯდათ ბოლშევიკებს.

დღეს კი პირდაპირ საარაკო ამბები ხდება. 20-30-მეტრიან გვირაბს ისე გათხრიან ციხეში თუ კოლონიაში, როგორც თაგვი — ყველს. კაციშვილი ვერაფერს იტყობს. აგერ ორიოდ დღის წინათ კიდევ ერთ „გვირაბგამყვანს" წაასწრეს ქსნის კოლონიაში „შრომის პროცესში" (მაგრამ წასწრების ასეთი იღბლიანი შემთხვევა იმდენად იშვიათია, რომ განზოგადებად არ ღირს).





ხან რუსთავის კოლონიიდან გაძვრნენ პატიმრები, ხან ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოდან. ამ ბოლო ერთ თვეში პირდაპირ დასტა-დასტა გავიდნენ თბილისის საპყრობილედან, ახლა კი (გუშინწინ) — ავჭალის მკაცრი რეჟიმის კოლონიიდან.

მოკლედ, მას შემდეგ, რაც გიგლა აგულაშვილი სასჯელაღსრულების დაწესებულებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელად დანიშნეს თვენახევრის თუ ორი თვის წინათ, ლამის ყოველ კვირას ტელეეკრანზე ჰყავთ აყუდებული შაბათის გლახასავით. ბატონი გიგლა უნარიანი, ინიციატივიანი, მებრძოლი კაცია, მაგრამ ის კი არა, „გულაგის" ლეგენდარული უფროსი, ცნობილი ჩეკისტი კოგანიც რომ გააცოცხლო და ჩვენი ციხე-კოლონიები ჩააბარო, შეიძლება ერთ თვეში ტყვია იკრას შუბლში.

იმიტომ, რომ საქმე ხელმძღვანელობაში კი არა, ჩვენი პენიტენციური სისტემის უსუსურ მდგომარეობაშია, რომლამდეც იგი მოუფიქრებლად, ნაჩქარევად ჩატარებულმა „რეფორმამ" მიიყვანა.

„რეფორმა" — რეფორმისთვის... რამდენმა ასეთმა სულსწრაფულმა, უხერხემლო „გარდაქმნამ" გვადინა ცხვირიდან ძმარი და ჭკუა მაინც ვერ ვისწავლეთ.

სოფლის სალაყბოებზე აკრეფილი 80-ლარიანი მცველების ნაცვლად დაცვის კოშკურებზე ერთი სწორედ ეს „რეფორმატორები" უნდა დააყენო და აკანკალებულ ხელებში ავტომატები დააკავებინო...

ძალიან კი გვინდა განათებულ და დაწყობილ-დალაგებულ ევროპას ვგავდეთ, მაგრამ ევროპას რომ ამოვეტუზეთ მხარში და მის კვალდაკვალ გავჭენდით, იმას რატომ აღარ ვფიქრობთ, ევროპა ისარივით გაფრენილ გზაზე რომ მისრიალებს, ჩვენ კი ოღროჩოღროზე ბორძიკით გადაგვიტყავდა ფეხები.

დიახ, ბატონო, მსოფლიოს მივბაძეთ და შინაგან საქმეთა უწყებიდან გამოვიყვანეთ პენიტენციური სისტემა, მაგრამ ის დაგვავიწყდა, რომ ამ სისტემას დაცვა-დარაჯი სჭირდება, ამ დარაჯს კი — ხელფასი. მერედა რომ არ აქვთ ეს ხელფასი?

მე არ ვიცი, საიდან მოდის, რამდენად მართებულია აზრი, შინაგან საქმეთა სამინისტრო სპეციალურად უწყობს ხელს ციხე-კოლონიებიდან ასე მასობრივად გაქცევას, რათა როგორმე კვლავ თავის წიაღ დაიბრუნოს ეს „კარმუშკაო", ანუ, ქვეყანას დაანახოს, თავისი ძალებით და ხარჯებით იუსტიციის სამინისტრო მის მოვლა-პატრონობას ვერ სწვდებაო.

შეიძლება ამაში მართლაც არის სიმართლის მარცვლები. არ ვიცი! მაგრამ ის კი ვიცი, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. ამ ბოლო რამდენიმე კვირაში 25 უაღრესად საშიშმა დამნაშავემ გააღწია გარეთ და რამდენიმე მათგანმა, სანამ ბოლოს მოუღებდნენ, რა სისხლის ღვარიც დააყენა, უკვე ვნახეთ. იმისდა კვალობაზე, კიდევ რამდენი გაქცეული დაუსჯელად დათარეშობს, რამდენი ახლა შეემატა და რამდენი კიდევ შეემატება უახლოეს დღეებში მათ რიცხვს, სავარაუდოა, რომ სისხლისღვრები წინ უხვად გველის...

ისე რომ, ჩემო საწყალო, ევროპის გვერდით მოჯაგლაგე ქვეყანავ, რაღაცით უკან უნდა დაიხიო შენი უნიათო პრინციპებიდან და თუნდაც ის დათმო, რომ დაცვით მაინც შინაგანმა ჯარმა დაიცვას ციხე-კოლონიების მოღიავებული კარები.

არც ამდენი „დემოკრატობანა" და გიგლა აგულაშვილის წინამორბედ მსხვილიძესავით ფერადი ბუშტებით და სატკაცუნოებით კოლონიების მონახულებანი ვარგა. ბუშტებით კოკობზიკობას, თუ არ ვცდები, იმავე ქსნის კოლონიაში პატიმრებს შორის სროლებითა და ხელყუმბარის გრიალით „რაზბორკა" მოჰყვა (სხვა, გავრცელებულ ხმებზე რომ აღარაფერი ვთქვათ).

ერთი სიტყვით, პენიტენციურ სისტემას სასწრაფოდ უნდა მიხედვა, თორემ იგი კიდევ მრავალჯერ მწარედ ამოგვართყამს. თუ გამოსავალი ეს არის — მივანდოთ მისი დაცვა შინაგან ჯარს, ბოლოს და ბოლოს, ამაზე უარესი რა იქნება. ახლა, იმის შიშით, ზოგიერთებმა ენაჭარტალა არასამთავრობო ორგანიზაციამ ვაიუშველებელი არ ატეხოს „ეკან დახევის" გამოო, ქვეყანას საფრთხის წინაშე ხომ არ დავაყენებთ?

დაბოლოს. როცა გურამ აბსანძე, ლოთი ქობალია და სხვები „რეზბალნიციდან პადკოპით სვაბოდაზე გავიდნენ", გვახსოვს, იუსტიციის მინისტრმა ჯონი ხეცურიანმა უმალ განცხადება დაწერა და წავიდა. გაქცევები შემდეგაც იყო, მაგრამ ხეცურიანის გმირული მაგალითი მის მომდევნო მინისტრს მიხეილ სააკაშვილს აღარ გაუმეორებია. პირველი მე ვიქნები წინააღმდეგი, ბატონმა როლანდ გილიგაშვილმა რომ გადადგომის განცხადება დაწეროს — ასეთი სუფთა და პრინციპული კაცის ამ თანამდებობაზე ყოფნა დიაღაც აუცილებელია დღეს და ალბათ პრეზიდენტიც, ბუნებრივია, არამც და არამც არ მიიღებს მის გადადგომას, მაგრამ ისე, „მუნდირის ღირსებისთვის" იქნებ ღირდა ბატონ როლანდს ამ გზითაც გამოეთქვა პროტესტი პენიტენციურ სისტემაში შექმნილი მძიმე მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის გამო?..

**ალეკო ასლანიშვილი.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

მეზობლებთან


იშხანი — ვარდისფერი ხომალდი.

# «ნაყოფისაგან საცნაურ არს სიკეთე ხისაი»

## ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ქართველ მეცნიერთა ექსპედიციის კვალზე

(პირველი გვერდიდან)

ოშკის კათედრალის მთავარ ფასადზე, ტრიუმფალური კარების სვეტები არაჩვეულებრივი სილამაზის ჩუქურთმებით არის შემკული, ვაზივით აჰყოლია სვეტს ჩუქურთმა და სადღაც, ადამიანის სიმაღლეზე წყდება. ოსტატს იმ ადგილზე წითელი (შვინდისფერი?) საღებავით მომდევნო კონა დაუხატავს (ტრაფარეტით გადაუტანია?).

ვერ მოუსწრია დამთავრება.

რატომ? რამ შეუშალა ხელი? ამ კითხვებს პასუხს, ჩანს, ვერავინ ვერასოდეს გასცემს.

ეს მხოლოდ მცირე დეტალია წმინდა უდაბნოთა ისტორიიდან, და რამდენი ასეთი საიდუმლო „დამარხულ არს" დროის გაუშიფრავი კოდით დაცული, თუნდაც იმავე ოშკის საძირკველში, რომელზეც ამოზიდულია გუმბათს შედგმული მონუმენტური თეთრი სვეტები, უძლეველი, ვითარცა მარადისობა.

დაუმთავრებელი ჩუქურთმა — სიმბოლო თაობათა უწყვეტობის, შემოქმედების პროცესის უწყვეტობის დასტური: დასამთავრებლად დატოვებული — მიიღე და განაგრძე! ძალიან გაცვეთილი და დამიწებული რომ არ იყოს, „ესტაფეტასაც" ვახსენებდი.

„მაგრამ ვიღამ ახაროს ე მაგ ვაზისთანა?" — ეჭვობს შოთა ნიშნიანიძე.

ვინც შესძლებს, იმან, ბატონო შოთა, ვინც შედგომია ამ საქმეს, ვისაც წინაპართა მაგალითი გაუკვალავს გზას, იმან...

მაგალითები მარგალიტებივით არის ასხმული ბედის კრიალოსანზე — იმ დროიდან მოყოლებული დღემდე: არა ოდენ ლეგენდებად შემონახული, არა ოდენ ისტორიულ წყაროებში დამოწმებული, არამედ, თუნდაც, ფაქტი ჩვენი აქ ყოფნისა როგორც ახალი ურთიერთობის ერთი მნიშვნელოვანი რეალობა.

გადასწიეთ დღევანდელი წვრილფეხობის ყალბი პოლიტკინკლაობით გაცვეთილი ამბიციურობის ფარდა — ამაოთა ამაოება — და თქვენ წარმოგიდგებათ იშხანის ულამაზესი ტაძარი, სულის სიდიადე, აზრისა და გონების სიმაღლეები, დიდი ხელოვნება, რომლის შთამომავლებიც ჩვენა ვართ და აღივსებით სიამაყით, და დაკნინდება ყველაფერი ამასთან შედარებით.

ვარდისფერი ხომალდი, რომელიც ათი საუკუნეა მოარღვევს ისტორიის მღვრიე ტალღებს.

მდიდარი და მრავალფეროვანი ორნამენტული შემკულობა, ბრწყინვალე მოხატულობის ფრაგმენტები, მერვე საუკუნის შემორჩენილი აბსიდი სვეტებზე დაყრდნობილი თაღების მწკრივით, რომელთა მოყავისფრო ფონზე შევჯგუფდებით და სამახსოვრო ფოტოსურათს გადავიღებთ. შემდეგ დავცალცალკევდებით და გაოგნებულები ვიბორიალებთ საუკუნეებით შემოსაზღვრულ ამ დიდებულ სივრცეში.

„იშხანი ეკლესია გუმბათიანი, დიდშუენიერად ნაგები" (ვახუშტი ბატონიშვილი).

მეცნიერები შენიშნავენ, რომ საეპისკოპოსო კათედრალი აქ ადრევე, მეშვიდე საუკუნეში აუგია ქალკედონელ ეპისკოპოსს ნერსეს (ნერსე შემდეგ სომხეთის კათოლიკოსი გამხდარა, სადაც მას საბოლოოდ ვერ შეგუებიან მართლმადიდებლური რწმენისა გამო).

მაოხრებელ მურვან ყრუს ლაშქრობას იავარქმნა მოჰყვა აქაურობის — არაბთა შემოსევას ვამბობ.

შემდეგ, უკვე მეცხრე საუკუნეში საბერძნეთიდან ტაოში დაბრუნებულ გრიგოლ ხანძთელს და მის დეიდაშვილს საბას (საბანს) ამ ადგილას ეუწყათ ტაძრის აღდგენა-აშენება.

ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ გრიგოლს და საბას ფრიად მოსწონებიათ აქაურობა როგორც მშვენიერი ნაზავი სულისა და ხორცის ნუგეშისცემისა, ამ ორი საწყისის უნიკალური ჰარმონია.

მიაქციეთ ყურადღება — არა სულისა და ხორცის რადიკალური დაპირისპირება, როგორც ეს დილეტანტებს გვესმის, არამედ პირიქით, მათი ჰარმონია. „ბოროტებაა არა „ხორცი", არამედ ამ კავშირის, ამ მთლიანობის დარღვევა".*

ეს დებულება თუ დასკვნა ჰაერში არ არის გამოკიდებული მისი უდავო დადასტურება თვით გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების წესია, როგორადაც ამას გიორგი მერჩულე აღწერს.

გრიგოლ ხანძთელს, სასწაულთა მოქმედს დიდებულს „... შრომაი დიდად უყუარდა არა ხოლო ლოცვისა და მარხვისაი ოდენ, არამედ დღე და ღამე ხელითა თვისითა იქმოდა, ვითარცა იტყვის პავლე: „რომელი არა შურებოდის, ნურაცა ჭამნო". და იყო იგი მხიარულად მესტუმრე და გლახაკთმოღუაწე". **

„ბიბლიაში — როგორც ძველ, ისე ახალ აღთქმაში აქცენტირებულადაა დამკვიდრებული აზრი, რომ „ხორცზე" ზრუნვა, ამქვეყნიური მოთხოვნილებების ნორმალური დაკმაყოფილება, სრულიად ბუნებრივი სტატუსია და ღვთაების ნების გამოვლენაა. გავიხსენოთ, როგორ ლოცავს დავითი მორწმუნეებს: „ძლიერ იყოს ქვეყანასა ზედა ნათესავი მისი და თესლი წრფელთა იკურთხოს, დიდება და სიმდიდრე სახელსა მისაა" (ფსალ. 111, 2-3). ***



სხვათა შორის, კულტურულ-საგანმანათლებლო და სახელმწიფოებრივ-აღმშენებლობითი მოღვაწეობა, როგორც ადამიანებისთვის დიდი სარგებლობის მომტანი, ამ ჭრილში განიზომება, საღვთო საქმედ მოიაზრება.

---

* რევაზ ბარამიძე, „გიორგი მერჩულე — ქართული პროზის დიდოსტატი და მშვენება", თბ. 2001, გვ. 74.

** „ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები", თბილისი, 1963, გვ. 308.

*** რევაზ ბარამიძე, იქვე, გვ.74.

**** Å. Òàêàèø âèëè, àðõåî ëî ãè÷åñêàÿ ýêñï åäèöèÿ 1917-ãî ãî äà â þ æí û å ï ðî âèí öèè Ãðóçèè.

სპეციალურ ლიტერატურაში წერია, რომ „ორისავე ცხოვრების" პრობლემა, „ორისავე სიბრძნის" არსის საკითხი დამუშავებული აქვს პროფესორ რეზო სირაძეს, რომელიც ორი დღის წინათ პარხალისწყლის ხეობაში ინტერვიუთი პირველად შევაწუხე, მეორედ — იუსუფელიში, ტელეკამერის წინ და ახლა საგანგებოდ თვალს მარიდებს, რათა იშხანის სიდიადის შეგრძნებაში ხელი არ შევუშალო.

სამაგიეროდ, მეორე პროფესორი — გურამ ლორთქიფანიძე ყოველთვის „გახსნილია საკონტაქტოდ", და მიყვება, რომ ტაძრის მოვლილ-გასუფთავებული ეზო არის აქაური სკოლის (რომლის კოპწია ერთსართულიანი შენობა აქვე, ეზოსთვის მიუდგამთ) მასწავლებლის, კეთილშობილი ქალბატონის საქმიანობის შედეგი. გურამი მას კარგად იცნობს, იცის, რომ იგი თავის აღსაზრდელებს პატივისცემას უნერგავს ისტორიული ძეგლისადმი და თავადაც ყოფილა მოწმე — აქაური მოსწავლეები როგორ ჰგვიდნენ და ალაგებდნენ ეზო-გარემოს.

826 წლის ახლოს „მეორედ აღშენებული" იშხნის ტაძარი, ბაგრატ IV კურაპალატის მეფობის ხანაში, 1032 წელს საბოლოოდ იქნა რესტავრირებული. ამ დროს იშხნის არქიეპისკოპოსი ანტონ იშხნელი ყოფილა, არქიტექტორი — ივანე მორჩაისძე.

დღეს ეკლესიას, რა თქმა უნდა, დაკარგული აქვს თავისი პირვანდელი სახე — დანგრეულია დასავლეთის ეკვდერი და, ექვთიმე თაყაიშვილის ვარაუდით, — სამხრეთის გალერეა სამი გახსნილი თაღით, რომელიც ბოლო რესტავრაციის დროს, ეტყობა, მოუნგრევიათ.

მუსულმანებს ტაძრის დასავლეთი ნაწილი მეჩეთად გამოუყენებიათ. „ამ ბოლო გარემოებამ კიდეც გადაარჩინა იშხნის საყდარი სრული განადგურებისგან". ****

მეჩეთი მართლმადიდებლურ ეკლესიაში — შეგუების მადლი?! ეს ცალკე თემაა.

იშხნის კათედრას XVII საუკუნის მეორე ნახევარში შეუწყვეტია არსებობა...

მერე დაეშვა გაუცხოების ფარდა.

დღეს კი აქა ვდგავართ ჩვენ, ქართველები და მადლობას მოვახსენებთ მათ, ვისი ძალისხმევითაც და ღმერთის შეწევნით გაცხადდება ასეთი სასწაული:

სულ ორიოდ დღეში, თითქოს ჩვენს კვალზე, ისტორიული ტაოკლარჯეთის სიწმინდეებს კაბადოკიიდან ეწვევა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

დაიჯერებდით ამას თუნდაც ხუთიოდ წლის წინათ?

იხ. მე-4 გვ.


მერვე საუკუნის ფონზე.


გრივერ ფარულავა და ზურაბ გამეზარდაშვილი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

მეზობლებთან

(მესამე გვერდიდან)

ერთხელ უკვე ვთქვი, ვიმეორებ: თქვენ იცით, ვისი ძალისხმევითაც მოვიდა ეს ყველაფერი.

მსოფლიო საერთო საკაცობრიო ცივილიზაციის სტადიაში შედის მსოფლიოს ქვეყნებში.

საღამოვდებოდა და იშხანის თავზე შეკრებილმა ღრუბელმა წვიმა აიაზმასავით მოაპკურა აპყრობილი ხელებივით ზეცისკენ აღმართულ ტაძარს და მის შემოგარენს.

— წინაპრების ცრემლებია, — იტყვის ისტორიის ემოციური პროფესორი ოთარ მიმინოშვილი, იტყვის და ბევრჯერ გაიმეორებს — ხან ჩვენ გვეუბნება, ხან — თავის თავს.

იქნებ, დიდ მადლთან ნაზიარებ თაობათა ცრემლია?

იქნებ, ჩვენიცაა, ბატონო ოთარ?

არ ვიცი.

წვიმა ძლიერდებოდა. მსხვილი წვეთები წყლის მძიმე ფარდას ქსოვდა, იწუწებოდა გზაყრილი და სადღაც ქვემოთ იქოჩრებოდა მდინარე ოლთისწყალი, ძალამიცემული, რაიც, კაცმა რომ თქვას, სულაც არ სჭირდებოდა.

გზას ეკარგებოდა ფუნქცია, ყოველ შემთხვევაში, ფრიად საეჭვო ხდებოდა ენციკლოპედიური განმარტება: „გზა — მიწის ზედაპირზე გაყვანილი ზოლი, რომელიც განკუთვნილია მიმოსვლისათვის“.

დემონსტრაცია: ელვით განათებული წამი ადამიანის თვალის საწიერით შემოსაზღვრული მრუმე სივრცის. დაპირისპირებულ უკიდურესობათა მოქცევისა და უკუქცევის კოსმოსური ჰარმონია, ალფა და ომეგა მისი — „ნათელი დაუღამებელი“ ამ კატაკლიზმურ ცვალებადობასა და კათარზისში გამოვლინდა და — გამოიდარა.

„ციდან მოგვასმინე სამართალი; დედამიწა შეშინდა და მიწყნარდა“.*

დამშვიდდა ბუნებაც, ადამიანიც და იბადება მისტიკური პარალელები, ქვეტექსტებით დამძიმებული:

„... კაცმან მან იხილა სასწაული დიდი წმიდასა მას ზედა ზეგარდმო, რამეთუ სუეტი ნათლისაი ფრიად ბრწყინვალე ცად აღწევნული ჰფარვიდა მას, და იყო თავსა მისსა ჯუარი თვალთ-შეუდგამი გარემო მისსა ცის-სარტყლის სახედ, შუენირად რაი გამოჩნდის ჟამსა წვიმისასა“ (მერჩულე).

კაცი იგი იყო დიდცოდვიანი, დღევანდელი გაგებით, ტერორისტი, ქი-



ბიბლიურ გარემოში განდგომილი ბანა.

# «ნაყოფისაგან საცნაურ არს სიკეთე ხისაი»

## ისტორიულ ტაო-კლარჯეთში ქართველ მეცნიერთა ექსპედიციის კვალზე



ბანას აფეთქებული კედელი.

ლერი, სახელად ცქირი, ერისკაცი ანჩელი, რომელსაც „ლიბრსა და გლახაკსა და მაგრიად მოისარსა“, გრიგოლ ხანძთელის მოკვლა დაავალეს.

არქიმანდრიტმა შეუნდო ცოდვა „სამ გრივ ფეტვად და ხუთ თხად“ (ოცდაათი ვერცხლის იმდროინდელი ეკვივალენტი?) დაქირავებულს.

მოდიან ახალნი ცქირნი — ლიბრნი და გლახაკნი, დიდ ცოდვიანნი.

ჩვენ ვინ შეგვინდობს ცოდვათა ჩვენთა?..

... ჩავაღწიეთ თუ ჩავსრიალდით ოლთისწყლამდე, რომელიც კვლავ „რბოდა და ღრიალებდა“, მაგრამ აღარ აღიქმებოდა მდინარე ლეთედ, თუნდაც იმიტომ, რომ იქითა ნაპირზე არ გავსულვართ.

გაზაფხულის წვიმის უკანასკნელ წვეთებთან ერთად ბოლო ავტობუსმაც ჩამოაღწია მთავარ გზაზე და, რეალურ სამყაროში დაბრუნებულებმა, მოგზაურთა სტატუსკვო აღვადგინეთ აქციების გაუმართავად.

„სრულმან სიყვარულმან შიში განდევნოსო“. **

განდევნა და— მივენდეთ ბედს.

ბედმა კი გვატარა ტაოსა და კლარჯეთის, შავშეთის დიდებულ სიწმინდეთა მოსახილველად.

ნახვაც მადლი ყოფილა შინაგანი სიწმნდითა და სისუფთავით განპირობებული.

„არავინ ანათებს სანთელს, რომ დადგას ფარულ ადგილას ანდა ჭურჭლის ქვეშ, არამედ სასანთლეზე, რათა შემოსულები ხედავდნენ ნათელს.

სხეულის სანთელი შენი თვალია. როცა შენი თვალი სუფთაა, მთელი შენი სხეულიც ნათელია. მაგრამ როცა იგი ბოროტია, შენი სხეულიც ბნელია.

ამიტომ უყურე: ნათელი რომელიც შენშია, ბნელი ხომ არ არის?

თუ კი მთელი შენი სხეული ნათელია და ბნელი არაფერი აქვს, მთლიანად ნათელი იქნება იგი, თითქოს სანთელი თავისი შუქით გინათებდეს“. ***

სულისა და სხეულის ანთებული სანთლებით ვიარეთ და მუხლი მოვუყარეთ ხეხილის მწვანე ბაღებიდან ამოფრქვეულ ხახულს — მოვლილს და შენახულს მეჩეთობისა გამო;

გზა ესე — სიცოცხლის ალტერნატივა...

საღამო, რომელიც ამ თავდაღმართზე ღამისკენ მიექანებოდა, ისე გამუქდა, არც სიშავე ეთქმოდა, არც ფერი ნაცრის — სამყაროს ჩრდილში შევიდა საღამო.

ცა და დედამიწა აფეთქებით დაიტენება და — იელვებს.

უზარმაზარი ძალის ტრასირებული მუხტი, სვეტი ნათელი და ტეხილი, ზეციური უსასრულობიდან ხელის გაწვდენაზე დაეცემა, ახლოს... კიდევ უფრო ახლოს.

განსაწმენდელის უკომპრომისობა?

მეხთატეხაა იშხანის სანახებში, ქარიელზეც და იქითაც, უფრო შორს — მთათა გრეხილების თავზე.

გაცხადდა „უჟამო ნათელის“ (მერჩულე) არსი და რაობა: არა მზის სხივების იდილიური განფენა, არამედ, მაინცა და მაინც, გასხივოსნებული ძლიერების ასეთი

ტბეთს — ნიაღვრების მონატანი ქვაღორღით კედელგარღვეულს და სიმაღლე დაკარგულს; ბიბლიურ გარემოში განდგომილ ბინას საოცრებას.

ვიყავით ერთად და ვიყავით მარტო. და, იცით, ამ უნიკალურ სიტუაციას მასპინძლებთან ერთად გვიქმნიდა დელეგაციის ხელმძღვანელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პრორექტორი პარმენ მარგველაშვილი, რომელსაც არსად და არასდროს ბოროტად არ გამოუყენებია თავის „ხელმძღვანელი მდგომარეობა“...

ნიჭი ხილვისა და ნიჭი დადუმებისა, დროზე წერტილის დასმის: „აწ სულელნი სიბრძნეს მეტყუელებენ და ბრძენთა აღირჩიეს დუმილი“.

არჩევანს წინ რა დაუდგება?!

არმაზ სანებლიძე,
„სრ“ სპეც. კორ.
თურქეთი — საქართველო.

P.S. „ისე დავბერდი, ველარ ვიხილე ტბეთი, შატბერდი“, — გულდაწყვეტით ამბობდა გიორგი ლეონიძე.

ტბეთი ვნახეთ, შატბერდს ვნახავთ, ხანძთასაც: აკი ვთქვით კიდეც ტაო-კლარჯეთში კვლავ ჩამოსვლის სადღეგრძელო ნაშუაღამევს ჩვენს გულუხვ მასპინძელთან — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის რექტორთან მერაბ ბერიძესთან სტუმრობისას.

დაბერებამდე კი ჯერ ძალიან შორია.

მოისმინეთ:

გრიგოლ ხანძთელი „ას და ორისა წლისა ჟამთა მიიწია. ხოლო ფერი პირისა მისისაი არა იცვალა, არცა შეემთხვა თუალთა მისთა მრუმედ მხედველობაი, და ხორცითა ძლიერ იყო და რაითურთ უძლურებაი სიკუდილამდე არა იპოვა მის თანა, რამეთუ განძლიერებულ იყო იგი ძალითა ქრისტესითა...“

რა დროს დაბერებაა: „სიკუდილი მგლოვიარე არს“ (მერჩულე, „გალობანი აღვსებისანი“).

დღეს კი გრიგოლ ხანძთელის შატბერდელებთან გამოთხოვების ლოცვასავით სიტყვებს გავიმეორებ მხოლოდ: „აწ დაცაღათუ ხორცთა განგეშორები, ხოლო სულითა მარადის შენ თანა ვარ შეწევნად შენთა“.

ა.ს.



ხახული. X საუკუნე.



ტბეთის ეკლესიის შიდა ხედი.

* ფსალმუნი, 75 (76), 9.
** იოანე, 4, 18.
*** ლუკა, 11, 33-36.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## ფინანსები

# ევროპის ცენტრალურ ბანკს ოქტომბერში ახალი ხელმძღვანელი ეყოლება

**გასული კვირის მნიშვნელოვან საფინანსო მოვლენას შეერთებული შტატების ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ რეფინანსირების საპროცენტო განაკვეთის მორიგი შემცირება წარმოადგენდა.**

როგორც ანალიტიკოსების უმრავლესობა ვარაუდობდა ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ 0.25 პროცენტული პუნქტით, 1%-მდე დაწია განაკვეთი, რაც მინიმალურს წარმოადგენს ბოლო 45 წლის განმავლობაში და მე-13 შემცირებაა 2001 წლის იანვრის შემდეგ. თავის განცხადებაში ღია ბაზრის კომიტეტმა აღნიშნა, რომ მონეტარული პოლიტიკის მხარდამჭერი კურსი, შრომის ნაყოფიერების ზრდის მაღალ ტემპებთან ერთად ძლიერ მხარდაჭერას აღმოუჩენს ეკონომიკურ აქტივობას.

თუმცა საფონდო ბაზარმა გასული კვირა კორექციით დაიწყო, ანუ ხანგრძლივი უწყვეტი რალის შემდეგ, აქციების კოტირებების მნიშვნელოვანი დაცემა აღინიშნა, რამაც ტრადიციული ეკონომიკის სექტორის Dow Jones-ის ინდექსი თითქმის ახლახან გადალახულ 9000 პუნქტს, ხოლო მაღალტექნოლოგიების Nasdaq Composite-ი 1600 მაჩვენებელს დაუბრუნა, ფედერალური სარეზერვო სისტემის გადაწყვეტილების ბაზარზე გავრცელების შემდეგ, სიტუაცია შეიცვალა. ხუთშაბათის ვაჭრობის მონაცემებით, „ცისფერი კოჭების“ ინდექსი 67.51 პუნქტით, ანუ 0.75%-ით გაიზარდა 9079.04 მაჩვენებლამდე Nasdaq Composite-ის ზრდამ 1.96% შეადგინა 1634.01 პუნქტამდე.

ზრდის ლიდერები იყვნენ კომპანიების IBM, Microsoft, Hewlett-Packard-ისა და Intel-ის აქციები. შედარებით გაიაფდა ოქროსმომპოვებელი კომპანიების აქციები.

ნიუ-იორკის საფონდო ბაზარზე ბრუნვის მოცულობამ 1.37 მლრდ აქცია შეადგინა. გაზრდილმა აქციებმა გაადააჭარბა დაცემულს შეფარდებით 20/12-თან.

ანალიტიკოსების შეფასებით, ინვესტორებში დადებით განწყობას ხელი შეუწყო ფედერალური სარეზერვო სისტემის წარმომადგენლების ოპტიმისტურმა განცხადებებმა, რომელიც თან ახლდა ძირითადი საპროცენტო განაკვეთის შემცირებას. მათი გადახარშვის შემდეგ, ბაზრის მონაწილენი მივიდნენ შეფასებამდე, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემა, დიდხანს აღარ იფიქრებს განაკვეთის შემცირებას, და რომ 25 ივნისის ღონისძიება ბოლოა მიმდინარე ბიზნეს-ციკლში, რადგან საქმიანი აქტივობის გამოცოცხლება ისედაც სახეზე იყო 1.25%-იანი განაკვეთის პირობებში და შეერთებული შტატების საფონდო ინდექსები ზრდის საკმაო მყარ ტენდენციას ავლენდნენ. მიუხედავად ამისა კვირის ბოლო დღის ვაჭრობის შედეგებით, საფონდო ინდექსები კვლავ მინუსებში გადავიდნენ, რაც ანალიტოკოსების შეფასებით, ინვესტორების დაძაბულობით აიხსნება კომპანიების საფინანსო ანგარიშების გამოქვეყნების წინ. პარასკევის ვაჭრობის მონაცემებით, Dow Jones-ი 8989.05-მდე, ხოლო Nasdaq-ი 1625.28 პუნქტამდე დაეცა.

**სავალუტო ბაზრებზე** გასული კვირა ამერიკული ვალუტის კურსის გამყარებით აღინიშნა. ჯერ კიდევ კვირის დასაწყისში გვიან საღამოს ამერიკულ სესიაზე ევრო დოლარის კურსმა 1.544-ის დონემდე დაიწია.

ექსპერტების შეფასებით, დოლარის კურსის ზრდა ამერიკული ეკონომიკის გაჯანსაღების მოლოდინს უკავშირდება. აქციების ბაზარზე ეს მოლოდინი ჯერ კიდევ აპრილის შუა რიცხვებიდან აისახა და დღემდე წარმატებით განაგრძობდა პოზიტიურ ზეგავლენას საფონდო ინდექსების დინამიკაზე. სავალუტო ბაზარმა კი მთლიანად უგულვებელყო აქციების ბაზრის ოპტიმისტური მოლოდინი;- მაშინ როდესაც ამერიკული აქციების კოტირებები მყარად იზრდებოდა, დოლარის კურსი განაგრძობდა დაცემას.

დარგობრივი ანალიტიკოსების შეფასებით, ბოლო დღეებში შეერთებული შტატების ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ საიმედო მონაცემების გამოქვეყნებამ, სავალუტო ბაზარს ახალი თვალსაზრისი შესძინა. აქედან გამომდინარე, ისინი გადაჭრით ამტკიცებენ, რომ ევროს კურსის ზრდის საკმაოდ ხანგრძლივი, 14-თვიანი პერიოდი დასასრულს მიუახლოვდა, ტრენდი კარდინალურად შეიცვალა და წინ ამერიკული დოლარის გაძლიერების პერიოდი გველის.

თუმცა აქვე არსებობს სხვა შეხედულებაც, რომ ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ საპროცენტო განაკვეთის შემცირება, რაც ამერიკული ეკონომიკური ზრდის დაჩქარებულ ტემპებს ითვალისწინებს, ვერ გააბათილებს დოლარის ფუნდამენტალურ „აქილევსის ქუსლს“- შეერთებული შტატების მიმდინარე საგადასახადო ბალანსის უზარმაზარ დეფიციტს.

რეალურად, როგორც ევრო-ოპტიმისტების, ისე ევრო-პესიმისტების მოსაზრებებს სერიოზული საფუძველი გააჩნია: პირველ შემთხვევაში, შეერთებული შტატების საგადამხდელო ბალანსის დეფიციტი და ევროპის ცენტრალური ბანკისა და ფედერალური სარეზერვო სისტემის საპროცენტო განაკვეთებს შორის დადებითი დიფერენციალი; მეორე შემთხვევაში, ევროპულთან შედარებით, ამერიკული ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები, ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ ეკონომიკური განვითარებისათვის უფრო ხელსაყრელი მონეტარული პოლიტიკის გათვალისწინებით, ანუ ევროზონასთან შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთი.

აქედან გამომდინარე, ფორექსის ანალიტიკოსები მოუთმენლად ელოდებოდნენ, თუ რა რეაქციას მისცემდა სავალუტო ბაზარი 25 ივნისს, ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ განაკვეთის მორიგი შემცირების ფაქტს. მათი ვარაუდით თუ ბაზარი ამას დოლარის პოზიციიდან დადებითად მიიღებდა, მაშინ მართლაც შეიძლებოდა ტრენდის კარდინალურ შეცვლაზე საუბარი. სარეზერვო სისტემის მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე წუთით ადრე ევრო/დოლარის კურსი 1.1595-ის დონეზე იმყოფებოდა. ხუთშაბათს დილიდანვე კი დოლარმა წონაში მოიმატა. ევროპულ სესიაზე დილის ვაჭრობაზე ამერიკულმა ვალუტამ გაარღვია წინააღმდეგობის 1.15-იანი ზღვარი და ევრო/დოლარის კურსი 1.147-1.148 დონეზე დაფიქსირდა. ამერიკულ სესიაზე კი ამ წყვილის კურსი 1.143-1.145-ის დიაპაზონში განისაზღვრა. კვირის ბოლო დღეს ამერიკულმა ვალუტამ კიდევ უფრო გაიმყარა მიღწევები, პარასკევს დილას ამერიკულ სესიაზე ერთი ევრო 1.1388 დოლარი ღირდა, რაც მინიმალურს შეადგენს ბოლო თვენახევრის განმავლობაში.

ამავდროულად, ანალიტიკოსები არ გამორიცხავენ, უახლოეს მომავალში ევროპაში საპროცენტო განაკვეთის მორიგ დაწევას, რასაც შეუძლია დოლარის სასარგებლოდ კარდინალურად შეცვალოს ინვესტორების განწყობა და მათი აქცენტი ამერიკის ბაზრებზე გადაიტანოს, რადგან ასეთ შემთხვევაში დადებითი სხვაობა ევროპის ცენტრალური ბანკისა და ფედერალური სარეზერვი სისტემის საპროცენტო განაკვეთებს შორის მნიშვნელოვნად მცირდება. თუმცა ჯერჯერობით, ეს მხოლოდ ვარაუდებია და როგორ განვითარდება მოვლენები მთლიანად ეკონომიკურ მაჩვენებლებზე იქნება დამოკიდებული.

გარდა ამისა, არსებობს ერთი ფსიქოლოგიური ნიუანსიც, რომელიც ასევე დოლარის სასარგებლოდ მეტყველებს. ამ დღეებში ევროზონის სახელმწიფოთა ხელმძღვანელებმა მხარი დაუჭირეს საფრანგეთის კანდიდატს ევროპის ცენტრალური ბანკის პრეზიდენტის პოსტზე, ოქტომბერში საფრანგეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარემ ჟან პოლ ტრიშემ ვიმ დუიზენბერგი უნდა შეცვალოს. მართალია, სკანდალური რეპუტაციის მქონე ტრიშეს ჯერ კიდევ წინ ელის ევროპარლამეტზე დამტკიცების პროცედურების გავლა, მაგრამ საკითხი როგორც ჩანს გადაწყვეტილია. ტრიშე, ცხადია, კვალიფიციური ეკონომისტი და ბანკირია, მაგრამ დუიზენბერგისაგან განსხვავებით, მან ჯერ კიდევ უნდა დაამტკიცოს თავისი კომპეტენტურობა ამ უმნიშვნელოვანესი პოსტისათვის. ბაზარს კი გაურკვევლობა არ უყვარს.

დოლარის გაძლიერების ტენდენცია უკვე აისახა **ძვირფასი ლითონების ბაზარზე.** სტოპ-ფასები მართალია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, მაგრამ უნცია ოქროს აგვისტოს ფიუჩერსულმა კონტრაქტებმა გასული კვირის ბოლოს $5.40-ით დაიწია და 344.20 დოლარი შეადგინა.

შემცირდა ფილადელფიის ოქროსა და ვერცხლის ინდექსი, დაიწყო ოქროს მომპოვებელი კომპანიების აქციათა გაიაფება.

პლატინისა და ვერცხლის ფასმა შესაბამისად უნციაზე 650 და 4.51 დოლარი შეადგინა.

**ნავთობის ფიუჩერსების ბაზარზე** გასულ კვირაში რამდენიმე სხვადასხვა ხასიათის ფაქტორი მოქმედებდა.

დივერსიული აქტების გამო ერაყში ნავთობის მოპოვების აღდგენის გართულება ბაზრისათვის კვლავ „ხარის“ ფაქტორად რჩება.

გარდა ამისა, როგორც ბოლო პერიოდის მონაცემებმა დაადასტურა, კარტელის წევრი ქვეყნები მკაცრად იცავენ ოპეკის აპრილის კონფერენციის გადაწყვეტილებას 1 ივნისიდან ნავთობის მოპოვების ერთობლივი კვოტის შემცირების შესახებ, რაც თავისთავად გულისხმობს მისი იმპორტის შემცირებას ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც ნავთობის მარაგი ისედაც დაბალ დონეზეა. ეს კი ძლიერ მხარდაჭერას აღმოუჩენს ნავთობის ფასს.

„დათვურ“ ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს ოპეკის პრეზიდენტის აბდულა ალ ატიიას განცხადება, რომელიც მან შეერთებულ შტატებსა და კანადაში ვიზიტის წინ, სააგენტოების Reuter-ისა და Dow Jones NewsWiers-ისათვის მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. ოპეკის პრეზიდენტის თქმით, კარტელი მომდევნო კონფერენციაზე არ შეამცირებს ნავთობის მოპოვების ერთობლივ კვოტას, რამდენადაც ნავთობის მოპოვების აღდგენა ერაყში ნელი ტემპებით მიმდინარეობს და შესაბამისად, მისი ბაზარზე დაბრუნება ვერ იქონიებს ფასებზე ზეგავლენას. თუმცა, საბოლოო ნათელი ამ საკითხს 31 ივლისს მოეფინება, როდესაც ოპეკის მორიგი კონფერენცია ჩატარდება.

ბოლო მონაცემებით, „ნავთობის კალათის“ ფასი გასული კვირის ბოლოსათვის ბარელზე 26.58 დოლარს შეადგენდა. ეს ახლოს არის მიზნობრივი დიაპაზონის (22-28 დოლარი) ზედა ზღვართან, რომელშიც ოპეკი კალათის ფასის შენარჩუნებას ითვალისწინებს.

ამასთან, საინფორმაციო სააგენტო Associated Press-ის ინფორმაციით, საუდის არაბეთის ნავთობის სამინისტროს წარმომდგენლების შეფასებით, ნავთობის ფასი დიდხანს შეინარჩუნებს მდგრადობას მიმდინარე დიაპაზონში. არაბი ჩინოვნიკები ფიქრობენ, რომ ამ ეტაპზე ნავთობის ბაზარზე დაბალი ფასები არ შედის ამერიკის ინტერესებში, რადგან ერაყის ეკონომიკის აღსადგენად, შეერთებულ შტატებს დიდძალი თანხები სჭირდება და მთავარი წყარო ერაყის ნავთობის ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი იქნება.

გასული კვირის ბოლოს ლონდონის IPE-ის საერთაშორისო ბირჟაზე Brent-ის მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 27.04 დოლარს, ხოლო ნიუ-იორკის NYMEX-ის სასაქონლო ბაზარზე WTI-ის ნავთობის ფასი 29.01 დოლარს შეადგენდა.

**ეკა ლეჟავა,**
**„სრ“ ეკონომიკური მიმომხილველი.**

## მსოფლიო შტრიხებში

### აბა, დალიე პენალტი!

**უჩვეულო საფეხბურთო მატჩი გაიმართა თურქეთის ქალაქ იზმირში. მინდორზე გამოსული ყველა მოთამაშე და მსაჯებიც მთვრალები იყვნენ. სწორედ სპირტიანი სასმელები იყო ამ შეხვედრის ძირითადი „კომპონენტი“. გუნდებსაც ხომ ასევე ერქვათ — „ღვინო-სპორტი“ და „არაყი-სპორტი“.**

**თამაშის წინ გაიმართა მეგობრული ჭამა-სმა. როდესაც მოთამაშენი სათანადო „კონდენციაში“ მოვიდნენ, მათ მინდორზე უხმეს.**

**მთვრალმა მსაჯმა ბურთი ისროლა და მატჩიც დაიწყო. ფეხბურთელები ცდილობდნენ, არ წაქცეულიყვნენ, ზოგჯერ კარშიც კი დაერტყათ.**

**წესების დამრღვევ მოთამაშეებს მსაჯი მკაცრად სჯიდა — მათ მაშინვე უნდა დაელიათ „საჯარიმო“ (?!).**

### მესაზღვრე პორნოგრაფები

**დიდი სკანდალი აგორდა შვედეთის სასაზღვრო ჯარებში. მტრის წყალქვეშა ნავების აღმოსაჩენად განკუთვნილ ურთულეს ოპტიკურ ტექნიკას თურმე არადანიშნულებისამებრ იყენებენ.**



**მიწისქვეშა ბუნკერში დამონტაჟებული მოწყობილობა მესაზღვრეებმა ქალთა პლაჟს დაუმიზნეს. სპეციალური კამერები თუ ობიექტივები საყოფაცხოვრებო ტექნიკისათვის წარმოუდგენელ მანძილზე აახლოვებდა და იღებდა მზეს მიფიცხებულ უპრეცედენტო სიშიშვლეს. შემდეგ ამ სურათებს დიდი ტირაჟით ბეჭდავდნენ და სამხედროებს შორის ავრცელებდნენ.**

**ბუნებრივია, ყველაფერი გამომჟღავნდა. ახლა პორნოგრაფი მესაზღვრეები თავს იმით იმართლებენ, რომ უნდოდათ საბრძოლო იარაღის მშვიდობიანი მიზნებისათვის სამსახურში ჩაყენება.**

### დუელიც ამას ჰქვია!

**ორმა გერმანელმა ფერმერმა თავიანთი ტრაქტორები დალეწა დუელში, საკარტოფილე ნაკვეთის გამო რომ გამართეს.**

**ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ ერთ-ერთმა მათგანმა კარტოფილი დათესა ქალაქ ანსბახის მახლობლად მიტოვებულ მინდორზე და თან განაცხადა, რომ ის არენდის უფლებით აქვს აღებული. მალე იმავე მინდვრის ხვნა მეორე მეზობელმა დაიწყო. პირველმა დაუყოვნებლივ აამუშავა თავის ტრაქტორი და „მომხდურის“ მანქანისაკენ „გაქანდა“.**

**სეირის მოყვარული თანასოფლელები აქეზებდნენ დუელანტებს. ისინიც ტრაქტორების განადგურებამდე არ გაჩერებულან, შემდეგ კი მუშტი-კრივში ჩაებნენ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 170, ორშაბათი, 30 ივნისი, 2003 წელი.



# სამების ტაძარი — ერთიანი საქართველოს სიმბოლო

(პირველი გვერდიდან)

დიდება უფალს!

აღსრულდა;

დამთავრდა წმიდა სამების საკათედრო ტაძრის კარკასის მშენებლობა. ზეცის სილურჯეს ლაღად ერწყმიან ჯვრისა და ჩუქურთმების მომლოდინე გუმბათი და ქონგურები. „საუკუნეები წალეკავენ ირგვლივ..." გამეფებულ დღევანდელობას; უსასრულო ბოღმას და ლანძღვას, შუღლს, ღალატს, გაჭირვებასა და სიდუხჭირეს ისტორიის მორევი შთანთქავს. წმიდა სამების საკათედრო ტაძარს კი... ვინ იცის საუკუნეების შემდეგ სვეტიცხოვლისა და დიდი კონსტანტინეს მსგავსად, მასაც გამოუჩნდნენ მეხოტბენი. დღეს კი, დღეს ამ დიდებული ტაძრის ჩუქურთმებს, გუმბათის ფრთებსა და ჯვარს – ტაძრისა და ქრისტიანობის გვირგვინს ქმნიან მშენებლები.

ძირითადი სამშენებლო სამუშაოები დასრულდა. თუმცა ტაძრის მოპირკეთება, საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებითა და პატრიარქის ლოცვა-კურთხევით 2004 წლის ბოლოსათვის რომ უნდა დამთავრდეს, გაცილებით მეტ შრომას, გულისხმიერებას და სახსრებს მოითხოვს. — **თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ დროისათვის ტაძრის ძირითადი სამშენებლო სამუშაოები, მოხატვის გარდა, მთლიანად უნდა დასრულდეს, პროგრამა ძალიან მნიშვნელოვანია** — გვეუბნება ტაძრის მშენებლობის ფონდის თავმჯდომარე, საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელი **ირაკლი ანდრიაძე** და ვინ იცის, დღეს უკვე მერამდენედ ათვალიერებს სამშენებლო მოედანს.

მთავარი ტაძრის ზეძირკვლის გრანიტით შემოსვა მალე დამთავრდება და ახლა ტუფის დამუშავებაზეა გადატანილი მთავარი აქცენტი. — **ასე თუ ვიმუშავებთ, პროგრამას ვერ დავძლევთ, ამ ტემპით გაგრძელება აღარ შეიძლება** — სითბოსთან ერთად სიმკაცრე ჟღერს ბატონ ირაკლის ხმაში. — **ასეა, არც თავად ისვენებს და არც ჩვენ გვასვენებსო,** — ღიმილით შენიშნავს მთავარი არქიტექტორი, პროექტის ავტორი **არჩილ მინდიაშვილი — აი, ძველი ტაძრების ფოტოებს, ვიდეოკადრებს თუ აკვირდებით, ყველგან ჩუქურთმებზეა გადატანილი ყურადღება, ასევე უნდა იყოს აქაც. მტკიცე ხელი და თბილი გული სჭირდება ოსტატს; ამ ჩუქურთმებით საუკუნეების შემდეგ უნდა მოიწონონ თავი ქართველებმა ისე, როგორც ჩვენ ვამაყობთ ნიკორწმინდით, ოშკით, გაოთი, გელათით და სვეტიცხოველით** — ამბობს ბატონი ირაკლი და არჩილ მინდიაშვილთან ერთად სათითაოდ ათვალიერებს ქვის კუთხეებს, შესაერთებელ ხაზებს. არქიტექტორი ორნამენტების ახალ თარგებსა და შაბლონებს არიგებს. სწორედ მისი ნახაზების მიხედვით ჭრიან ჩუქურთმებს ოსტატები. სულს აქსოვენ საჭრეთელს და ვეება ლოდებზე ფაქიზად აცოცხლებენ ავტორის ჩანაფიქრს. ხოლო, როცა მოჩუქურთმებული ქვები მაღლდებიან და სამკაულად ესადაგებიან ტაძრის თვალუწვდენელ კარკასს, სიმკაცრეს კარგავენ, ფაქიზდებიან და თუ წუთით გაირინდები, იმ ბგერების აღქმასაც შესძლებ, დღეს-ხვალ ქვის სიმფონიას რომ აახმიანებს...

სამრეკლოსკენ ვინაცვლებთ. მისი მოპირკეთება რამდენიმე დღეში დასრულდება. უკვე ცხადად იგრძნობა ის შნო და ლაზათი, რასაც გამოცდილი ხელით ნაკვეთი, უნიკალური ტუფის ქვის „სამოსი" ჰმატებს ამ მართლაც გამორჩეულ არქიტექტურულ ნაგებობას. ცხრა ზარი ამშვენებს სამრეკლოს. ზართა კომპლექტი, რომლის დედო ზარი თითქმის რვა ტონას იწონის, გერმანიაშია დამზადებული. თუმცა იგი მთლიანად ქართული ხმოვანებითა და რეცეპტურითაა შექმნილი. მშენებლობის ფონდის ძალისხმევით, კომპოზიტორი ნოდარ მამისაშვილი მივლინებული იყო გერმანიაში და „ბახერტის" ფირმაში უშუალოდ მონაწილეობდა ზარების დამზადების საკმაოდ რთულ ტექნოლოგიურ პროცესში.

**— სამრეკლოს მოპირკეთებას საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა — გვიხსნის ბატონი ირაკლი — თუმცა, ამით ჩვენ ერთგვარი გამოცდილება შევიძინეთ და უკვე ვიცით, როგორ უნდა წარიმართოს ტაძრის მოსახვა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ თითოეული ქვის დამუშავებას გარკვეული დრო სჭირდება, არც ქვების მოპოვებაა იოლი...**

— **ახლა თითოეული ჩუქურთმა ნახეთ,** — საუბარს აგრძელებს ბატონი არჩილი, — **თითქმის არ მეორდება; ამ ორნამენტების შაბლონების შექმნაც დროს მოითხოვს...**

— და ამ ყველაფრის გაკეთებას მოასწრებთ ორ წელიწადში? — არ უნდა მეკითხა, მაგრამ როცა სამშენებლო მოედანს გადავხედე, თავისთავად გაჩნდა ამის საფუძველი...

— **რა თქმა უნდა, მოვასწრებთ** — დაბეჯითებით თქვა ბატონმა ირაკლიმ — **თქვენ ხედავთ, რა შესძლო თუნდაც ძნელბედობის ჟამს ერთად მდგარმა ქართველობამ. როგორც ნახეთ, უკვე დასრულებულია მთავარი ტაძრის, სავესტიბიულო ნაწილის (გალერეის), სამრეკლოსა და ილია თეზბიტელის სახელობის მცირე ეკლესიის რკინა-ბეტონის კარკასები. შიდა და გარე მოპირკეთების გარდა მიმდინარეობს სავენტილაციო, ელექტრო, სანტექნიკისა და კავშირგაბმულობის სამუშაოები. მოწყობილია ტაძრის მიმდებარე ორი სატრანსპორტო და ერთი საკომუნიკაციო გვირაბი, სადრენაჟო კოლექტორი, სრულდება ცენტრალური კარიბჭის მშენებლობა.**

**2003 წლის მაისის მონაცემებით, ჩასხმულია 45 ათასი კუბური მეტრი ბეტონი; ჩადებულია 4 ათას ტონამდე არმატურა; დაწყობილია 4 ათასამდე მეტი კუბური მეტრი აგური; გალესილია 27 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი ზედაპირის ფართობი, შესრულებულია 138 ათასი კუბური მეტრი მიწის სამუშაოები, ტუფის ქვით მოპირკეთდა 1200 კვადრატული მეტრი, გრანიტის ქვით კი — 1000 კვადრატულ მეტრზე მეტი ფართობი.**

**მალე დაიგება გრანიტის იატაკი, მარმარილოთი შეიმოსება ტაძრის სვეტები; ფურცლოვანი სპილენძით დაიხურება სახურავი, დასრულდება სამონტაჟო სამუშაოები, შენობაში დაიდგმება სეისმოგრაფი და რაც მთავარია, გუმბათზე აღიმართება მოოქროვილი ფურცლებით დაფარული ჯვარი — როგორც ხედავთ, დიდი სამუშაოა შესასრულებელი; მაგრამ ეს მშენებლობა განსაკუთრებული მოვლენაა და აქ უკან დახევა, რაიმე საკითხის ჩაგდება შეუძლებელია.**

**წმიდა სამების საკათედრო ტაძარი ხომ უფლისათვის მთელი ერის სახელით შესაწირი საჩუქარია — სიმბოლო საქართველოში ორიათასწლოვანი ქრისტიანობის უძლეველობისა, ღვთისადმი ჩვენი ერის მადლიერებისა; აღთქმა უფლის წინაშე თავდადებული სიყვარულისა და ერთგულებისა. სწორედ ამიტომ საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ამ საშვილიშვილო საქმეს „საუკუნის მშენებლობა" უწოდა და საზოგადოებამაც ასე დაუმკვიდრა სახელი...**

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ბრძანებს, რომ მშენებლობაში მონაწილეობა, ნებისმიერი სახით, უფლის თაყვანისცემას ნიშნავს. ეს გაცნობიერებული აქვს თითოეულ ჩვენგანს, ყველა იმ ადამიანს, ვინც თანხას სწირავს ან საკუთარი შრომით მონაწილეობს მშენებლობაში...**

— და შემომწირველები ბევრია, ბატონო ირაკლი?

— **თქვენ წარმოიდგინეთ, კი. ტაძარი ხომ ძირითადად შემოწირულობებით შენდება. მინდა აღვნიშნო, რომ დღეისათვის სამშენებლო მოედანი, რომელიც მოიცავს ტაძრის კარკასს მთლიანად, სამრეკლოს, ტაძრის მთავარ კარიბჭეს და სხვა ობიექტებს, დაყოფილია სეგმენტებად. და თუ სპონსორი გამოჩნდება, თითოეული მათგანი შეიძლება ცალ-ცალკე მოპირკეთდეს. მაგალითად: მსურველს შეუძლია ტაძარში მდებარე 9 ეკლესიიდან რომელიმესთვის — ან კანკელისთვის, კარიბჭისთვის ან სხვა რომელიმე სეგმენტისთვის გაიღოს შესაწირი და თავისი ქველმოქმედებით უკვდავყოს ორგანიზაციის ან ინდივიდის სახელი. ჩვენ ფონდში აღნუსხული გვაქვს და წიგნებადაა გამოცემული ქველმოქმედთა სია. არიან ადამიანები, ვინც ლარს, ზოგი ათასობით ლარს, ზოგი ნაკლებს სწირავს, ხურდებს ყრის ყულაბებში. მოგეხსენებათ, წყალობა არ იზომება და დედაბრის ორი ლეპტასი არ იყოს, ყველას თავისი წვლილი შეაქვს ამ საშვილიშვილო საქმეში; ყველა მათგანს მიეგება სიკეთისათვის, თუმცა ჭეშმარიტი მორწმუნენი სამაგიეროსთვის არ ირჯებიან — ბევრმა ადამიანმა ისე გაიღო შესაწირი, ვინაობაც კი არ გაუმხელია. ასეა გენერალური სპონსორის შემთხვევაშიც. თუმცა ამ ღვაწლს საუკუნეები შეინახავს და ქართველთა თაობები იამაყებენ, რომ ასეთი ქველი წინაპრები გვყავდა. თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგჯერ მშენებლობაზე მოდიან ადამიანები, რომელთაც ფულის შემოწირვა არ შეუძლიათ, მაგრამ მოხალისედ, ფიზიკურად მუშაობენ მშენებლობაზე. ვუყურებ მათ და ვგრძნობ, რომ ასეთი ადამიანების წყალობითაც მოაღწია დღემდე საქართველომ.**

**არ დამავიწყდება მშენებლების სიმტკიცე, უამრავი კეთილი ადამიანის თანადგომა მაშინ, როცა ფონდს ძალიან უჭირდა. იყო შემთხვევები, თვეების განმავლობაში ვერ ვარიგებდით ხელფასებს. კარდაკარ გვიხდებოდა სიარული თითოეული ლარის მოსაპოვებლად. ყველაფერი კი დაახლოებით 10-12 წლის წინ დაიწყო. კონკურსი ტაძრის პროექტისათვის ერთად გამოაცხადეს სრულიად საქართველოს საპატრიარქომ, საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა და თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომმა. მონაწილეობდა 110 ავტორი. კონკურსში არჩილ მინდიაშვილის პროექტმა გაიმარჯვა და 1995 წლის 23 ნოემბერს, გიორგობის დღესასწაულისათვის პირველი წერაქვი შეეხო ელიას მთის კურთხეულ მიწას. ხოლო 1996 წლის 3 მარტს, სამებობის დღესასწაულზე ჩავასხით პირველი ბეტონი... უამრავი ხალხი შეიკრიბა ელიას მთაზე. აქ ბრძანდებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი, პატრიარქი, სამეფოს გვარის წარმომადგენლები. ათასობით ადამიანი იდგა გაჭრილი ქვაბულის ძირში, ხელთ ეპყრათ ქვები, რომელზეც საკუთარი გვარ-სახელი ამოეკაწრათ და მომავლის იმედით, სასოებით ალაგებდნენ საძირკველში.**

**შევყურებდი მათ და ვფიქრობდი, რა კარგი იქნება, რომ ეს ადამიანები უკვე აშენებულ ტაძარში იდგნენ და ლოცულობდნენ... იმ გადასახედიდან კი არა, კარგა ხანს ჩანდა შორს ეს სურვილი. ყოველი შემთხვევისათვის ასე იყო მანამ, ვიდრე მშენებლობას საქართველოს პრეზიდენტი, ბატონი ედუარდ შევარდნაძე მოინახულებდა. ამ სტუმრობას მოჰყვა იმ ქველმოქმედის გამოჩენა, ასე ჩუმად უხმაუროდ რომ აკეთებს საქმეს და ჩვენგანაც დუმილს ითხოვს. მაგრამ შეხედეთ ამ ცად აღმართულ ტაძარს, ამ სამრეკლოს, ამ მშვენიერ კარიბჭეს? — განა მათზე უკეთ შევძლებთ ვთქვათ რამე?..**

— და მაინც, ბატონო არჩილ, რას იტყვით თქვენ, მთავარი არქიტექტორი?

**— ვეთანხმები ბატონ ირაკლის, რომ წმიდა სამების საკათედრო ტაძრის აგება, საქართველოს ისტორიაში ახალი ეპოქის დაწყებად უნდა მივიჩნიოთ; ერის ეს სულიერი აღმასვლა, სურვილი დაიბრუნოს უფალთან ერთობა, ღირსეული პატივი მიაგოს წარსულს და ღვთის სადიდებლად შექმნას მომავალი თავისი, მიგვანიშნებს იმ ნათელი გზისკენ, სადაც გადარჩენაა... ჩვენ ქართველები ვართ. იმ ერის შვილები, ვინც ააგო ოშკი, ბაგრატი, გელათი, სვეტიცხოველი... შექმნა „ვეფხისტყაოსანი"...**

**სწორედ ამიტომ, ჩვენთვის ქართველი არქიტექტორებისათვის, კონკურსის გამოცხადება, თბილისში ასაგები წმიდა სამების საკათედრო ტაძრისათვის, მართლაც უდიდესი გამოცდა იყო. იმიტომ, რომ ჯერ გარკვეული სულიერი სიმაღლე უნდა მოგვეპოვებინა, საკუთარ თავთან გაგვემარჯვა და მერე დაგვეწყო მუშაობა. რწმენის ძალით თვალნათლივ დავინახე ტაძრის ფორმები, შინაგანი ძალა მკარნახობდა მის შინაარსს. ეს დიდი პასუხისმგებლობა და დიდი შიში იყო ღვთის წინაშე. თანაც ბოლო ცხრა საუკუნის განმავლობაში საკათედრო ტაძარი არ აგვიშენებია. ღვთის წყალობით, მანამდე მცირე ეკლესიების აგებაზე ვმუშაობდი. მიღებული გამოცდილება დამეხმარა პროექტის შექმნაში. რაც უფრო წინ მიდის მშენებლობა, მით უფრო მემატება იმედი იმისა, რომ წმიდა სამების საკათედრო ტაძარი ღირსეულ ადგილს დაიჭერს ერის სულიერ მემკვიდრეობაში.**

— ბატონო ირაკლი, მახსოვს, ადრე იმაზეც იყო მსჯელობა, რამდენად აუცილებელი და შესაძლებელი იყო ამ მასშტაბის ტაძრის აშენება.

**— მასშტაბები მართლაც გრანდიოზულია სიმაღლე ჯვრით 99 მეტრს მიაღწევს. ფართობი კი 100 კვ მეტრზე მეტი იქნება. ისიც მართალია, რომ იყო საუბარი, ამოდენა ტაძრის აგება, ასეთ პირობებში საჭირო არ არისო, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტმა, როგორც კათოლიკოს-პატრიარქმა იმთავითვე, ამ საკითხზე დაიწყეს საუბარი, აღნიშნეს, რომ ქართველი ერი თავისი ისტორიიდან გამომდინარე, იმსახურებს ასეთი გრანდიოზული საკათედრო ტაძარი ჰქონდესო... მართლაც, დღეს რომ ვაკვირდებით, დღესასწაულებზე, დიდი ტაძარი კი არა, ეზოც ვერ იტევს მრევლს.**

ელიას მთაზე ამჟამად ძირითად სამუშაოებს კომპანია „თბილისის" (კომპანიის პრეზიდენტი თემურ ჩარკვიანი) და „საბა XXI"-ის (ჯანგულ ყავლაშვილი) მშენებლები აწარმოებენ. მათ გვერდითაა შპს „იუნორმშენის" (ოლეგ სადუნიშვილი), „ლოსდის" (ლევან დონაძე), „სარინის" (იუზა ჩუბინიძე), „მრეწვენტილაციის" (ომარ მეტრეველი) და სხვა კოლექტივები. ამჯერად სულ 300-350 ადამიანი მუშაობს. ბევრი მათგანი უკვე მშენებარე ტაძრის მრევლია და ყოველ შაბათ-კვირას წირვა-ლოცვას ესწრებიან, რომელსაც პატრიარქის ხელდასხმით სამების ლავრის წინამძღვარი მამა ექვთიმე (ლეჟავა) აღავლენს. საქართველოს პატრიარქი თითქმის ყოველ კვირას სტუმრობს მშენებლობას. ერთ-ერთ სტუმრობას ჩვენს შევესწარით, მისმა უწმინდესობამ საღვთო მოსაკითხი, პურ-ღვინო და სანოვაგე ამოუტანა მშენებლებს, ლოცვა აღავლინა და განსაკუთრებული ძალა შემატა ყველას.

თუ დღევანდელ დაძაბულ ყოველდღიურობას გავითვალისწინებთ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს პრეზიდენტი აქაურობის საკმაოდ ხშირი სტუმარია. ბუნებრივიცაა, ბატონი ედუარდი და მისი უწმინდესობა ილია II ხომ ტაძრის მშენებლობის ფონდის საპატიო პრეზიდენტები ბრძანდებიან. თუმცა ერთხელ შენიშვნაც კი გამოუთქვამს მის აღმატებულებას, მხოლოდ საპატიო პრეზიდენტი კი არ ვარ, ფონდში ფულსაც ვიხდიო... ბატონი ედუარდის იუმორს მსოფლიო აფასებს, მაგრამ ამჯერად როგორც გვითხრეს, თურმე საკმაოდ სერიოზულადაა საქმე; ბატონ პრეზიდენტს (მისივე ფონდის შემოწირულობებზე რომ არაფერი ვთქვათ) პირადი ჰონორარებიდან 46 ათასი დოლარი შეუტანია მშენებლობის ფონდში.

თუმცა, საუკუნის მშენებლობაზე ზრუნვა, მხოლოდ შემოწირულობებით არ შემოიფარგლება. იგი, როგორც ბატონმა ირაკლიმ გვითხრა, მუდამ ნახულობს დროს მშენებლობის საკითხებზე სასაუბროდ და მშენებლებს ყველა ძირითადი პრობლემის მოგვარებაში ეხმარება. წლეულს, 14 მაისსაც, როცა კიდევ ერთხელ შეიკრიბენ პრეზიდენტთან სათათბიროდ, ფონდის მესვეურებმა ქვეყნის მეთაურს ისევ სთხოვეს დახმარება ზოგიერთი სასწრაფოდ მოსაგვარებელი საკითხის გადაწყვეტაში. ესენია: ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საშუალო სკოლისა და ბაგა-ბაღის სხვაგან გადატანა და მათი დაკმაყოფილება საჭირო შენობით, მიმდებარე ტერიტორიის დეტალური დაგეგმარების პროექტის დამუშავება, ტაძრის მშენებლობისა და ბოლნისის კარიერის ელექტროენერგიით უწყვეტი მომარაგება, რადიოსალოკაციო ანძის გადაადგილება, კანონპროექტის მომზადება ტაძრის მშენებლობისათვის საგადასახადო შეღავათების გავრცელების თაობაზე. იმედი აქვთ, როგორც არაერთი საკითხი, ეს პრობლემებიც მალე მოგვარდება.

როგორც მუშებმა გვითხრეს, პრეზიდენტის სტუმრობას მშენებლობაზე ყოველთვის განსაკუთრებულად ელიან. საქმე ის არის, რომ მის მობრძანებას ყოველთვის სასიკეთო ძვრები მოჰყვება ხოლმე.

ერთხელ საკუთარი დაბადების დღეზეც კი მოუნახულებია მშენებლობა მას.

**— 45 მეტრ ნიშნულზე ვასხამდით ბეტონს, — ამბობს ჯანგულ ყავლაშვილი — მოვიხედე და დავინახე ბატონი ედუარდი სამშენებლო კიბეებზე ამოდის. 45 მეტრის სიმაღლეზე თანრიგოსან მუშებსაც უჭირთ ამოსვლა, მას კი წარბიც არ შეუხრია; ყველას მოგვესალმა, გაგვამხნევა, ჩვენც დაბადების დღე მივულოცეთ. წარმოგიდგენიათ, იუბილარი პრეზიდენტი სწორედ ჩვენთან მოვიდა სტუმრად...**

მშენებლების როლს, ალბათ, განსაკუთრებულად შეაფასებს ერი და ისტორია. წმიდა სამების საკათედრო ტაძარს ბევრი სტუმარი ეყოლება; საუკუნეებს გაუძლებს მისი სიდიადე, ერთიანი, ძლიერი, მარადიული საქართველოს სიმბოლოდ დაიმკვიდრებს ადგილს კაცობრიობის ისტორიაში. ეს ცადაწვდილი სვეტთა შეკონება კი მდუმარედ შეინახავს ყველა იმ ადამიანის გარჯის ამბავს, ვინც ტაძრის მშენებლობაზე ალალი გულითა და სუფთა ხელებით თუნდაც ერთი კენჭი მიიტანა.

**ია მაჭავარიანი.**



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

GCF

# ლაზიერი

6
(63)

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისა და გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ერთობლივი ყოველთვიური გამოცემა

## ფედერაციის პრეზიდენტი

# თვიდან თვემდე

**როგორც „ლაზიერის“ მკითხველებმა იციან, ამ რუბრიკაში საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი ნინო ზურიელი მიმოიხილავს გასული თვის საჭადრაკო მოვლენებს. ივნისში ევროპის ვაჟთა ჩემპიონატში ზურაბ აზმაიფარაშვილმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. არის სხვა მიღწევებიც.**

– არასოდეს დამავიწყდება 14 ივნისი, როდესაც სტამბოლში საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი აჟღერდა. სცენაზე კონტინენტის ჩემპიონის თასით ხელში ქართველი კაცი იდგა.

ეს გამარჯვება, როგორც თავის მილოცვაში საქართველოს პრეზიდენტი ბატონი ედუარდ შევარდნაძე აღნიშნავს, გვარწმუნებს, რომ „ქართული ჭადრაკის სკოლა კვლავ ღირსეულად წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო სარბიელზე“.

ძალიან მნიშვნელოვანი და ამაღელვებელია ის ფაქტი, რომ ევროპის 2003 წლის ჩემპიონი მიიღო და დალოცა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II-მ.

მადლობას ვუხდი ჩემს მეგობარს და კოლეგას **ზურაბ აზმაიფარაშვილს,** რომელმაც ყველაზე დიდი საჩუქარი გამიკეთა, როგორც ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტს. ამავე დროს ვულოცავ ქართული ჭადრაკის გულშემატკივრებს, ყველას, ვინც გულით გაიხარა ამ დიდი გამარჯვებით. ზურაბ აზმაიფარაშვილის ტრიუმფმა დასაბამი უნდა მისცეს ახალ გამარჯვებებს, რასაც ნამდვილად იმსახურებს ჩვენი ხალხი, ჩვენი ქვეყანა. ეს გამარჯვება ადვილად არ მოსულა. ის მოპოვებულია ურთულეს ბრძოლაში, ამიტომაა განსაკუთრებული ამ გამარჯვების ფასი.

დღევანდელი გადასახედიდან ვიტყვი, რომ ზურაბის ყველა წარმატება ჩემს თვალწინ ხდებოდა. მახსოვს მისი პირველი გამარჯვება, როდესაც ორივენი შოთა ინწკირველთან ვმეცადინეობდით. მაშინ თენგიზ გიორგაძემ ერთ სტატიაში ასეთი ფრთიანი გამოთქმაც იხმარა: „ზურაბი, ნინო და გამარჯვება“. როდესაც 1988 წელს შორეულ ჰავანაში საერთაშორისო დიდოსტატი გახდა, მაშინაც ერთად ვიყავით. მახსენდება 1998 წლის ელისტის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა. მე მაშინ საქართველოს ვაჟთა



ოლიმპიური გუნდის კაპიტანი ვიყავი, ზურაბმა ოლიმპიადაზე აბსოლუტურად საუკეთესო შედეგი აჩვენა. ევროპის 2001 წლის ჩემპიონატში მე ერთ-ერთმა პირველმა მივულოცე მას ბრინჯაოს მედალი.

მოჭადრაკეები უცნაური ხალხი ვართ. შეიძლება ყველა ეს ეპიზოდი შემთხვევითობის ელემენტით ახსნა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არსებობს კანონზომიერება, როდესაც გულწრფელად გინდა მეგობრის გამარჯვება, მის გვერდში დგომით, მას ენერგიაც გადაეცემა და გამარჯვების ქინიც უათმაგდება...

ევროპის ვაჟთა და ქალთა ჩემპიონატზე საქართველო ღირსეულად წარმოჩინდა. მოპოვებულია მსოფლიო ჩემპიონატის ხუთი ახალი ლიცენზია.

**გიგა ყაჭეიშვილი** წლეულს შემოდგომაზე პირველად იასპარეზებს ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე. შეგახსენებთ, რომ ევროპის 2002 წლის შედეგების გათვალისწინებით მსგავსი საგზური ახალგაზრდა დიდოსტატმა **მერაბ გაგუნაშვილმაც** მოიპოვა. ასე რომ, ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატში პირველად ითამაშებს ერთდროულად სამი ქართველი ვაჟი მოჭადრაკე.

ექვსი ლიცენზია გვაქვს ქალთა მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში. პერსონალურად მიწვეულ **მაია ჩიბურდანიძეს** ჯერ კიდევ შარშან ევროპის ქალთა ჩემპიონატის შედეგებიდან გამომდინარე დაემატა **ნინო ხურციძე.** სტამბოლში კი თავი ისახელეს **მაია ლომინეიშვილმა, ლელა ჯავახიშვილმა, ანა მათნაძემ და სოფიკო ტყეშელაშვილმა.** ცალკე აღნიშვნის ღირსია ლელა ჯავახიშვილი, რომელიც მალე დიდოსტატის რანგში მოგვევლინება.

გულითადად ვულოცავ მათ თავიანთ საჭადრაკო კარიერაში ახალ, მნიშვნელოვან ფურცელს და ვიმედოვნებ, რომ ისინი ღირსეულად გამოვლენ წლის ყველაზე უმთავრეს ტურნირში – მსოფლიო ჩემპიონატში.

თუმცა ჩვენ შეგვიძლია მსოფლიო ჩემპიონატის კიდევ ერთი საგზურის მოპოვებაც: გაითვალისწინა რა შავი ზღვის აუზის ქვეყნების საჭადრაკო ფესტივალის მაღალი დონე, ფიდეს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა ფესტივალის გამარჯვებული ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატში მიიწვია. ფესტივალი ბათუმში 8 ივლისს გაიხსნება. ტრადიციულად, ბათუმის ფესტივალი დიდი საჭადრაკო ზეიმია. ძნელი სათქმელია, როგორ ჩატარდება წლევანდელი ფესტივალი. ყველამ დიდი მწუხარებით შევიტყვეთ ქალბატონ მაგული გოგიტიძის ამ ცხოვრებიდან ნაადრევად წასვლის ამბავი. გვახსოვს მისი ადამიანური სითბო, გულთბილი და კეთილგანწყობილი დამოკიდებულება. ქართველი მოჭადრაკეების სახელით მინდა თანავუგრძნო ბატონ ასლან აბაშიძეს და მის ოჯახს ეს აუნაზღაურებელი დანაკლისი.

## მილოცვა

# ზურაბ აზმაიფარაშვილს

**ბატონო ზურაბ,**

**მინდა მოგილოცოთ ესოდენ დიდი გამარჯვება. გულითადად მიხარია, რომ პირველად ჭადრაკის ისტორიაში ევროპის ჩემპიონის ტიტული მამაკაცთა შორის ქართველმა მოიპოვა.**

**ჩვენი ერი არ დაივიწყებს თქვენს უდიდეს ღვაწლს ეროვნული სპორტის განვითარების ისტორიაში.**

**მჯერა, ქართული ჭადრაკის სკოლა კვლავ ღირსეულად წარმოაჩენს ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო სარბიელზე.**

**კიდევ ერთხელ გილოცავთ გამარჯვებას და გისურვებთ შემდგომ წინსვლასა და წარმატებებს სპორტულ სარბიელზე.**

**ედუარდ შევარდნაძე.**



## მსოფლიო პირველობა

# ნანა ძაგნიძე ერთპიროვნულად ლიდერობს

ნახჭევანში (აზერბაიჯანი) გრძელდება 20 წლის მოჭადრაკეთა მსოფლიო პირველობა, რომელშიც საქართველოს 4 წარმომადგენელიც მონაწილეობს.

ქალებში ჩინებული შედეგით – 5 შესაძლებლიდან 5 ქულით 16 წლის ქუთაისელი საერთაშორისო ოსტატი, საქართველოს ქალთა წლევანდელი ჩემპიონატის გამარჯვებული, სხვადასხვა ასაკში ორ-ორგზის მსოფლიო და ევროპის ჩემპიონი ნანა ძაგნიძე ლიდერობს. მეხუთე ტურში მან ინდოელი მოჭადრაკე დაამარცხა. უახლოესი მეტოქეები ნანას ქულანახევრით ჩამორჩებიან.



ვაჟთა ტურნირში შვიდი ტური გათამაშდა. ზვიად იზორიამ ბოლო შეხვედრა აზერბაიჯანელ შაჰრიარ მამედიაროვთან ყაიმით დამთავრდა და 5 ქულით II-VI ადგილებს იყოფს. თავიანთი პარტიები მოიგეს გიგა ყუფარაძემ და ლევან ფაცულაიამ. ორივე მოჭადრაკეს 7 შესაძლებლიდან 4,5-4,5 ქულა აქვს.

პირველობის დამთავრებამდე 6 ტური დარჩა.

# „მჟღლი კონტინენტის“ ახალი ჩემპიონი

სტამბოლში 15 ივნისს დამთავრდა ევროპის მოჭადრაკე ქალთა (115 მონაწილე) და ვაჟთა (207 მონაწილე) მე-4 ჩემპიონატები. მოასპარეზეთა შორის 17 დიდოსტატი და საერთაშორისო ოსტატი საქართველოდან იყო. განსაკუთრებით ისახელა თავი ფიდეს ვიცე-პრეზიდენტმა, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის თანაპრეზიდენტმა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჭადრაკის ასოციაციის პრეზიდენტმა **ზურაბ აზმაიფარაშვილმა.** 13 შესაძლებლიდან მან 9,5 ქულა მოაგროვა და საქართველოს ჭადრაკის ისტორიაში პირველმა მოიპოვა ევროპის ჩემპიონობა. მას ნახევარნახევარი ქულით ჩამორჩნენ რუსი ვლადიმირ მალახოვი და გერმანელი ალექსანდრ გრაფი. მეორე-მესამე ადგილებიც ასეთი თანმიმდევრობით განაწილდა. ვერცხლის მედლის ბედი ამ ორ მოჭადრაკეს შორის ტაი-ბრეიქმა გადაწყვიტა.

8 ქულით 35-ე ადგილზე გავიდა **გიორგი ყაჭეიშვილი,** რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატის საგზური მოიპოვა.

ქალთა შორის ოქროს მედალი შვედმა პია კრამლინგმა დაიმსახურა. მართალია, მან ლიტველ ვიქტორია ჩმილიტეს მსგავსად 8,5 ქულა მოაგროვა, მაგრამ ტაი-ბრეიქებში იმარჯვა. ბრინჯაოს მედალი რუს ტატიანა კოსინცევას ერგო.

თუმცა, ქართველი მოჭადრაკე ქალები პრიზიორთა შორის ვერ მოხვდნენ, მაგრამ **მაია ლომინეიშვილმა** (7 ქულა, მე-14 ადგილი), **ლელა ჯავახიშვილმა** (7, მე-17), **ანა მათნაძემ** (7, 22-ე) და **სოფიო ტყეშელაშვილმა** (6,5, 33-ე) წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მიიღეს.

გაუწყებთ დანარჩენ ქართველ მოჭადრაკეთა მონაგარს; ნინო ხურციძე (6,5 ქულა), ნანა ძაგნიძე (6), სოფიო გვეტაძე (6), ნონა გაფრინდაშვილი (5,5), ქეთევან არახამია-გრანტი (5); ნათია ჯანჯღავა (5); მიხეილ მჭედლიშვილი (7), ბაადურ ჯობავა (7), ზურაბ სტურუა (6,5), მერაბ გაგუნაშვილი (6,5), ზვიად იზორია (6).

## თვის ლაურეატები



გიგა ყაჭეიშვილი.



მაია ლომინეიშვილი.



ლელა ჯავახიშვილი



ანა მათნაძე.



სოფიკო ტყეშელაშვილი.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

პრაქტიკა

# ასე თამაშობდა ზურაბ აზმაიფარაშვილი

18 ივნისს თბილისის ჭადრაკის სასახლეში ევროპის ჩემპიონმა, დიდოსტატმა ზურაბ აზმაიფარაშვილმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც სტამბოლში დამთავრებულ ევროპის IV ჩემპიონატის შედეგებზე ისაუბრა.

შეკითხვებზე პასუხებისას აზმაიფარაშვილმა განაცხადა:

— ჩემპიონის სახელისთვის ბრძოლის რეალური შესაძლებლობა პირველად მეცხრე ტურში ვიგრძენი რუს დიდოსტატ ვლადიმერ მალახოვთან გამარჯვების შემდეგ. მაშინვე დავგეგმე მიზნის მისაღწევი გზა. ორი „დიდოსტატური ყაიმით" დავზოგე ძალა და მეთორმეტე ტურში გადამწყვეტი ბრძოლა გავუმართე ჰოლანდიელ ვან ველის, რომელიც თავად იყო ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი. ამ პარტიის მოგებამ ჩემპიონობა და დიდი შემოქმედებითი კმაყოფილება მომიტანა.

გთავაზობთ ზემოთ დასახელებულ პარტიებს.

ზ. აზმაიფარაშვილი



ვ. მალახოვი.

ეს პოზიცია შეიქმნა თეთრების 39-ე სვლის შემდეგ. ზურაბს პარტია გადაჰყავს მოსაგებ ენდშპილში. იგი საუცხოოდ იყენებს კუსა და პაიკების უპირატესობას ეტლის წინააღმდეგ.

39. ... ეe4 40. მფf3 ეg4
41. მფg4 კf6 42. ეf3 კe5
43. ეf7 a5 44. მფg5 კc3
45. მფg6 მფb4 46. ეc7 კd4
47. ეc2 კc3 48. მფf5 მფc4
49. მფe4 b5 50. ეc1 b4
51. ეb1 b3 52. ab ab
53. მფe3 b2 54. მფe2 b5
55. ეh1 b4 56. ეf1 კg7
57. მფd2 მფb3
58. მფd3 კh6 59. მფd4. 0:1.

ზ. აზმაიფარაშვილი



ლ. ვან ველი.

ამ პარტიაში თავიდანვე დიდი ბრძოლა მიმდინარეობს ინიციატივის დასაუფლებლად. თანდათან ზურაბის პოზიციური უპირატესობა გამოიკვეთა. გონებამახვილურად ზურაბმა ხარისხი მოიგო, მაგრამ დაძაბულობა არ განელებულა. დიდი ძალისხმევა დასჭირდა ზურაბს, რომ ჰოლანდიელის ბანაკში შეჭრილიყო, რამაც მოშალა კიდეც თეთრების მძაფრი წინააღმდეგობა.

ეს პარტია ღირსეულ ადგილს დაიჭერს ევროპის ჩემპიონის შემოქმედებაში.

34. ... მe5! 35. de ეc1 36. ლd2 ეd1
37. ლd1 კe7 38. ლd5 კg5
39. hg ეg6 40. კc3 ლe6
41. ლd1 მფg8 42. ლh5 ეg7
43. ლd1 ეd7 44. კd4 ეc7
45. მფf2 მფg7 46. კc3 ეc8
47. ლd4 მფg6 48. მფg3 ეc7
49. ლd1 ეd7 50. კd4 ლc4
51. მფf2 ლc6 52. ლb3 ეd8
53. e6 ეe8 54. ეe7 ლd7
55. კf6 ეc8 56. მფe2 a5
57. კd4 a4 58. ლb4 ეe8
59. კf6 ლd3 60. მფf2 ლc2
61. მფe1 ლb1 62. მფf2 ლc2
63. მფg3 ლe2 64. კd4 ლf3
65. მფh2 ლf2 66. მფh3 მფh5
67. g6 ეc8 68. კc3 ლe3
69. მფg2 ლe2 70. მფg1 მფg4
71. ლd4 მფf3 72. ლd2 ლd2
73. კd2 e3 74. კc3 e2
75. g7 მფg3 76. კe1 მფf3
77. მფh2 მფf4 78. მფg2 მფg5
79. მფf2 მფf6 80. კc3 მფe7
81. მფe2 მფf7 82. მფd3 ეg8
83. მფd4 ეg7 84. მფc5 f4
86. კd4 ეg5. 0:1.

ეს პარტიები მეტყველებს ქართველ მოჭადრაკეთა ლიდერის დიდ შემოქმედებით წინსვლაზე.

# ოცნება აისრულა

ნიჭიერმა ახალგაზრდა დიდოსტატმა გიგა ყაჭეიშვილმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა თავისი სპორტული შეუპოვრობით.

სტარტზე სამ შეხვედრაში მან 2,5 ქულა მოაგროვა, მაგრამ მომდევნო ოთხ ტურში მხოლოდ ერთი ქულა შემატა ნადავლს. ორმა წაგებამ რთული ამოცანის წინაშე დააყენა იგი. საჭირო იყო ძალთა დიდი მობილიზაცია, საკუთარი თავის რწმენა, რომ წარმატებით განეგრძო ბრძოლა მსოფლიო პირველობის საგზურისთვის. გიგამ შესაშური ნებისყოფა გამოავლინა და ზედიზედ სამი პარტია მოიგო, ბოლოს სძლია ევროპის 2001 ჩემპიონს პოლონელ დიდოსტატ ბ. მაჩეიას. ბოლოს გიორგიმ საჭირო ქულანახევარიც მოაგროვა და ოცნება სინამდვილედ აქცია. მან 15-46 ადგილები გაიყო, კოეფიციენტთა ცხრილით კი 35-ე ადგილი დაიკავა.

ვულოცავთ გიორგი ყაჭეიშვილს დიდ სპორტულ და შემოქმედებით მიღწევას. გთავაზობთ მის ერთ-ერთ შინაარსიან პარტიას, რომელშიც კარგად ჩანს მისი მდიდარი შესაძლებლობები.

ბ. მაჩეია



გ. ყაჭეიშვილი

32. g3 fg 33. fg ეg6
34. ეbb1 ლh3 35. ლb5 ეg3
36. ლe8 მფh7 37. ეg3 ლg3
38. ეf1 ლg2 39. მd2 მh6
40. ლh5 c4 41. dc ეc4
42. ლf3 ლf3 43. ეf3 ეc7
44. მფd3 ეf7 45. ეg3 ეd7
46. მc4 მf7 47. ეf3 კc7
48. ეf5 ეe7 49. კb4 ეd7
50. კc5 კb8 51. კe3 მფg8
52. ეf2 g6 53. ეf6 მფg7
54. ეe6 მფh7 55. ეe8 კc7
56. კa7 მd6 57. მe5 მe8
58. მd7 კa5 59. კb6 კe1
60. e5 კh4 61. d6 მფg7
62. მფe4 მფf7 63. მფd5 მg7
64. მc5 g5 65. e6 მe6
66. მe6 g4 67. d7 g3
68. d8ლ კd8 69. მd8 მფf6
70. მფe4 1:0.

თენგიზ გიორგაძე.

არბიტრი

# ტურნირიდან — ტურნირზე

სტამბოლში ევროპის ჩემპიონატს გამოცდილ მსაჯთა კორპუსი ემსახურებოდა, მათ შორის — ცნობილი თბილისელი საერთაშორისო არბიტრი **ევგენი მელიქსეთ-ბეგი.** მაღალი რეპუტაციის და ფართო ერუდიციის მქონე ევგენი მოჭადრაკეთა შორის დიდი ავტორიტეტით სარგებლობს. ვრცელია მის მიერ ნამსაჯი ტურნირების ნუსხა. ალბათ, არ მოიძებნება მსოფლიოში მეტნაკლებად ცნობილი მოჭადრაკე, ვისთვისაც მას პარტიის დაწყებისას საათი არ ჩაერთოს.

სტამბოლიდან დაბრუნებული ევგენი მელიქსეთ-ბეგი სულ მალ ჩეხეთში გაემგზავრება, სადაც სამი დიდი საერთაშორისო ტურნირის მთავარი მსაჯი იქნება.



სურათზე: ევგენი მელიქსეთ-ბეგი.

მემორიალი

# ვახტანგ ქარსელაძის ხსოვნას მიეძღვნა



თბილისის ჭადრაკის სასახლეში დამთავრდა ცნობილი მწვრთნელის ვახტანგ ქარსელაძის მემორიალი, რომელშიც სხვადასხვა რაიონისა და ქალაქის 8, 10 და 14 წლის მოჭადრაკეთა 50-ზე მეტი გუნდი მონაწილეობდა.

რვაწლიანებში ყველას ფოთის გუნდმა „ნანამ" (ზურაბ ესიავა, ნინო ანაკიძე, ირაკლი სურგულაძე, მარიამ ასათიანი, მწვრთნელი დავით კოდუა) აჯობა. მეორე ადგილზე გავიდა ზუგდიდის „ლაზიკა" (მწვრთნელი გოჩა თორია), მესამე იყო თბილისის „ჭადრაკის სასახლე" (მაყვალა ხანთაძე).

ათწლიანებში უძლიერესის სახელი ზუგდიდის „ნონამ" (ილია ხვიტია, სალომე მოსიძე, გიორგი ალმასია, დიმა კვარაცხელია, მწვრთნელი გოჩა თორია) მოიპოვა, რომელმაც ფინალში თბილისის 147-ე სკოლის პირველი გუნდი (მწვრთნელი ზაზა ჭკუასელი) დაამარცხა. მესამე ადგილი დედაქალაქის „ალადინს" (დავით ჯაფარიძე) ხვდა.

თოთხმეტწლიანებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. რუსთავის „აზოტი" (ვახტანგ ხიზანიშვილი, ლუკა პაიჭაძე, გეგა მაისურაძე, თეონა მესხი, მწვრთნელი ხვიჩა ბახტაძე), 2. თბილისის „იმედი" (ლაშა ჯანჯღავა), 3. თბილისის „ვარსკვლავი" (ალექსანდრე ყაშაშვილი).

ტურნირის დირექტორმა აკაკი იაშვილმა გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

ვაჟა დანელია.

სურათებზე: ფოთის „ნანა", ზუგდიდის „ნონა" და რუსთავის „აზოტი".

ავტორის ფოტო.







ფესტივალი

# მთავარი ტურნირი წინაა

გრძელდება საჭადრაკო ფესტივალი „ნონას თასი", რომელიც წლეულს მეორედ იმართება. ფესტივალის ორგანიზატორები არიან საქართველოს ოლიმპიური ფონდი და საჭადრაკო კლუბი „ნტნ".

10, 12, 14 და 16 წლის მოჭადრაკეებმა უკვე გამართეს შეხვედრები ვაჟთა და ქალთა შესარჩევ ტურნირში მოსახვედრად.

უმცროსი ასაკის გოგონების და ჭაბუკების ტურნირის შესახებ ჩვენ უკვე ვიუწყებოდით.

16 წლის მოჭადრაკეებმა ორდღიან და შვიდტურიან შეჯიბრებაში გაარკვიეს ურთიერთობა.

გოგონათა შორის 6 ქულით პირველი იყო **მაკა ფურცელაძე,** რომელსაც ნახევარი ქულით ჩამორჩა **სოფიკო გურამიშვილი.** მესამე ადგილზეა ბათუმელი **სალომე მელია.**

ჭაბუკთა შორის **ვახტანგ თევდორაშვილმა** იმარჯვა. მომდევნო ადგილები დაიკავეს **შოთა აზალაძემ** და **დავით ზარქუამ.**

ფესტივალის პროგრამით გათვალისწინებული ვაჟთა შესარჩევი ტურნირი 6-7 სექტემბერს არის დაგეგმილი. რაც შეეხება მთავარ ტურნირს, მისი გამართვის თარიღი მოგვიანებით გამოცხადდება.

რეზო სირბილაძე.

ინფორმაცია

# შეეცადეთ, ამოხსნათ

გაიმართა საქართველოს პირველობა საჭადრაკო კომპოზიციების ამოხსნაში. მონაწილეებს სამი საათის განმავლობაში 12 ამოცანა და ეტიუდი უნდა გადაეწყვიტათ. პირველი ადგილი მოიპოვა რუსთაველმა ეროვნულმა ოსტატმა **მიხეილ ყოჩიაშვილმა,** მეორე შედეგი აჩვენა **მიხეილ გაბესკირიამ,** მესამე იყო — თერჯოლელი **ემზარ ჭუმბურიძე.**

მკითხველებს ამოსახსნელად ვთავაზობთ სამსვლიან ამოცანას, რომელიც ლამაზი პირველი სვლით გამოირჩევა.



გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

## მიმოხილვა

# „ლაშქრობა ვეფხის ტყავის დასაუფლებლად“

## საზღვარგარეთული პრესის ფურცლებზე

როგორც წესი და რიგია, საზღვარგარეთის სპორტული (და არა მარტო სპორტული) პრესა დიდ ყურადღებას უთმობდა ევროპის ჩემპიონატებს სტამბოლში. აღინიშნა, რომ როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის ბრძოლაში ჩაება თითქმის ყველა წამყვანი მოჭადრაკე. რა თქმა უნდა, იყო ზოგიერთი გამონაკლისიც. არ თამაშობდნენ ვლადიმირ კრამნიკი, გარი კასპაროვი, პეტერ ლეკო და რუსლან პონომარიოვი, მათი მეტად არეულდარეული საჭადრაკო კალენდრის გამო. კერძოდ, მათ დღემდე არ იციან, როდის ან სად გაიმართება ე. წ. გამაერთიანებელი მატჩები მსოფლიო პირველობაზე, და, ცხადია, სტამბოლში ვერ ითამაშეს.

როდესაც მიმომხილველები ვაჟთა შეჯიბრების ძირითად ფავორიტებს ასახელებდნენ, მათ შორის, ცხადია, ზურაბ აზმაიფარაშვილიც იყო. განსაკუთრებით გამოჰყოფდნენ მსოფლიოს ახლანდელ ვიცე-ჩემპიონ ვასილი ივანჩუკს (უკრაინა), რომელიც, მათი აზრით, პაველ ტრეგუბოვის (რუსეთი), ემილ სუტოვსკის (ისრაელი) და ბართლომეი მაჩეიას (პოლონეთი) შემდეგ ევროპის მეოთხე ჩემპიონი უნდა გამხდარიყო. ექსპერტები, როგორც ეს ხშირად ხდება, მწარედ შეცდნენ...

ზურაბ აზმაიფარაშვილი თავიდან ბოლომდე ლიდერთა საკმაოდ მოზრდილ ჯგუფში იყო, მაგრამ საბოლოო შედეგებს რომელი გულთმისანი გამოიცნობდა. აი, პირველი „ქათინაური“ ზურაბის მიმართ (6 ტურის შემდეგ, როცა იგი 2-13 ადგილებს იყოფდა): „ლიდერს (ბელორუს დიდოსტატ ალექსეი ალექსანდროვს) ტოლს არ უდებს ქართველი „მძიმეწონოსანი“ ზურაბ აზმაიფარაშვილი. იგი ძალზე სერიოზული მებრძოლია, რომელიც (ერთადერთი მსოფლიოში) ახერხებს მაღალ დონეზე თამაშის შეთავსებას სხვადასხვა საორგანიზაციო და „ადმინისტრატორულ-სამეურნეო“ საქმიანობასთან. იგი ძალიან ძლიერია სწრაფ ჭადრაკში, ჩინებული ტაქტიკოსია და თავის შესაძლებლობებს ხელიდან არ უშვებს, რაც დაგვიმტკიცა კიდეც მეხუთე ტურში იუგოსლავიელ დამლიანოვიჩთან მოგებულმა პარტიამ“ (მოსკოველი მიმომხილველი მარკ გლუხოვსკი).

ტურნირის დამთავრების შემდეგ იგივე მიმომხილველი მოსკოვის „სოვეტსკი სპორტში“ წერდა: „ცამეტტურიან მარათონში ზურაბმა განსაკუთრებული საბრძოლო თვისება მოაგროვა და პირველი ადგილი წმინდად დაიკავა. ტურნირში ასზე მეტი დიდოსტატი მონაწილეობდა, რომელთაგან ბევრი მას შვილად ერგება, მაგრამ, როგორც ჩემპიონატმა გვიჩვენა, მეტოქეებად — არა. ზურაბი თითქმის მთელი ტურნირის განმავლობაში ლიდერობდა, ჩინებულ შედეგს (ექვსი მოგება და შვიდი ყაიმი) მიაღწია, თითქმის ერთადერთი ფავორიტი იყო, რომელმაც გულშემატკივრების იმედები გაამართლა. უცნაურიც კია, რომ 43 წლის დიდოსტატმა თავის კარიერაში ყველაზე მაღალ წარმატებას სწორედ ახლა მიაღწია, როცა ჭადრაკში მეცადინეობასთან ერთად მას მრავალრიცხოვანი ორგანიზაციული მოვალეობებიც აქვს, როგორც საქართველოს საჭადრაკო ფედერაციის თანაპრეზიდენტს და ფიდეს ვიცე-პრეზიდენტს.

მაგრამ ზურაბი ხომ საერთოდ არაორდინალური ფიგურაა. მან ჭადრაკი 4 წლისამ ისწავლა, იყო ერთ-ერთი უნიჭიერესი ჭაბუკი საბჭოთა კავშირში... პირველი ნამდვილად ძლიერი ქართველი დიდოსტატი გახდა და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატებში აღიარება დაიმსახურა. რამდენიმე წლის მანძილზე კასპაროვის სეკუნდანტი იყო, როგორც მცოდნე ადამიანები ამბობენ, ძალიან საინტერესოდ არჩევს საჭადრაკო პარტიებს. ზურაბი ჩინებულად იცავს საკუთარ პოზიციებს და ძალიან ღრმად გრძნობს ენდშპილს. სატურნირო სტრატეგია, რომელმაც ქართველ დიდოსტატს წარმატება მოუტანა, ასეთნაირად შეიძლება დავახასიათოთ: „ხელსაყრელი მომენტის ძებნა. როგორც გამოცდილმა მონადირემ, მან იცის, ვის უნდა დაესხას თავს და ვის დაუზავდეს. ზურაბმა 4 გამარჯვება შავი ფიგურებით მოიპოვა, მეტოქეს შეტევის საშუალებას აძლევდა, ზოგჯერ რისკის ზღვარზეც კი თამაშობდა... მეტად გამოცდილი მატადორის ჯილდო იყო გვარიანი პრიზი (დაახლოებით 30 ათასი დოლარი) და ჩემპიონის მედალი. თუმცა ამას აღემატება აღიარება და სიყვარული მშობლიურ საქართველოში“.

გამარჯვებულს რამდენიმე კითხვაზეც მოუხდა პასუხის გაცემა.

**— როგორი რეაქცია ჰქონდა თქვენს გამარჯვებაზე ნონა გაფრინდაშვილს, რომელიც ჩემპიონატში მონაწილეობდა?**

— იგი ძალიან გახარებული იყო. შინ რომ ვბრუნდებოდით, ბათუმში შევჩერდით, სადაც მან ისეთი სიტყვები წარმოთქვა, რომელიც დამამახსოვრდა. ილაპარაკა იმაზე, რომ ჩემს კარიერაში ახალი ათვლა იწყება. როცა ასეთი ქალი, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი, ამას ამბობს, ეს ძალიან ბევრს ნიშნავს.

**— როგორ ახერხებთ თქვენზე გაცილებით ახალგაზრდა მოჭადრაკეების დამარცხებას?**

— მე ყოველთვის იმის იმედი მაქვს, რომ დაფასთან მოვახერხებ მდგომარეობაში გარკვევას, არ მეშინია უცნობი პოზიციისა. დიახ, მეტოქეს შეუძლია შემომიტიოს, მეკვეთოს, მაგრამ მე ხომ კონტრშეტევა მეხერხება, ხელიდან არ ვუშვებ საკუთარ შესაძლებლობებს, თუ კი ამის საშუალება მომეცემა.



დიდოსტატმა ევგენი ვასიუკოვმა, რომელიც რუსეთში წამყვან საჭადრაკო კომენტატორად ითვლება, ზურაბ აზმაიფარაშვილის წარმატება სრულიად დამსახურებულად ჩათვალა. მისი აზრით, „ზურაბი თავის მიღწევას შავებით წარმატებულ თამაშს უნდა უმადლოდეს, რაც თანამედროვე ჭადრაკში იშვიათობაა“. ზურაბის თამაშის იგივე თავისებურება აღნიშნა გაზეთ „შახმატის“ კომენტატორმა ლეონიდ შმაჩკოვმაც.

მიმომხილველთა აზრით, ვაჟთა ტურნირში ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე ივანჩუკმა და გრიშჩუკმა ვერ მოახერხეს ყოველივე, იმის ჩვენება, რაც შეუძლიათ. „ივანჩუკმა მთელი ტურნირი მეტად დუნედ წარმართა. ნათელი არ იყო, საერთოდ რატომ ჩავიდა სტამბოლში, იგი ხომ ვალდებული არ იყო მოხვედრილიყო 39 უძლიერესს შორის მსოფლიო ჩემპიონატის საგზურის მოსაპოვებლად. ეს უფლება ხომ ისედაც აქვს. გრიშჩუკი დროდადრო ლიდერთა ჯგუფში გამოჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ განსაკუთრებული ძალისხმევის გამოვლენა ვერ შეძლო. განსაკუთრებული ძალისხმევის გარეშე ამნაირ ტურნირში ვერაფერს გახდები“.

დიდი გამოხმაურება ხვდა წილად ქალთა ჩემპიონატსაც, სადაც ამჯერად არ თამაშობდა რამდენიმე უძლიერესი დიდოსტატი (მაია ჩიბურდანიძე, ნანა იოსელიანი, რა თქმა უნდა, არც იუდით პოლგარი). ბევრი მოელოდა ალისა გალიამოვას (რუსეთი) გაჩემპიონებას, რომელიც ხანგრძლივი შესვენების შემდეგ ერთხანს მართლაც ჩინებულად თამაშობდა (6 მოგება და 2 ყაიმი 8 ტურის შემდეგ). მეცხრე და მეათე ტურებში ყაზანელმა წააგო ჯერ ვიქტორია ჩმილიტესთან (ლიტვა), შემდეგ ახალგაზრდა თანამემამულე ტატიანა კოსინცევასთანაც, საბოლოოდ 7,5 ქულით მხოლოდ მეექვსე ადგილზე აღმოჩნდა. ამდენივე მოაგროვს შარშანდელმა ჩემპიონმა ანტუანეტა სტეფანოვამ (ბულგარეთი) და ქეთევან კახიანმა (გერმანია), შესაბამისად მეშვიდე და მერვე ადგილებზე რომ გამოვიდნენ.

რაც შეეხება ევროპის ახალ ჩემპიონს, 40 წლის შვედ პია კრამლინგს, აღინიშნა მისი იშვიათი შეუპოვრობა. მას შემდეგ, რაც მერვე ტურში იგი გალიამოვასთან დამარცხდა და ჩემპიონობის თითქოს არავითარი შანსი აღარ დარჩა, ბოლო სამი პარტია მოიგო და მიზანს მაინც მიაღწია. ერთი თავისებურებაც, ბოლო წლებში კრამლინგი ჭადრაკს თითქმის არ თამაშობდა და ამის გამო „რეიტინგ-ლისტიდანაც“ კი ამოიღეს. ახლა ამავე სიაში იგი ახალი, დამატებითი ქულებით აღდგება და მსოფლიო ჩემპიონატის წინ ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტადაც ჩაითვლება.

**გივი გამრეკელი.**

**სურათზე:** ევროპის ახალი ჩემპიონები ზურაბ აზმაიფარაშვილი და პია კრამლინგი დაჯილდოების ცერემონიალზე.

## წარსულის ფურცლები

# ჯერ დადიანმა გაიმარჯვა...

XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს მძიმე ავადმყოფობა (მწვავე რევმატიზმი) მიეძალა ხანდაზმულ სახელგანთქმულ მაესტროსა და საჭადრაკო კომპოზიტორს ილია შუ-



მოვს (1819-1881). მან თავი დაანება შეჯიბრებებში მონაწილეობას მატჩებს აღარ თამაშობდა, გამუდმებით შინ იყო. მემატიანე წერს, რომ იგი მხოლოდ ცალკეულ პარტიებს ეთამაშებოდა ძლიერ მეტოქეებს ა. აშარინს, ა. დადიანს და სხვებს.

ამ პერიოდში პეტერბურგში დუღდა საჭადრაკო ცხოვრება. იმართებოდა სხვადასხვა ტურნირები და მატჩები. გამოდიოდა ჟურნალი „შახმატნი ლისტოკი“. სარბიელზე გამოჩნდა ახალგაზრდა მ. ჩიგორინი, რომელსაც დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ამ საერთო საჭადრაკო ფერხულში ანდრია დადიანიც (1850-1910) ჩაება. იგი ცარსკოე სელოში ჰუსართა პოლკში მსახურობდა და ხშირად ჩამოდიოდა პეტერბურგში ჭადრაკის სათამაშოდ. სტუმრობდა შუმოვთანაც.

ერთხელ, 1880 წლის 17 აპრილს დადიანი შინ ეწვია შუმოვს. მას იქ სტუმრად დახვდა გამოჩენილი რუსი მწერალი ივან ტურგენევი (1818-1883) — ძლიერი მოჭადრაკე, პარიზის კაფე „რეჟანსში“ ცნობილი როგორც „კუთა რაინდი“. ცხადია, სტუმარ-მასპინძელთა შორის გაიმართა საჭადრაკო პაექრობა. სამწუხაროდ, ამ შეხვედრების შედეგები არ შემონახულა. მაგრამ 1880 წლის გაზეთ „ვსემირნიე ილუსტრაციებში“, სადაც ჭადრაკის კუთხეს ილია შუმოვი უძღვებოდა, დაიბეჭდა შუმოვ-დადიანის ერთი პარტია. იგი მშვენივრად მოიგო პეტერბურგელმა მაესტრომ.

აი, ისიც:

სიცილიური დაცვა

შუმოვი — დადიანი

17 აპრილი 1880 წ.

1. e4 c5 2. d4 cd 3. მf3 e6 4. მd4 მc6 5. კe3 მf6 6. მc3 კb4 7. კd3 d5 8. ed.

თუ 8. მc6 bc 9. e5, მაშინ 9. ... მd7 10. ლg4 კf8! 11. f4 ეb8 12. მd1 კa6! შავების მცირე უპირატესობით.

8. ... მd5 9. მc6 bc 10. 0-0 მc3 11. ლg4!?

ფიგურის შეწირვით, რასაც ძალიან მწვავე კომბინაციური თამაში მოჰყვება. შუმოვი, როგორც დადიანი, მსგავსი თამაშის მოყვარული იყო.

11. ... მd5 12. ლg7 ლf6 13. ლg4 h5 14. ლc4 e5

მუქარა იყო ლe6 და კd4.

15. კg5! ლd6



16. a3 კc5 17. მფg1 კe6 18. ლh4 მf4 19. კf4 ef 20. ეad1 ლc7 21. ლf6 ეg8 22. ეfe1 ლe7 23. ლf4

თითქოს თეთრებს უპირატესობა აქვთ, მაგრამ გადამწყვეტი იერიშის გზა არ ჩანს.

23. ... კd6 24. ლf3 ეc8 25. კf5 ეg5?

შეცდომა, რომელიც პარტიას აგებს. სწორი იყო. 25. ... მფd7 შეუპოვარი დაცვით. ახლა შუმოვი იგებს „პატარა კომბინაციით“.

26. კe6 fe 27. ეd6! ლd6 28. ლf6 მფd7 29. ლg5 ლd5 30. ლg7 მფd6 31. c4 ლd2 32. ლe5 მფd7 33. ლe6. 1:0.

ამ პარტიას რომ გავეცანი, მაშინვე ვიფიქრე: არ შეიძლება მხოლოდ ეს პარტია გათამაშებულიყო იმ საღამოს. მართალი აღმოვჩნდი.

ამას წინათ ჩემს არქივში ვათვალიერებდი ძველ მასალებს ა. დადიანზე. მოულოდნელად წავაწყდი ანდრიას პარტიას შუმოვთან, რომლისთვის ადრე ყურადღება არ მიმიქცევია. ისიც თურმე 17 აპრილს შემდგარა.

ჩანს, პირვლად ეს პარტია გათამაშებულა. მასში გაკეთებულა ზემოთ მოყვანილი პარტიის პირველი თხუთმეტი სვლა (იხ. დიაგრამა).

ამ პოზიციაში შუმოვი უხეშად შეცდა — 16.f4?? და ორიოდე სვლაში უიმედო ენდშპილში აღმოჩნდა — 16. ... ლc5 17. ლc5 კc5 შემდეგ დანებდა.

ასე რომ, მომდევნო, ესე იგი ზემოთმოყვანილ პარტიაში, მეტოქეებმა გაიმეორეს პირველი თხუთმეტი სვლა და შუმოვმა უფრო პერსპექტიული გაგრძელება აირჩია.

იქნებ სხვა პარტიებიც შედგა იმ 17 აპრილს, მაგრამ, ჯერჯერობით ეს არ არის ცნობილი.

გამოჩენილმა ისტორიკოსმა ი. ლინდერმა წიგნში „ჭადრაკის მხატვარი ი. შუმოვი“ (მოსკოვი, 1959 წ.) შუმოვის მხოლოდ მოგებული პარტია მოიყვანა. ეს გასაგებია, მაგრამ რატომღაც კომენტარებში არ მოიხსენიია შუმოვის მძიმე შეცდომა მე-16 სვლაზე. იქნებ არც იცოდა ამ პარტის არსებობა. პარტია მხოლოდ დადიანის ხელნაწერებში არის მოხსენიებული.

**თენგიზ გიორგაძე.**

**სურათზე:** ახალგაზრდა ანდრია დადიანი. ეს ფოტოსურათი, რომელიც პრესაში პირველად იბეჭდება, ანდრიას სტუდენტობის წლებში (1869-1874) გიმნაზიაში უნდა იყოს გადაღებული. იგი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობდა (დაამთავრა 1874 წ.). ანდრიამ ექვსი ევროპული ენა იცოდა. ფოტოს დედანი ზუგდიდის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

კომპოზიცია

# შამათის იდეა ლაზიერების ეტიუდებში

„მშვენიერი ქმნილებანი მათივე ფორმის ასულნი არიან, ფორმის, რომელიც მათზე ადრე იბადება“.

პოლ ვალერი.

საეტიუდო ხელოვნების საგანძურიდან მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, სადაც ძირითადი „მელოდიური“ ხაზი ლაზიერს მიჰყავს, ლაზიერი ჭადრაკში უძლიერესი ფიგურაა, ამიტომ ყველა ეტიუდისტს როდი ხელეწიფება მისი მოთვინიერება და იმ იდეების გატარება – განხორციელება, რომელიც დამახასიათებელია ამ მასალაზე აგებული ეტიუდებისათვის. ლაზიერი ხაზოვანი ფიგურაა და მისი წყალობით ეტიუდისტებმა მრავალი საინტერესო ნაწარმოები შექმნეს, რომელიც ეძღვნება გეომეტრიულ მოტივებს, სისტემატიური მოძრაობის სხვადასხვა სახეებს, აგრეთვე პატის, პოზიციური ყაიმისა და მრავალი სხვა სახის საეტიუდო იდეებს.

დღეს ჩვენ შევეხებით შამათის იდეას, რომელიც ლაზიერების ეტიუდებში ხორციელდება. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით შედარებით ნაკლებია გაკეთებული, თუმცა საინტერესო ეტიუდები ამ თემაზეც შეიძლება დავასახელოთ.

№ 1 დაიგრამაზე გამოსახულია ჩეხი ეტიუდისტის ნაწარმოები, სადაც შამათის იდეა ხორციელდება ლაზიერის საინტერესო მანევრების წყალობით.

ფ. პროკოფი, 1928 წ.



თეთრები იგებენ

1. ლb6 მფd7 2. ლb7 მფd6
3. ლb4 მფe5! 4. ლd4 მფf4
5. ლf2 მფe5 6. ლh2 ლf4
7. ლh7 ლf6 8. ლb8X

მშვენიერი ეტიუდია, ნატიფი საშამათო ფინალით.

ქართველი ეტიუდისტის ვ. ნეიძის ეტიუდში, ასევე წარმოდგენილია საშამათო ფინალი, ამჯერად მეტად მოხდენილი მინიატურული ფორმით.

ვ. ნეიძე, 1996 წ.



თეთრები იგებენ

1. ლb8 მფh7 2. ლb1 მფh6!
3. ლc1! მფh7 4. ლh1 მფg8
5. ლg1 მფf8 6. ლc5! მფg8
7. ლc8! მფh7 8. ლh3 მფg8
9. ლg3! მფf8 10. ლb8 ლe8
11. ლd6 (b4) მფg8 12. ლg3 მფf8
13. ლg7X!

როგორც პროკოფის, ასევე ნეიძის ეტიუდებში შამათის იდეა დაკავშირებულია უჯრის ბლოკირებასთან.

კალანდაძის ეტიუდში უკვე წარმოდგენილია ორი ნატიფი შამათი.

ვ. კალანდაძე, 1984 წ.



თეთრები იგებენ

1. ლh2 მფg7 2. ლe5 მფg8
3. ლd5 მფg7 4. ლd4 მფg8
5. ლc4 მფg7 6. ლc3 მფg8
7. ლb8 მფg7 8. ლb2 მფg8
9. ლa2 მფg7 10. ლf7 მფh6
11. g7 ლc8 12. მფd2! ლg4
13. g8მ! მფg5 14. ლf6 მფh5
15. ლh6X! თუ 12. ... ლd8 13. მფe2 ლg5
14. მფf3!! ლ:g7 15. ლh5X! (2)

თეთრი ლაზიერის საინტერესო მანევრები და შავი ლაზიერის კონტრთამაში პატზე, ფინალში ორგანულად უკავშირდება ორ ნატიფ შამათს. ეტიუდი ფორმისა და შინაარსის ჰარმონიის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს.

ე. პოღოსიანცი, 1976 წ.



თეთრები იგებენ

ბოლოს, მკითხველებს ამოსახსნელად ვთავაზობთ ეტიუდს, რომელიც ძნელი არ არის, მაგრამ გარკვეულ ესთეტიკურ დატვირთვას ატარებს.

ველიმირ კალანდაძე.

პირველად!

# ახალი რეიტინგები

ზურაბ აზმაიფარაშვილის სტამბოლში ბრწყინვალე გამოსვლის შემდეგ, პირველად ქართული ჭადრაკის ისტორიაში დაძლეულია 2700-იანთა ზღვარი. აი, როგორ გამოიყურება 1 ივლისის მაჩვენებლებით მსოფლიო უძლიერეს მოჭადრაკეთა ოცეული.

| | |
|---|---|
| 1. გარი კასპაროვი | – 2880; |
| 2. ვლადიმერ კრამნიკი | – 2785; |
| 3. ვიში ანანდი | – 2774; |
| 4. პიტერ ლეკო | – 2739; |
| 5. ვესელინ ტოპალოვი | – 2735; |
| 6. ალექსანდრ გრიშჩუკი | – 2734; |
| 7. ალექსი შიროვი | – 2732; |
| 8. პიოტრ სვიდლერი | – 2723; |
| 9. ევგენი ბარეევი | – 2721; |
| 10. მაიკლ ადამსი | – 2718; |
| 11. რუსლან პონომარიოვი | – 2718; |
| 12. იუდით პოლგარი | – 2718; |
| 13. ვასილი ივანჩუკი | – 2710; |
| 14. ვლადიმერ აკოფიანი | – 2703; |
| 15. ზურაბ აზმაიფარაშვილი | – 2702; |
| 16. ნაიჯელ შორტი | – 2701; |
| 17. ალექსეი დრეევი | – 2698; |
| 18. ბორის გელფანდი | – 2695; |
| 19. ანატოლი კარპოვი | – 2693; |
| 20. ივან სოკოლოვი | – 2693. |

სასახლეში

# „თბილისის“ აშკარა უპირატესობით

შემოდგომაზე საბერძნეთში დაგეგმილია ევროპის კლუბების თასის გათამაშება ვაჟთა და ქალთა შორის. მასში ჩვენი ქვეყნის გუნდებიც აპირებენ მონაწილეობას. ამას წინათ ვაჟთა საკლუბო ტურნირი გაიმართა, რომელშიც სამი გუნდი ასპარეზობდა: „თბილისი“, „საოცრება“ (თბილისი) და რუსთავის „აზოტი“.

„თბილისის“ უპირატესობა აშკარა იყო, რადგან მთლიანად საქართველოს წამყვანი დიდოსტატებით იყო დაკომპლექტებული, დანარჩენ ორ გუნდში კი ახალგაზრდა მოჭადრაკეები ჭარბობდნენ. ეს ყოველივე შედეგებშიც აისახა. „თბილისმა“ „საოცრება“ და „აზოტი“ დაამარცხა შესაბამისად 4:2 და 5:1 და 9 ქულით I ადგილი დაიკავა.

თავის მხრივ „აზოტმა“ 4:2 მოუგო „საოცრებას“.

გამარჯვებული გუნდი, რომლის შემადგენლობაშიც არიან დიდოსტატები ზურაბ სტურუა, მერაბ გაგუნაშვილი, ბაადურ ჯობავა, გიორგი ყაჭეიშვილი, მიხეილ მჭედლიშვილი, ზვიად იზორია და ლაშა ჯანჯღავა, ევროპის საკლუბო თასზე იასპარეზებს. თბილისის „თბილისისაგან“ ჩვენ სერიოზულ წარმატებას ველოდებოდით, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ გუნდს სათავეში ჩაუდგება ევროპის ჩემპიონი ზურაბ აზმაიფარაშვილი.

რაც შეეხება ქალთა საკლუბო შესარჩევ ტურნირს, იგი ივლისის პირველ დეკადაში გაიმართება.

იზოლდა პირველი.

# ახალი წოდება

საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გადაწყვეტილებით ძალაში შევიდა ახალი სპორტული წოდება – ეროვნული ოსტატობის კანდიდატი.

ამ წოდების მაძიებლებმა ძალა მოსინჯეს საკვალიფიკაციო ტურნირში, რომელმაც სტარტი 26 მაისს აიღო და შვეიცარიული სისტემით 9 ტურად გაიმართა. ასპარეზობაში 46 პირველი კატეგორიის მოჭადრაკე მონაწილეობდა.

ცხრადღიანი ბრძოლის შემდეგ ფინიშზე 7,5-7,5 ქულით პირველები ზუგდიდელი **ზვიად ფაცია** და თბილისელები **ნოდარ დავარაშვილი** და **ლევან ბრეგაძე** მივიდნენ. კოეფიციენტებმა ისინი ცხრილში ზემოთ მოყვანილი თანმიმდევრობით განალაგა. გამარჯვებულს თასი, ხოლო პრიზიორებს, შესაბამისად, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები გადაეცათ. სამივე მათგანს ეროვნული ოსტატობის კანდიდატობა მიენიჭა.

ახალი წოდების პირველი ბალი მოიპოვეს დავით ლომსაძემ, ქეთი წაწალაშვილმა, სალომე სირაძემ, თამაზ გუგულაშვილმა და მარიამ დიასამიძემ.

კობა დავითაია.

ერიჭა!

# ალიოხინის ხუთი ქორწინება

1999 წელს „ლაზიერში“ გამოვეხმაურე ჟურნალ „ჭადრაკის სამყაროში“ წინა წელს გამოქვეყნებულ წერილს, რომელშიაც ავტორი ჩემთვის უცნობ მასალაზე დაყრდნობით წერდა, რომ მსოფლიოს მეოთხე ჩემპიონი ალექსანდრ ალიოხინი სამჯერ იყო ქორწინებაში, ჩემს მიერ გამოყენებულ წყაროს მიხედვით კი („ქალები მის ცხოვრებაში“) ალიოხინი მეოთხედ აღმოჩნდა დაქორწინებული. გამოხმაურებასაც რიხიანი სათაური მივეცი: სამი კი არა ოთხი?

ჩავთვალე, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა და განტოლება ამოიხსნა, მაგრამ მოვტყუვდი: ამას წინათ, „შახმატისტი როსიი“ წავაწყდი ამონარიდს ა. ალიოხინზე ი. შაბუროვის წიგნიდან: „საარქივო დოკუმენტები მოწმობენ, რომ მისი პირველი ცოლი იყო ალექსანდრა ლაზარეს ასული ბატაევა, ქვრივი, დაწესებულების საქმეთა მმართველი“.

გამოდის, რომ ა. ალიოხინი ხუთჯერ ყოფილა დაქორწინებული.

მივყვეთ თანმიმდევრობით:

პირველი – ზემოთ ხსენებული ალექსანდრა ბატაევა – ქორწინების რეგისტრაცია შემდგარა მოსკოვში, 1920 წლის 5 მარტს, მაგრამ დაახლოებით ერთი წლის შემდეგ ცოლქმარი განქორწინებულა.

მეორედ გადაინაცვლა მანამდე პირველ ცოლად მიჩნეულმა პეტერბურგელმა მხატვარმა ანა ფონ სევერგინმა, რომელმაც ქმრის სიცოცხლეშივე ალიოხინისაგან 1913 წელს გააჩინა ქალიშვილი. ოფიციალური ქორწინება 1920 წელს (ანას ქმარი პირველ მსოფლიო ომში დაღუპვია) შემდგარა, რითაც ქალიშვილის შვილად ცნობას მიეცა კანონიერი ხასიათი. მალე დედა-შვილი ანა და ვალენტინა ავსტრიაში საცხოვრებლად გადავიდნენ და ქორწინება ალიოხინთან შეწყდა.

მესამე – შვეიცარელი ანა ლიზა რიუგესი, ალიოხინზე 13 წლით უფროსი, 42 წლის გაუთხოვარი ჟურნალისტი და სოციალ-დემოკრატიული პარტიის აქტიური მოღვაწე, კომინტერნის შვეიცარიის სექციის დელეგატი. ალიოხინმა ამ დროისათვის მოსკოვში დაამთავრა უცხო ენების ინსტიტუტი და კომინტერნში თარჯიმნად იყო მივლინებული. სწორედ აქ გაიცნო მან რიუეგი და სასიყვარულო რომანი გააბა მასთან. როგორც ცნობილი რუსი მოჭადრაკე, საბჭოთა კავშირის 1927 წლის ჩემპიონი, შემდგომში ემიგრანტი ფ. ბოგატირჩუკი თავის მოგონებებში ცინიკურად შენიშნავს – რიუეგისა და ალიოხინის რომანი „მარქსისა და ლენინის პორტრეტების ქვეშ საქორწინო ხელმოწერით დამთავრდა“, ხოლო როცა მშობიარობის დრო დადგა, ანა ლიზამ მოისურვა ქმართან ერთად სამშობლოში (შვეიცარიაში) დაბრუნება, მაგრამ ალიოხინს საზღვარგარეთ ვიზაზე უარს ეუბნებოდნენ. მაშინ „შეუპოვარმა დელეგატმა“ მიაღწია, თურმე, ლენინთან მიღებას და საკითხი დადებითად გადაწყდა. მაგრამ მთავარი, როგორც იტყვიან, წინ იყო: მშობიარობის შემდეგ, როცა ქვეყანას უმცროსი ალექსანდრე ალიოხინი მოევლინა, რიუეგმა დაჟინებით მოითხოვა მოსკოვში დაბრუნება, მაგრამ, როგორც ბოგატირჩუკი წერს, ამჯერად ალიოხინმა სასტიკად იუარა საბჭოთა რუსეთში წასვლა. ქალი მაინც დაბრუნდა მოსკოვში, მხოლოდ ... ქმარშვილის გარეშე.

ამრიგად, ანა ლიზა რიუეგისა და ალიოხინის ერთად ყოფნის ბედნიერება მეტად აღარ გაგრძელებულა. უდედოდ დარჩენილ პატარა ალექსანდრეზე მზრუნველობა შვეიცარიელმა მოჭადრაკემ დოქტორმა ვილმიმ იკისრა, და ყოველმხრივ შეასრულა ვალდებულება: ბავშვობაში არაფერს აკლებდა და ბოლოს უმაღლესი განათლება მიაღებინა, ხოლო პარიზში საცხოვრებლად დაფუძნებული ალიოხინი კვლავ საბედოს ძებნას შეუდგა. შეუდგა და იპოვა კიდეც. ეს გახლდათ უკვე რიგით მეოთხე ცოლი რუსი გენერლის ვ. ვასილევის ქვრივი – ნადეჟდა ფაბრიცკაია – ვასილევა. როგორც სხვა ცოლები, ისიც ასაკით საგრძნობლად უფროსი იყო „ნეფეზე“, რომელსაც ყურადღებასა და დახმარებას არ აკლდებოდა. ჟურნალისტები მიუთითებენ, რომ ალიოხინის მიერ მსოფლიოს ჩემპიონის სახელისათვის ბუენოს-აირესში ხ.რ. კაპაბლანკასთან ორთაბრძოლაში მოპოვებულ გამარჯვებაში ამ გარემოებამაც პოზიტიური როლი ითამაშა.

მეხუთე – ბოლო ქორწინება აღმოჩნდა ქვრივ გრეის ვისხართან, რომელსაც ქმრისაგან ანდერძით ნაბოძები ჰქონდა მამული ჩრდილოეთ საფრანგეთში, დიეპის მახლობლად. ვისხარი 16 წლით უფროსი იყო ალიოხინზე, რომლის წინა ცოლებისაგან განსხვავებით თვითონაც თამაშობდა ჭადრაკს და არცთუ ურიგოდ. თამაშობდა მიმოწერით, ქმართან ერთად მონაწილეობდა ბლიცტურნირებში.

ასე და ამრიგად, საბოლოოდ დადგენილ ფაქტად შეიძლება მივიჩნიოთ: პირველი – ქორწინება ვისხართან ნამდვილად იყო ა. ალიოხინის ბოლო ქორწინება. მეორეც – გარდა ერთისა (რიუეგი) ყველანი ქვრივები იყვნენ. მესამეც – ყველა ცოლი მასზე ასაკით საგრძნობლად უფროსი იყო (ფროიდის მიხედვით, ალიოხინი წარმოჩინდება „ოიდიპოსის კომპლექსის“ მატარებელ მამაკაცად).

გიორგი მახარაძე.



საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება შესანიშნავი ქალბატონის, დედის, მეუღლისა და საზოგადო მოღვაწის

მაგული გოგიტიძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ასლან აბაშიძეს, მის ოჯახს და ახლობლებს.

GCF

სარედაქციო კოლეგია: დავით გურგენიძე (რედაქტორი), ნინო გურიელი, ზურაბ აზმაიფარაშვილი, ნანა ალექსანდრია, ანზორ ბასილაია, გივი გამრეკელი, ნონა გაფრინდაშვილი, თენგიზ გიორგაძე, ბუხუტი გურგენიძე, ველიმირ კალანდაძე, გიორგი მახარაძე.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

ისტორიის ფილოსოფია

# გეორგიევსკის ტრაქტატი და ქართული სახელმწიფოს მომავალი

## წარსულის პოლიტოლოგიური გააზრება

მას შემდეგ, რაც 220 წლის წინათ გეორგიევსკში რუსეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულების აქტს მოაწერეს ხელი, არ შეწყვეტილა დავა-კამათი მის შესახებ. ყველა თაობას ეპოქის შესატყვისი კონიუნქტურით შეფერადებული თავისი თვალთახედვა ჰქონდა, ყველა თავის სიმართლეს ეძებდა მასში...

**ავიღოთ ამ მხრივ თუნდაც ილია. გადავხედოთ მის საპროგრამო წერილებს – „ცხოვრება და კანონი", „საპოლიტიკო მიმოხილვა"... აქ ყველგან იგი კონკრეტულ-ისტორიულ ვითარებასთან მიმართებაში განიხილავს გეორგიევსკის ტრაქტატსაც და რუსეთთან დაკავშირებულ მთელ პრობლემატიკასაც. გასაკვირია, მაგრამ აქ მინიშნებითაც კი ვერ ნახავთ რაიმე მოწოდებას და თვით მხილებასაც კი საქართველოს მიმართ რუსეთის ანექსიონისტური პოლიტიკისა. დრო იყო ასეთი – იცოდა ვისთან და რასთან ჰქონდა საქმე. აკი თვითონვე ხსნის ამას 1832 წლის ტრაგედიის შესახებ: „ჯერ იმ დროების ქერქში უნდა ჩავჯდეთ და მერე განვიკითხოთ დროების შვილნიცა"...**

მოვიდა სხვა დრო და ამან ახლებური პოლიტიკური ხედვა მოითხოვა „დროების შვილთაგან": I მსოფლიო ომისგან დაუძლურებულ რუსეთს არც ძალა და აღარც სურვილი დარჩა „სამთა კავშირთან" და „ანტანტასთან" ჭიდილისათვის და კავკასიაც მიტოვებულ კუნძულად იქცა პეტრე დიდის იმპერიისთვის, სანამ იგი ახალ ბოლშევიკურ-სლავოფილურ ინექციას არ მიიღებდა სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომის შემდეგ.

საქართველოსაც თითქოს გაუჩნდა შანსი დაკარგული სახელმწიფოებრიობისა და „დიდების დღენის აღდგინებისა". ამ ვითარებაში დაიწერა ივანე ჯავახიშვილის **„დამოკიდებულება რუსეთსა და საქართველოს შორის"** – რუსული დიდმპყრობელური შოვინისტური პოლიტიკის დოკუმენტური მხილება პირველი ელჩობიდან მოყოლებული გეორგიევსკის ტრაქტატის ჩათვლით. ეს არის ერთადერთი **„რუსოფობური"** ნაშრომი მთელ მის მეცნიერულ კარიერაშიც. აქ იგი პატარა კახსაც არ ინდობს მისი „პოლიტიკური გულუბრყვილობისთვის":

**„ერეკლე მეფე ღრმად მოხუცებული... გულისტკივილით შეჰყურებდა როგორ ინგრეოდა ის პოლიტიკური და სამხედრო სიძლიერე, რომელიც მისი მამის თეიმურაზ II და მისი პირადი დაუღალავი შრომითა და გამჭრიახობით იყო მოპოვებული. მისი სიბერის დღენი ეგების იმ მწარე გრძნობით იყო მოწამლული, რომ ამის ბრალი მის პირადს პოლიტიკურს გულუბრყვილობასა და რუსეთის მთავრობისადმი განუსაზღვრელ ნდობას ედებოდა".**

მაგრამ ივანე ჯავახიშვილის ცდა **„თვალი აეხილა"** და ეროვნულისკენ შემოებრუნებინა მაშინდელი ჩვენი მესამედასური პოლიტიკური ელიტა, მარცხით დამთავრდა. **„პოლიტიკური გულუბრყვილობა"** გაგრძელდა და რუსეთმა კიდევ ერთხელ „ვერაგულად მოგვატყუა" – ახალი „გეორგიევსკის ტრაქტატი" მოგვახვია თავს 1920 წლის 7 მაისის „სამშვიდობო ხელშეკრულებით".

**დაბრუნდება თუ არა ახალი გეორგიევსკი და ახალი 1921 წელი? ეს ის კითხვაა, რომელიც დღესაც ორ საპირისპირო ძალად ხლიჩავს ერსა თუ ბერს. აქედან გამომდინარე, ჩვენს თვალწინ სულ უფრო მეტ ძალას იკრებს ახალი „მეხუთე კოლონა" და იმპერიული რესტავრაციის საფრთხეც. ერთი ცხადია – „რუსოფობებად" და „რუსოფილებად" დაყოფილი ჩვენი საზოგადოება საბოლოო ჯამში, სიკეთეს არ მოუტანს იმ დიდ საშვილიშვილო საქმეს, რასაც ქართული სახელმწიფოს მშენებლობა ჰქვია. ჩვენც სწორედ ამ კუთხით გვინდა დავაყენოთ პრობლემა, პრობლემა, რომელსაც ვრცლად შევეხეთ ნაშრომში – „ივანე ჯავახიშვილი და ახალი ქართული სახელმწიფოებრიობა".**

ამჯერად გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებულ ერთ კონკრეტულ საკითხს შევეხებით, რომელიც ჩვენი აზრით, ქართული სახელმწიფოს მშენებლობის ერთ-ერთი ყველაზე ფუნდამენტური საკითხთაგანია. საქმე ეხება დღევანდელ მსოფლიოში დამკვიდრებული სახელმწიფოებრივი მოწყობის ერთ-ერთ აღიარებულ და ჩვენ ვიტყოდით, ყველაზე წარმატებულ ფორმას – **კონსტიტუციურ მონარქიას.** ჩვენ ზემოთაღნიშნული ნაშრომის III თავში („ივანე ჯავახიშვილი და ქართული პოლიტოლოგია"), იქ, სადაც „საერთო ნიადაგის" თეორიას და ეროვნულ-სახელმწიფოებრივ იდეოლოგიას ვეხებით, ვიძლევით ამ იდეის გარკვეულ არგუმენტაციას. მოკლედ გავიმეორებთ მას.

**პირველი და უმთავრესი ამ არგუმენტაციიდან ის არის, რომ სახელმწიფოებრიობის ეს ფორმა ქართული სახელმწიფოს განვითარების ბუნებრივ-ისტორიული პროცესის თავისებური აღდგენა და გაგრძელებაა. ამას უსვამდა ხაზს ილიაც, როცა „ახალი საქართველოს ძველიდგან აღმოშობაზე" წერდა, პოეტურადაც რომ გამოხატა პოემაში – „მეფე დიმიტრი თავდადებული". ინგლისის მსგავსი სახელმწიფო მისთვის იდეალი იყო და ეამაყებოდა, რომ მისი ნიშნები „ოქროვანი ხანის" საქართველოშიც ჩაისახა: მაშინდელი „ერთა საბჭოს" და „წილნაყრობის", „დარბაზისა" და „ისნის კარავის" ინსტიტუტებს იგი დიდ სამომავლო მნიშვნელობას ანიჭებდა.**

გლობალიზაციის პირობებში მცირე ერების მომავალი ბედისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ეროვნული მემკვიდრეობის მოვლა-პატრონობას. ეს მარტო კულტურას არ ეხება. არანაკლები მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ მემკვიდრეობას. დღეს მსოფლიოში 40-ზე მეტი კონსტიტუციური მონარქიის ქვეყანაა და უკლებლივ ყველა ცხოვრების მაღალი დონით, სტაბილური პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარებით გამოირჩევა. ამასთან, იგი საქართველოს დასავლური ორიენტაციის პოლიტიკური კურსის და ახალი „გეორგიევსკის" თავიდან აცილების თავისებური გარანტიაცაა. ამასთან, **„ევროპულ დინასტიათა კლუბში"** გაწევრიანება მრავალმილიარდიანი დახმარებებისა და ინვესტიციების გზა და საშუალებაცაა. დადგა დრო სერიოზულად ვიფიქროთ ამაზე.

ისტორიასაც აქვს თავისი სამართალი (და ყველაზე დიდი სამართალიც!), რომლის დავიწყება დიდი ტრაგედიებით მთავრდება ყოველთვის. გეორგიევსკის ტრაქტატი იმას უნდა გვახსენებდეს დღევანდელ თაობებს, თუ ვისი და რისი მემკვიდრენი ვართ. გასარკვევია – დღეისათვის რა არის ისტორიის ეს სამართალი ჩვენთვის? იგი ძალიან მარტივია: რუსეთმა (და არა ქართველმა ხალხმა), დაამხო ბაგრატიონთა ხელისუფლება და იგი უნდა აღსდგეს ეპოქის შესატყვისი ფორმით, ანუ, კონსტიტუციური მონარქიის სახელმწიფოებრივი ფორმით.

ეს თავის ადგილზე დააყენებს ყველაფერს: პარანოიზმად გადაქცეული **„პირველკაცობის"** გიჟური მარათონის შემდგომი გაგრძელება კარგს არაფერს მოგვიტანს, კონსტიტუციური მონარქიის წარმომადგენლობითი მმართველობა, **„იაფი მთავრობისა"** და **„სწრაფი სამართლის"** ძველი ეროვნული ტრადიციების აღდგენა კი – მხოლოდ სიკეთეს. ამას ეხვეწებოდა დიდი ივანე მაშინდელ მესამედასელ კოსმოპოლიტებს, მაგრამ ამაოდ. **„მეფობისა და ბატონყმობის აღდგენის"** ჩვეული სოციალური დემაგოგიით, ისინი ხალხს თავისსავე ისტორიას აძულებდნენ.

ამაოდ ჩააგონებდათ მათ „ქართველი ერის ისტორიის" ავტორი: „ყოველი ერის ისტორიაში უთუოდ არის „დადებითი სამემკვიდრეო ღირებულებანი" და ქართველ ერსაც არავისზე ნაკლები ისტორიული გამოცდილება და მემკვიდრეობა აქვს. დიდი ივანე იმასაც უსვამდა ხაზს, რომ ბაგრატიონთა დინასტია ყველაზე ახლოს იდგა ხალხთან, მის „ჭირ-ვარამთან, თვით ევროპულ დინასტიებთან შედარებითაც კი ყველაზე დემოკრატიული იყო". თავის განთქმულ ანალიტიკურ ნარკვევში **„პატრონყმობა"**, ის იმასაც უსვამს ხაზს, რომ უმიწაწყლო გლეხობა და მკაცრი ბატონყმური ურთიერთობანი უცხო იყო ქართველი ერის საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ამიტომაა, რომ **„გლეხთა ომის"** და **„ჟაკერიის"** მსგავსი დიდი სოციალური აფეთქებანი საქართველოს ისტორიას არ ახსოვს.

**ერთი სიტყვით, ჩვენი ისტორია თვითონვე გვიკარნახებს ჩვენს სამომავლო გზას და ჩვენი ვალია ძველებურად ყური არ მოვუყრუოთ მას. გეორგიევსკის ტრაქტატის გახსენებაც იმას უნდა გვასწავლიდეს, რომ ქართული სახელმწიფოს მემკვიდრეობის და ისტორიული სამართლიანობის თვალსაზრისითაც მოვალენი ვართ დღის წესრიგში დავსვათ კონსტიტუციური მონარქიის საკითხი.**

**სიმბოლური და ჭკუისსასწავლებელია – არ გავაკეთეთ ეს 1918, ისევე როგორც 1991 წელს და ამიტომაც სამართლიანად დავისაჯეთ ორივეჯერ. იქნებ ახლა მაინც გავიხსენოთ ვისი და რისი მემკვიდრენი ვართ, როგორც ილია იტყოდა, – „საიდან მოვდივართ და საით მივდივართ", რომ „გზააბნეულ და მეხსიერებადაკარგულ კაცს" არ დავემსგავსოთ კვლავ. ეს იქნება ამასთან, ბედნიერი მორიგება" საქართველოს წარსულსა და მომავალს შორის.**

**სწორედ ამ გზით განხორციელდება ყველაზე ეფექტურად ლეგიტიმიზმის პრინციპიც, პრინციპი, რომელიც ქვეყნის სტაბილური საზოგადოებრივ- ეკონომიკური განვითარების აუცილებელი წინაპირობა და გარანტიაა. ყველაფერი ეს თხოულობს სერიოზულ დაფიქრებას, ანალიზს და რაც მთავარია, შესაბამის პოლიტიკურ გადაწყვეტილებას. თუ ჩვენ ახალი საქართველო გვინდა, იგი „...მხოლოდ ძველიდგან შეიძლება აღმოვშობოთ მკვიდრად" (ილია).**

**ომარ გოგიაშვილი,**
**ელბერდ ბატიაშვილი.**

სიტყვა შემოქმედზე

# მწერლის დიდი გამარჯვება

**როდესაც ქალბატონ ციალა არდაშელიაზე იწყებ საუბარს, შეუძლებელია, მისი ცხოვრება და შემოქმედება ერთ მთლიანობაში არ განიხილო: „სიმართლე, სიმართლე, მხოლოდ სიმართლე და არაფერი სიმართლის გარდა", – აი, ასეთია მისი ცხოვრების წესი.**

„ეს იყო ზეკაცის გულიდან ამოხეთქილი კივილი, ოდესღაც, უხსოვარ დროში, ლესქერი საუკუნეებისა თუ ათასწლეულების წინათ დაღუპულ ბედნიერებაზე: წრეგადასული, ზღვარდაუდებელი ღაღადისი დაკარგულ თავისუფლებაზე"...

ამოვიკითხე ეს სტრიქონები და... ყველაფერი ნათელი გახდა. ეს მხოლოდ სმენის მაამებელი ენამზეობა კი არა, მართლაც, ავტორის გულიდან მომავალი ღაღადია დაკარგულ ბედნიერებასა და სულიერებაზე, თავისუფლებასა და სახელმწიფოებრიობაზე. ამ ტკივილითა და დარდით არის გაჟღენთილი თითოეული მისი სტრიქონი, ყოველი მხატვრული თუ პუბლიცისტური ნაწარმოები.

ბუნებრივია, ამ მცირე წერილში ციალა არდაშელიას მთელ შემოქმედებას სრულად ვერ მიმოვიხილავთ, მაგრამ ორიოდე სიტყვით უსათუოდ უნდა ითქვას იმ მცირე პროზაული ნაწარმოებების შესახებ, რომლებიც პირველ წიგნშია წარმოდგენილი საერთო სათაურით: „განგების რკალში". ეს მოთხრობები გამოირჩევა მოქმედების ექსპრესიულობითა და პერსონაჟთა ხასიათში ღრმა ფსიქოლოგიური წვდომით.

კრიტიკოსი ნუგზარ წერეთელი მწერლის ერთ-ერთ მოთხრობას „ქვაკაცს" ასეთ შეფასებას აძლევს: „პირდაპირ უნდა ვთქვა, რომ „ქვაკაცი" უძლიერესი ნაწარმოებია... ნოველის მთავარი გმირი ომარ ლოლუა ნებისმიერი ქართველი მწერლის მოთხრობათა ყველაზე ცნობილ წარმომადგენლებს თამამად ამოუდგება მხარში... ამ მოთხრობაში იმდენად ძლიერი პასაჟებია, იმდენი აზრი და მინიშნებებია, იმდენი ჩამაფიქრებელი ადგილებია, რომ თუ ღრმა დაკვირვებით არ წაიკითხე, ისე გადმოცემით აღქმა ყოვლად შეუძლებელია. ამიტომაც ყველას მინდა ვურჩიო მისი წაკითხვა... არა ერთი და ორი სხვა ნაწარმოების მსგავსად ნოველა „ქვაკაცი" ციალა არდაშელიას დიდი გამარჯვებაა"... შემდგომ კი დასძენს: „ციალა არდაშელია იმ ჭეშმარიტი მწერლების რიცხვს ეკუთვნის, დინჯად, საფუძვლიანად, ღირსების გრძნობით რომ იღვწიან და უდავო ნიჭით, პატიოსნებით, პრინციპული პოზიციით გამოირჩევიან".

ციალა არდაშელიას შემოქმედებას ასაზრდოებს რეალური ცხოვრებიდან მიღებული შთაბეჭდილებები, მასთან შერწყმული ავტორის მდიდარი ფანტაზია და აგრეთვე, მითოსური სიუჟეტები. სწორედ მითის მოხმობით, მითზე დაყრდნობით ქმნის მწერალი თავის ნაწარმოებებში ეროვნულ-ფსიქოლოგიურ მოდელს, პერსონაჟთა დაუვიწყარ სახეებს, ასე რომ ზემოქმედებენ მკითხველზე გამოკვეთილი ინდივიდუალიზმით.

ასეა მის პირველ მითოსურ რომანშიც – „იათნანელი ამორძალები", სადაც მოქმედება აიეტის წინარე ხანაში, ჩვენი ტომების უძველესი განსახლების არეალშია გაშლილი.

ავტორის სათქმელი კონცენტრირებულია რომანის გმირ ქალთა შთამბეჭდავ სახეებში. ქურუმი ქალის – შოუ ბჟალახეს სახე კი სრულიად განსხვავებულია ქართულ მწერლობაში და სწორედ აქ არის საძიებელი ამ ნაწარმოების არსის გასაღები.

იგივე შეიძლება ითქვას ციალა არდაშელიას ჯერ გამოუქვეყნებელ პიესაზე „შენი რაშები ჭიხვინებენ, აქილევს!", რომელიც აქილევსისა და ამორძალთა დედოფლის პენთესილეას მითზეა აგებული.

მწერლის მიერ მითები თავისებურად, დღევანდელობის გადასახედიდან არის გააზრებული. იგი მათ თანამედროვეობის, ეროვნული პრობლემატიკის მხატვრული სახეებით გადმოსაცემად მიმართავს, ლეგენდის მეშვეობით მიგვანიშნებს მარადკაცობრიულის, წარუვალის მისაწვდომ გზებს. ამ შემოქმედის ნაწარმოებები მარტო მწერლური ოსტატობით, საინტერესო სიუჟეტით, თხრობის მრავალფეროვნებით კი არ გხიბლავს, არამედ გიწვევს, მოგიწოდებს კიდეც სამოქმედოდ.

დაახლოებით იგივე საზომით უნდა მივუდგეთ ქალბატონ ციალას პუბლიცისტურ წერილებსაც. ჟანრი, – „შინაური მიმოხილვა", რომელსაც ავტორი თავისი გულისტკივილის გამოსახატავად იყენებს, ილია ჭავჭავაძემ ჟურნალ-გაზეთებში, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-იან წლებში დაამკვიდრა. ილიას შეხედულებით, პუბლიცისტს ამ ჟანრის საშუალებით შესაძლებლობა ეძლეოდა პირდაპირ შეეფასებინა საშინაო მოვლენები და მკაფიოდ გამოეკვეთა მთავარი იდეა. მისივე აზრით, შინაური ამბების განხილვისას წარმმართველი, რა თქმა უნდა, ეროვნული თვალსაზრისი უნდა ყოფილიყო. ილიას მიერ დასახულ ამ ამოცანას ქალბატონმა ციალამ შესანიშნავად გაართვა თავი. მისი წერილები, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ მრავალთემიანი და მრავალპლანიანი ნაწარმოებებია, რომლებშიც საშინაო თუ საგარეო საჭირბოროტო საკითხებია მიმოხილული, – და ისინი მხატვრული ნაწარმოებებივით იკითხება.

პატრიოტიზმი და ქართული ცნობიერების გაღვიძება, – აი, რა არის მწერლის შემოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალა.

ციალა არდაშელიას პუბლიცისტური წერილების თემატიკა შეუზღუდავია, თხრობის მანერა ლაკონიური, სტილი ეფექტური. ნებისმიერი მათგანი ღრმა შინაარსისაა. მაინც გამოვყოფდი: „ქართული ფენომენის წახნაგები", „სირეგვნე შეუწონარი", „რა ენაზე საუბრობდნენ ადამი და ევა", „აირევი-ივერია, აი დროშა-აშორდია", „ტელეფილმის „გზის" შემოქმედებით კოლექტივს", „საჯაროობანას თამაში", „ძე შეცთომილი".

შეუძლებელია არ აღინიშნოს, – მწერალი წერისას ბოლომდე იხარჯება. ალბათ, სწორედ ამიტომაც იკითხება მისი წერილები ერთი ამოსუნთქვით.

ციალა არდაშელია საქართველოს ერთ-ერთ ულამაზეს და უძველეს კუთხეში, – აფხაზეთში, კერძოდ, სამურზაყანოში, ქ. გალშია დაბადებული. განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე აქვს მიღებული. პირველი ფსიქოლოგიური სტრესი მას 1956 წლის 9 მარტს განუცდია, ხოლო 1968 წელს – საბჭოთა ჯარის მიერ ჩეხოსლოვაკიის აჯანყების ჩახშობას ახალგაზრდა მწერალი სასოწარკვეთილებაში ჩაუგდია: „კარგად ვხედავდი, რომ ჩემი სამშობლო თავისუფლებაწართმეული, დაპყრობილი ქვეყანა იყო. საშველი თითქოს არ ჩანდა... დრომ და სიტუაციამ თანდათან მოამწიფა ჩემს არსებაში ათეისტური გრძნობის გაქრობა... ჩემი ასეთი სახეცვლა, უპირველესად, ქართული მწერლობის დამსახურება იყო, რადგან ქართული მწერლობა მთლიანად ქრისტიანულ მრწამსს ეფუძნება", – ვკითხულობთ მის ერთ-ერთ ინტერვიუში. ცოტა ქვემოთ კი ის აგრძელებს: „უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, – როგორი ბედის დაცინვად უნდა ჟღერდეს – გალის კომკავშირის რაიკომში ვმუშაობდი და, სწორედ მაშინ, შიგნიდან მთელი სიცხადით დავინახე კომუნისტური რეჟიმის კარგად შენიღბული სიყალბე და ამიტომ ორი წლის შემდეგ საკუთარი განცხადებით წავედი კომკავშირიდან. ეს იყო 1963 წელს. ჩემი ეს ნაბიჯი მეხის გავარდნასავით აღიქვეს მაშინ გალის საზოგადოების გარკვეულ წრეში. იმავე წელს თბილისში გადმოვედი საცხოვრებლად".

**ის. მე-12 გვ.**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"!

სიტყვა შემოქმედზე

# მწერლის დიდი გამარჯვება

(მეხუთე გვერდიდან)

ქალბატონი ციალა 17 წლის განმავლობაში მუშაობდა ჟურნალ „ცისკარში“. მისივე სიტყვებით, განსაკუთრებით საინტერესო იყო 70-იანი წლები, როცა ჟურნალში შეიძლებოდა „გაპარულიყო“ ანტისაბჭოური ნაწარმოებები. ცნობილია, რომ სწორედ იმ წლებში, ბატონ ჯანსუღ ჩარკვიანის რედაქტორობის დროს, დაიბეჭდა ჭაბუა ამირეჯიბის „დათა თუთაშხია“, გურამ ფანჯიკიძის „თვალი პატიოსანი“, ნოდარ წულეისკირის, გივი მაღულარიას, რეზო ჭეიშვილის მოთხრობები, რეზო ჯაფარიძის, აკაკი ბაქრაძის და სხვათა მძაფრი წერილები. იმხანად ჟურნალ „ცისკარში“ პასუხისმგებელ მდივნად მუშაობდა 48 წელს რეპრესირებული ოტია პაჭკორია, რომელიც ნათელი მაგალითი იყო იმისა, თუ როგორ ისჯებოდნენ ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ადამიანები. რედაქციაში ზოგჯერ მოდიოდნენ ყოფილი პოლიტპატიმრები, რომლებიც საბჭოთა გულაგებიდან სულიერად გაუტეხელი დაბრუნდნენ. მათ შორის იყო მწერალი გივი მაღულარიაც. იმ დროს კომუნისტური რეჟიმის წინააღმდეგ მუდმივად მიმდინარეობდა ფარული ბრძოლა. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი ამაო ჩანდა.

დაგროვილი ტკივილებისა თუ ემოციების გამოხატვა ახალგაზრდა შემოქმედმა მწერლობაში მოახერხა.

70-იანი წლების ბოლოს გამოვიდა ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას მიერ არალეგალურად გამოცემული ჟურნალები — „ოქროს საწმისი“, „მოამბე“, რომლის ერთ-ერთი გამავრცელებელი ქალბატონი ციალაც იყო.

ყველასათვის ცნობილია, რომ 1978 წლის 14 აპრილი „ეროვნული მოძრაობის აზვირთების პრელუდიაა“. მწერლის თქმით: „14 აპრილმა ბევრ უიმედო, ხელჩაქნეულ ადამიანს ოპტიმიზმი და საკუთარი ძალებისადმი რწმენა გაუღვივა. მათ შორის, მეც ვირწმუნე, რომ შესაძლებელია, საბჭოთა ხელისუფლებას, ამ ერთი შეხედვით უძლეველ მონსტრს, — მოუგო, თუნდაც ერთ ეპიზოდურ და, რაც მთავარია, მშვიდობიან ბრძოლაში“.

უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ 14 აპრილის წყალობით შესხმია ფრთა მის ორ რომანს — „იათნანელი ამორძალები“ და „ჟამი მოვალს!“

„14 აპრილის შემდეგ, — იგონებს მწერალი, — ვისაც ეროვნულ პრობლემებზე გული შეგვტკიოდა, საგრძნობლად გავაქტიურდით, კერძოდ, აფხაზეთთან დაკავშირებით... 1980 წელს სოხუმში — პირველად მთელს აფხაზეთში, დაიგეგმა მიტინგის ჩატარება. მართალია, მიტინგი ჩაგვეშალა, — თბილისიდან ჩასულები უფრო მეტნი აღმოვჩნდით დამხვდურებზე, მაგრამ იმ ღონისძიებას უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია. შემდეგ კი, როცა „ВАК“-ის დადგენილების წინააღმდეგ ხელმოწერებს ვაგროვებდით, უკვე ბევრი გვიწერდა ხელს“.

1982 წელს, როდესაც სეპარატისტული მოძრაობა ძალას იკრებდა, ქალბატონი ციალა პირადი სურვილით სოხუმში გადავიდა საცხოვრებლად და მხატვრულ-პუბლიცისტურ ალმანახ „რიწაში“ დაიწყო მუშაობა. იქ მყოფი ქართველები, — ვოვა ვეკუა, ნუგზარ მგალობლიშვილი, თემურ ლორთქიფანიძე, თემურ მჟავია ციალა არდაშელიასთან ერთად არალეგალურად მუშაობდნენ და ცდილობდნენ ხალხში ეროვნული შეგნების გაღვიძებას. სამწელიწადნახევარი მუშაობდა მწერალი სოხუმში და „იმ პერიოდში მუდმივად ვგრძნობდი, როგორ დამდევდა КГБ და ჩემს ყველა ნაბიჯს აკონტროლებდა. როდესაც სოხუმში ზვიად გამსახურდია ჩამოდიოდა, ჩემზე ყურადღება ძლიერდებოდა“... — იგონებს მწერალი.

1987 წლის 31 ოქტომბერს, გია ჭანტურიას თაოსნობით, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება შეიქმნა, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი და გამგეობის წევრი ციალა არდაშელიაცაა. ზურაბ ჭავჭავაძის გარდაცვალების შემდეგ მწერალი ამ საზოგადოებას ტოვებს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ რატომღაც ილია ჭავჭავაძის საზოგადოებაში დარჩენილმა გარკვეულმა ნაწილმა ქალბატონი ციალა და ამ ორგანიზაციის რამდენიმე ყოფილი წევრი გარიცხულად გამოაცხადა. ამ განცხადებას მწერალმა 1994 წლის აპრილის „ლიტერატურულ საქართველოში“ სათანადო პასუხი გასცა.

იმ უმძიმეს წლებს კი, როდესაც ეროვნული მოძრაობა გაიხლიჩა, ქალბატონი ციალა ასე აფასებს:

„საზოგადოების შექმნიდან რამდენიმე თვის შემდეგ რადიკალურად და ლიბერალურად განწყობილთა შორის უთანხმოება მოხდა, რის გამოც 1988 წელს „ილია ჭავჭავაძის საზოგადოება“ ორ ნაწილად გაიყო. მას გამოეყო ჯგუფი „მეოთხე დასი“. მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება გახლეჩილი იყო, 1988 წელს მაინც ერთად დავდექით. შევძელით პირადი წყენის დავიწყება. ამ წელს, 26 მაისს, პირველად აღინიშნა საქართველოს დამოუკიდებლობის დღე. გარკვეული პერიოდის შემდეგ „მეოთხედასელებს“ შორისაც მოხდა განხეთქილება, რასაც ისევ ახალი პარტიებისა და დაჯგუფებების შექმნა მოჰყვა. აღმოჩნდა, რომ ზოგიერთისთვის ეროვნული პლატფორმა არ იყო მთავარი. მათში პიროვნულმა ამბიციებმა იჩინა თავი, ეროვნულმა იდეოლოგიამ კი თითქოს უკანა პლანზე გადაინაცვლა. ბოლოს მათი დაპირისპირება ურთიერთშეუწყნარებლობაში გადაიზარდა, რაც საბოლოო ჯამში სამოქალაქო ომის გაღვივების ერთ-ერთ მიზეზად იქცა. გამსახურდიამ თავისი შეურიგებელი, კატეგორიული დამოკიდებულებით სწორედ ის ხალხი გადაიმტერა, ვისაც მის გვერდით დგომა უნდოდა. ამას, რა თქმა უნდა, „მესამე ძალაც“ უწყობდა ხელს“...

ბოლო ათეული წლის განმავლობაში მწერლის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი პუბლიცისტიკამ დაიჭირა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან თავად ეს ჟანრი იძლევა საშუალებას ყოველდღიურ ცხოვრებისეულ მანკიერებას სათანადო პასუხი გაეცეს. თავის ერთ-ერთ ინტერვიუში მწერალი აღნიშნავს:

„ღმერთმა იცოდეს, პიროვნულად არავის მიმართ არა მქონია ძრახვის და წყენინების სურვილი, ზოგ მათგანს, ვისზეც წერილი დამიწერია ანდა კრიტიკულად მომიხსენიებია — პირადად არც ვიცნობ. მაგრამ ჩემთვის მუდამ უმთავრესი იყო და არის — პირუთვნელობა, ერთგულად მსახურება ქვეყნის დამოუკიდებლობის და თავისუფლების იდეისა, ანუ ილიას თქმით, იმ მრწამსისა, როცა ჩვენ ჩვენი თავი ჩვენადვე უნდა „გვეყუდნოდეს“.

ქალბატონი ციალა ილია ჭავჭავაძის ეროვნულ-დემოკრატიული იდეების მიმდევარია და მისივე თქმით, ასეთად დარჩება სიცოცხლის ბოლომდე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ციალა არდაშელიას პუბლიკაციები ისეთი სიმძაფრითა და აქტუალობით გამოირჩევა, რომ შეუძლებელია მკითხველი გულგრილი დატოვოს. და, რაც მთავარია, ციალა არდაშელიას ამ ნაწერებში არის ის სიმართლე, რაც ესოდენ საჭიროა ჩვენი დღევანდელი საზოგადოებისათვის.

ეკა ჩილაჩავა.







თავგადასავალი

# ცა ფეხად ჩამოდიოდა...

ვაჟაობის ზეიმის დასრულების შემდეგ, მაღაროსკარში ბატონ არმაზ შამანაურს ვთხოვე ბარისახოში გავემგზავრებინე. დღემდე არ ვიცი რატომ და მან ირონიით მითხრა, მე უკვე ვიყავი ბარისახოშიო. გაწბილებულმა თავად ვიზრუნე გამგზავრებაზე. ღამე ქალილოში — მიხეილ ნაყეურის ოჯახში გავათიე, დილით კი ჯარჯი ფხოველმა გამიჩერა მანქანა და ორწყლამდე მიმიყვანა, მერე ფეხით მიმავალს პოლიციის მანქანა წამომეწია...

ხევსურებიც მოვინახულე, მოვიპოვე ინფორმაციები, საღამოს კი ბარისახოს გამგებელს მირზა ჭინჭარაულს შევხვდი... შევთანხმდით, თბილისში წასვლისას მეც წამიყოლებდა, რადგან თბილისი-ბარისახოს რეისი ორშაბათობით არ მუშაობს.

რატომღაც, მირზასაც დავავიწყდი, იგი დილაუთენია, უჩემოდ გამგზავრებულა.

ჩემი გულმხურვალე მასპინძლის თამრიკო არაბულის რჩევის მიუხედავად, ბარისახოდან ფეხით, მარტოდმარტო დავადექი გზას იმ იმედით, რომ რაიმე წამომეწეოდა და მაღაროსკარამდე მაინც მივაღწევდი.

ასე უფრო იმიტომ გადავწყვიტე, რომ ამ დღეს რედაქციაში მორიგე ვიყავი, მისი გაცდენა კი არ შეიძლებოდა.

კილომეტრამდე მაინც მოვილიე და... წვიმაც წამოვიდა. არც ქოლგა მაქვს, არც ლაბადა, ცელოფანის პარკიც კი არა მაქვს, რომ თავზე მაინც ჩამოვიფარო, უკან დაბრუნებაც ძნელია...

ცა ფეხად ჩამოდის. წვიმის წყალი ღვარებად ეშვება ხევებიდან. ერთგან ფეხსაცმელს ვიხდი და ისე მივტოპავ წყლის მღვრიე და აბობოქრებულ ნაკადში, მერე და მერე ცა ისეთ შეთქმულებას მიწყობს, ღვარცოფებად აქცევს ყველაფერს.

ყოველი ფეხის გადადგმაზე ღვარცოფია, ერთგან ხიფათს სასწაულად გადავურჩი, ლამის არაგვში ჩამიტანა. არაგვი კი ვეშაპს დამსგავსებია ისეთი გავეშებული და ბუმბერაზი არასდროს მინახავს, როგორც იმ დღეს... იქვე ახლოს ხის ჯოხს ვპოულობ, მას ვეყრდნობი და მივღერღეტობ ულევ გზაზე...

ცა უფრო და უფრო იღუშება, ხილვადობას აძნელებს: მგონია ღამდება, ნუთუ ასე მალე ღამდება?.. ვფიქრობ ჩემთვის...

არაგვის ხეობას შემორტყმული მთები უფრო ახლოს მოდიან... ვიძაბები. ხან „მგელი“ მეჩვენება, ხან „დათვი“. და ისეთ სასოწარკვეთილებაში ვვარდები, ვნანობ, ძალიან ვნანობ, ასე რატომ გავიმეტე თავი... „რაც მოგივა დავითაო“... უთქვამთ.

მანქანისა კი არა, მეხორციელის ჭაჭანებაც კი არსად ჩანს... ადამიანის დანახვა საოცნებო გამიხდა.

ერთგან ნახირი გამოჩნდა, მასაც ძაღლები იცავენ. მერე შორს, მწყემსი შევნიშნე, შორიდანვე ვეძახი, რომ ძაღლებისგან დამიცვას, ისიც მამშვიდებს...

როგორც იქნა ორწყალს მივადექი, ორი არაგვის — ფშავისა და ხევსურეთის შესაყარს. მატყლით დატვირთული მანქანა დავლანდე, მიხარია... მძღოლი გაკვირვებული მიყურებს. ისიც ვიღაცას უცდის...

ისევ მივღერღეტობ უკვე სიარული მიჭირს. კვლავ ვიძაბები, ძლივს ვადგამ ნაბიჯებს, ვნანობ, რატომ ვთქვი უარი საგზლის წამოღებაზე. ჩარგლის გადასახვევამდე კიდევ შორია, ვფიქრობ და უეცრად ერთმანეთის მიყოლებით ორი მანქანა მოჰქრის. ისეთი სანახავი ვარ... ალბათ ამიტომაც არ მიჩერებენ...

წვიმის წყალი ღვარად ჩამომდის, კაბის ბოლო მეხლართება და ფეხებს ძლივს მივათრევ, სიცივისაგან ხელ-ფეხი მეკრუნჩხება, ვნატრობ სითბოს, ღუმელს, მშრალ ტანსაცმელს.

ერთი გრძელი მოსახვევიც მოვლიე და წვიმამაც გადაიღო. ნაწვიმარ არაგვის ჭალებს მზის სხივები ეფინება და ალაგ-ალაგ მეც მეფრქვევა. ტანსაცმელზე უკვე ორთქლი ამდის...

არაგვის პირას ქალს ვხედავ, საქონელი მოუდის. ვეკითხები, მალე იქნება თუ არა ჩარგლის გადასახვევი?.. კიო, და თან ჩემი მისამართით ამბობს. ბეჩაო, ბეჩაოო...

იქვე, მახლობლად, მოსაცდელში ჩამომსხდარ ქალებს და კაცებს ვუახლოვდები, რომლებიც მირჩევენ ვაჟას წყალთან ერთ-ერთ ქოხში შევიდე და ყარაულის ღუმელთან გავშრე, მაგრამ საქონელს გარს უვლიან მეცხვარის ვეება ძაღლები და იქით ველარ მივდივარ...

ხიფათი და განსაცდელი უკან რჩება, მანქანაც რომ აღარ გამოჩნდეს, ქალილომდე და მაღაროსკარამდე მაინც მივაღწევ და მეგობრებთან შევეფარები, გავთბები, გავშრები... მთელი გზა ცეცხლის სითბო მელანდება.

კარგა მანძილი რომ გამოვიარე, მანქანამ ჩამოიქროლა, ხელი დავუქნიე და გამიჩერა. იგი ზემოალვანელი მწყემსი აღმოჩნდა.

ოჰ, ისევ ჩემი ძვირფასი ახმეტა შემომეფეთა...

ვჯდები მანქანაში და ისეთ სითბოს ვგრძნობ, ლამის ჩამეძინოს. მძღოლი ღუმელს რთავს და ვშრები... მე და მწყემსი მძღოლი ჟინვალის დასასრულთან ჩინთთან ვშორდებით. იქვე მწიფე შინდით დახუნძლულ ტოტებს ვიწვდი და მისი ნაყოფით ვსულიერდები.

ახლა თიანეთის მხრიდან ჩამომავალი მანქანა მიჩერებს და ჟინვალთან ცენტრალურ ტრასამდე მივყავარ.

ორი-სამი კილომეტრი ისევ ფეხით ვაგრძელებ გზას. მერე არაგვისპირამდე ისევ მანქანა და... კილომეტრიღა მრჩება დუშეთის ტრასის „ტეკამდე“...

არაქათგამოცლილს აღარ მახსოვს როგორ მიჩერებენ მანქანას პოლიციელები და როგორ მივემგზავრები მაღალჩინოსანი კაცის მეშვეობით თბილისში...

ასეთი ვცხადდები სამორიგეოდ რედაქციაში, თუმცა, ჯერ არავინ იცის ჩემი მშვიდობიანად გადატანილი განსაცდელის ამბავი.

ნახევრად მძინარე, მონდომებით ვკითხულობ გაზეთის სამორიგეო გვერდებს და ასეთი თავგანწირვის მიუხედავად, შეცდომა მაინც მეპარება ჩემს სამორიგეო გვერდში.

ვნანობ ტყუილუბრალოდ გადატანილ განსაცდელს...

იზა ჯაჭვაძე.

მსოფლიო შტრიხებში

## ვისი აგენტი ხარ?

კონტრდაზვერვებისათვის მეტად საჭირო სახელმძღვანელო გამოვიდა ტოკიოში. მასში დაწვრილებით არის აღწერილი, თუ რა ნიშნებით უნდა ამოიცნო საზღვარგარეთელი აგენტი და ისიც, თუ საიდან, რომელი ქვეყნიდანაცაა იგი.

მაგალითად, თუ კაცი, იაპონელად რომ ასაღებს თავს, ფეხსაცმლის თასმებს ჯერ მარჯვენა ფეხზე იკრავს, შემდეგ კი მარცხენაზე, უეჭველად ამერიკელია. ფრანგი, შეიძლება, იმით გამოარჩიო, რომ ის არასოდეს ურევს ჩაის ან ყავას შაქრის მთლიანად გადნობამდე. გერმანელები რესტორანში არ ამრგვალებენ დანახარჯის თანხას, აღმოსავლეთის მცხოვრებნი, შეიძლება გაერთნენ და ქალი წინ არ გაატარონ, სახელმძღვანელოს მიხედვით, ყველაზე მეტი განსხვავებული ნიშანი აღმოაჩნდათ რუსეთელებს. ისინი ვერა და ვერ გადაეჩვივნენ რესტორნებში ხელსაწმენდით დანა-ჩანგლის წმენდას და სიგარეტის ნამწვის საფერფლეზე რაღაც უცნაურად მიჭყლეტვას.

თუმც ერთია გასაკვირი, რა საჭიროა ამდენი განსხვავებული ნიშნებით ტვინის ჭყლეტა, როცა ამომავალი მზის ქვეყნის მაცხოვრებლებს სხვებისაგან ერთი მთავარი განმასხვავებელი ნიშანი აქვთ — თვალის ჭრილი (!).

## „ხელკავი“ – „წელკავად“

თუკი მივიჩნევთ, რომ 8-დოლარიანი ჯარიმა მალაიზიის ქალაქ იპოჰის მოქალაქეებისათვის იოლი გადასახდელი არაა, ის, შეიძლება, ნამდვილად „წელკავს“ გავუტოლოთ, რაც „ხელკავიდან“ იწყება. სწორედ რომ ასეა, ამ ქალაქში, საზოგადოებრივ ადგილებში სასტიკად აკრძალულია არა მარტო ხელკავით, არამედ უბრალოდ ხელხელჩაკიდებული სიარულიც კი.

ვითომდა მორალური სიწმინდის დასაცავად ამ ქალაქში 30 რინგიტით, რაც თითქმის რვა დოლარს უტოლდება, უკვე 30-ზე მეტი წყვილი დააჯარიმეს.

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

## გამოფენა



# ქართული სულის ამონათქვამი

## უფლის მადლით მოსილი ხელოვნების ზეიმი პარიზში

**კიდევ ერთხელ გაიელვა საქართველოს კულტურამ და ცივილიზაციამ პარიზში.**

**გამოფენა, რომელიც კვიპროსში არსებული საქართველოს საპატრიარქოს სასულიერო-კულტურული ცენტრის, კვიპროსის საიუველირო-საოქრომჭედლო ფირმის „ემერალდის“ და საფრანგეთში საქართველოს საელჩოს ეგიდით გაიმართა, უნიკალური და შეუდარებელია, აქ წარმოდგენილი ხელოვნება შთაგონებულია ძირძველი ქართული ხატმწერლობის და ქართული ქრისტიანული ეკლესიის უმდიდრესი ტრადიციებით, რასაც ესოდენ ბრწყინვალედ ესადაგება სიტყვა „სულიერება“. და სწორედ „სულიერება“ აირჩიეს გამოფენის ორგანიზატორებმა გამოფენის სიმბოლურ დასახელებად, რომელმაც პარიზის 16-ე არონდისმანის (რაიონის) მერიაში ერთი კვირის მანძილზე უმასპინძლა დამთვალიერებლებს.**

გოჩა ჩოგოვაძეს, საფრანგეთში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს, რომლის პატრონაჟითაც მიმდინარეობდა იგი, მიაჩნია, რომ „ქართველი ხალხის ქრისტიანული რელიგიისადმი დაუოკებელმა სწრაფვამ, რამაც მეხუთე საუკუნიდანვე საქართველო ურიცხვი ეკლესია-მონასტრით შეამკო, ჩვენს სულიერ წინაპრებს ქვეყნის საზღვრები გაარღვევინა და თვით ბიზანტიის იმპერიაშიც შეაღწევინა. წმიდა წერილის პირველი ქართული თარგმანებიც ხომ ივერთა მონასტერში ათონის მთაზე – ქართველ მამათა ერთ-ერთ უცნობილეს მონასტერში იხვეწებოდა, რომელიც საბერძნეთში ქართული სულიერი კულტურის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნავსაყუდელი გახლდათ. და რაოდენ სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ძირძველი ტრადიციები დღეს ახალ სიცოცხლეს იძენს და საქართველო დღეს ერთმორწმუნე კვიპროსთან ერთად ლამაზ გამოფენას სთავაზობს პარიზს“.

მან უდიდესი მადლიერებით მოიხსენია სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, მისი უწმინდესობა ილია მეორე, რომლის უშუალო ინიციატივით და ლოცვა-კურთხევით რეალობად იქცა ეს შესანიშნავი პროექტი, საქართველოს ელჩმა ულრმესი მადლობა მოახსენა ბატონ პიერ-კრისტიან ტეტენჟერს, პარიზის 16-ე არონდისმანის მერს, ყოფილ მინისტრს, სენატორს და საქართველოს დიდ მეგობარს, რომელმაც ჩვეული გულისხმიერებით დაუჭირა მხარი ამ ღონისძიებას.

გამოფენა უამრავმა პარიზელმა დაათვალიერა. აქ მოვიდნენ პარიზში აკრედიტებული დიპლომატიური კორპუსის თანამშრომლები, ელჩები, სენატორები, დეპუტატები, ქართული დიასპორის წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

გამოფენის ექსპონატები ორიგინალური უძველესი ხატების ასლებია, მათ თამაზ გოზალაშვილის ნიჭმა ახალი სული შთაბერა. სწორედაც რომ უნიკალური რელიკვია ჩამოვიდა კვიპროსიდან: წმინდა ღვთისმშობლის ათამდე ხატი (მოოქროვილი ვერცხლი), მახერას, კიკოს და ფანერომენის მონასტრების რამდენიმე იშვიათი ხატი, ისეთი დიდებული ხატები, როგორიცაა „მოციქული ლუკა“, „წმინდა გიორგი“, „თორმეტი წმინდა მოციქული“, „წმინდა ნიკოლოზი“, „წმინდა იოსებ ისიხასტი“, „ათი წმინდა მამა“ და სხვ., მახერას მონასტრის 800 წლისთავთან დაკავშირებით ჩამოსხმული მედლები (ვერცხლი, ბაჯაღლო ოქრო), უნიკალური ზარდახშა (მოოქროვილი ვერცხლი) და სხვ. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია მახერას მონასტრის მოოქროვილი ვერცხლისგან დამზადებული, ძვირფასი თვლებით შემკული და მარმარილოს სადგამზე დასვენებული დიდი საზეიმო ჯვარი, რომელიც გამოფენის ცენტრალურ ფიგურად მოგვევლინა.

ეს გამოფენა ორი ქრისტიანული ქვეყნის – საქართველოსა და კვიპროსის, მართლმადიდებლური ეკლესიების მეგობრობის სიმბოლოდაც გვესახება.

**ვლადიმერ ზარიძე,**
**„სრ“ საკ. კორ. პარიზი.**

## წარსულის კატაკლიზმები



# მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ დედამიწის განვითარება გიგანტურ მეტეორიტებს შეუცვლია

**ამერიკელმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს იმის მტკიცებულება, რომ 380 მილიონი წლის წინათ ჩვენი პლანეტა შეეჯახა უცნობ კოსმოსურ სხეულს, რის შედეგადაც დაიღუპა ოკეანის ბინადართა 40 პროცენტი.**

როგორც ჟურნალ „საიენსის“ ბოლო ნომერში წერდა ლუიზიანის შტატის უნივერსიტეტის მეცნიერის ბრუქს ელვუდის ხელმძღვანელობით მომუშავე მკვლევართა ჯგუფი, ეს სხეული, შესაძლოა, ყოფილიყო კომეტა ან ასტეროიდი. იგი დედამიწას შეეჯახა იმ ადგილზე, სადაც ამჟამად მდებარეობს საჰარის უდაბნოს მაროკოს ნაწილი.

მეცნიერთა მტკიცებით, აღმოჩენა არის კიდევ ერთი დადასტურება თეორიისა, რომ დედამიწაზე ევოლუციური განვითარება, მნიშვნელოვანწილად, ხდებოდა კოსმოსიდან „მოსულთა“ – კომეტებისა და ასტეროიდების ზემოქმედებით. ამ სხეულებთან დედამიწის შეჯახების შედეგად ზოგი ორგანიზმები იღუპებოდნენ, ზოგიც კი – წარმოიქმნებოდნენ.

როგორც ფიქრობენ, ასეთი კატაკლიზმები კიდევ რამდენჯერმე მოხდა – 251 მილიონი წლის წინათ, 200 მილიონი და 65 მილიონი წლის წინ. 65 მილიონი წლის წინ ასტეროიდის ჩამოვარდნის ადგილი ასევე ცნობილია – მექსიკა, იუკატანის ნახევარკუნძული. მაშინ პლანეტაზე ცოცხალ არსებათა დაახლოებით 75 პროცენტი დაიღუპა, მათ შორის – დინოზავრებიც.

ბრუკს ელვუდის თქმით, ასეთი აღმოჩენა გაკეთდა მაროკოს უდაბნოში დევონის პერიოდის ქვიანი შრეების შესწავლის შედეგად. ნამარხი ნარჩენების შესწავლის გზით შეიძლება გამოვიტანოთ ერთმნიშვნელოვანი დასკვნა – კატასტროფის შედეგად წარმოიქმნა ახალი ორგანიზმები.

## შესყიდვის ობიექტებია:

| | | |
|---|---|---|
| 1. | კომუფლირებული ფორმა | – 1500 კომპლექტი. |
| 2. | კომუფლირებელი კეპი | – 1500 ცალი. |
| 3. | შეთბუნებული კომუფლირებული ფორმა | – 1500 კომპლექტი. |
| 4. | მაღალყელიანი ფეხსაცმელი | – 1500 წყვილი. |
| 5. | ტრუსი და მაისური (უსახელო) | – 4500 ცალი. |
| 6. | მაისური კომუფლირებული (მოკლესახელოებიანი) | – 3000 ცალი. |
| 7. | წინდა ნ/შ | – 4500 წყვილი. |
| 8. | ქუდი თბილი (ნაქსოვი) | – 1500 ცალი. |
| 9. | თეთრეულის კომპლექტი | – 4500 კომპლექტი. |
| 10. | ადიალა ნ/შ | – 1500 ცალი. |
| 11. | ლეიბი | – 1500 ცალი. |
| 12. | ბალიში | – 1500 ცალი. |
| 13. | პირსახოცი (ვაფლის) | – 3000 ცალი. |
| 14. | ცხივრსახოცი | – 3000 ცალი. |
| 15. | საწვიმარი ლაბადა ჯ/შ | – 1500 ცალი |
| 16. | ქამარი შარვლის | – 1500 ცალი. |
| 17. | ქამარი წელის | – 1500 ცალი. |
| 18. | საპონი (თხევადი) | – 1000 კგ. |
| 19. | სარეცხი საშუალება | – 3000 კგ. |
| 20. | ზურგჩანთა | – 1500 ცალი. |
| 21. | ხელთათმანი (ნაქსოვი) | – 1500 წყვილი. |
| 22. | სპეც. ტანსაცმელი | – 1500 ცალი. |
| 23. | კოკარდა საველე | – 1500 ცალი. |
| 24. | ფეხსაცმლის საცხი | – 1500 კგ. |
| 25. | საპარსი მოწყობილობა | – 37500 ცალი. |
| 26. | სვიტრი | – 1500 ცალი. |
| 27. | სპორტული ფორმა | – 1500 კომპლექტი. |
| 28. | სპორტული ფეხსაცმელი | – 1500 წყვილი. |
| 29. | კბილის ჯაგრისი | – 1500 ცალი. |
| 30. | ტანსაცმლის ჯაგრისი | – 1500 ცალი. |
| 31. | ფეხსაცმლის ჯაგრისი | – 1500 ცალი. |
| 32. | თმის საკრეჭი მანქანა | – 75 ცალი. |
| 33. | საჯარისო საწოლი | – 1000 ცალი. |
| 34. | საჯარისო ტუმბა | – 500 ცალი. |
| 35. | საჯარისო ტაბურეტი | – 814 ცალი. |
| 36. | სკამი ნ/რბილი | – 800 ცალი. |
| 37. | საწერი მაგიდა ერთტუმბიანი | – 80 ცალი; |
| 38. | კარადა | – 40 ცალი. |
| 39. | მაგიდა (240X70) | – 75 ცალი. |

# განცხადება

## საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აცხადებს ღია ხელახალ ტენდერს სანივთე ქონების და საყაზარმე ინვენტარის შესყიდვაზე

ტენდერში მონაწილეობას მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირს.

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2003 წლის განმავლობაში შემსყიდველის მიერ ყოველთვიურად წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, DDP პირობით თავდაცვის სამინისტროს რეგიონალურ ბაზებში, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მისამართებზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სატენდერო კომისიას „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის შესაბამისად საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოუდგინონ ქართულ ენაზე (უცხო ქვეყნის მონაწილეების მიერ საკვალიფიკაციო მონაცემები წარმოდგენილ უნდა იქნეს ინგლისურ ენაზე, რომელსაც აუცილებლად უნდა ახლდეს ქართულ ენაზე თარგმანი) შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, 0177, უნივერსიტეტის ქ. № 2 ა, თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამეურნეო სამმართველო, ოთახი № 609, **15 ივლისიდან 17 ივლისის 16 საათამდე.**

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

**იურიდიული პირებისათვის:**

- ცნობას ნოტარიუსთა პალატიდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა (უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან).
- ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების ან სანაციის საქმის წარმოება, არ მიმდინარეობს მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია (უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);
- ცნობას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ ტენდერში მონაწილეობის მსურველი იურიდიული პირის ხელმძღვანელები უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ არიან ნასამართლევი ან შესყიდვის დაწყების მომენტისათვის მათ მიმართ არ არის აღძრული სისხლის სამართლის საქმე მათ სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით (უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ – შესაბამისი ქვეყნის სახელმწიფო ორგანოდან);

**ფიზიკური პირებისათვის:**

- ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი ლიცენზირებული სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ იგი ქმედითუნარიანია.
- ცნობა შინაგან საქმეთა სამინისტროდან, რომ უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში არ იყო მსჯავრდებული და შესყიდვის მომენტში მის მიმართ არ მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე ეკონომიკურ და სამსახურებრივ საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულისათვის.
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება.

საკვალიფიკაციო შერჩევა მოხდება წარმოდგენილი დოკუმენტაციის ზემოთ ჩამოთვლილ კრიტერიუმებთან შედარების საფუძველზე.

ტენდერში მონაწილეობის მსურველი პირი გაივლის საკვალიფიკაციო შერჩევას, დასახელებული იქნება პრეტენდენტად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმოადგენს ზემოთ ჩამოთვლილ ყველა საკვალიფიკაციო დოკუმენტს და ისინი არ აღმოჩნდება ყალბი.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე პრეტენდენტებს გადაეცემათ მათ მიერ სატენდერო მოსაკრებლის (ხუთასი ლარი) გადახდის შემდეგ, **23 ივლისიდან 25 ივლისის 16 საათამდე** შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2ა, თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამეურნეო სამმართველო, ოთახი №609.

პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები შესაძლებლია შეიცავდეს შესყიდვის ყველა ობიექტს ან ცალკეულ ობიექტებს. შეფასება მოხდება ობიექტების მიხედვით.

ტენდერში შესაძლებელია რამდენიმე გამარჯვებულის გამოვლენა.

**დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირებს – ნუგზარ ღონიაშვილს ან ზაიოზ მენთეშაშვილს (ქ. თბილისი, უნივერსიტეტის ქ. № 2ა, თავდაცვის სამინისტროს მთავარი სამეურნეო სამმართველო, ოთახი №610, №609).**

გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“!

საქართველოს რესპუბლიკა
№ 170, ორშაბათი, 30 ივნისი, 2003 წელი.

## ორშაბათი
### 30 ივნისი

07.30 ალიონი 09.45 მულტსერიალი "ჯაშუშები" 10.15 მხ. ფილმი "**მე შენ გკარგავ**" 12.00, 15.00, 20.00 მოამბე 12.15 ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" 13.00 დოკ. სერიალი "მონანიებულნი" 13.55 ოქროს მართვე 14.25 დოკ.სერიალი "ტყის მცველები" 15.15 მხ. ფილმი "**დოყლაპია**" 17.00 ტელესერიალი "**ძილის წინ**" 17.15 რამპა 17.20 50–50 18.00 ვესტნიკი 18.20 დოკ. სერიალი "აფრიკის ბუნება" 18.30 ბასტი-ბუბუ 18.50 მრავალჟამიერ 19.20 ტელეთამაში "იმღერე რამე" 20.55 ტელესერიალი "**ეშმაკუნა**" 21.45 დოკ. სერიალი "სტუმრად მსახიობთა სტუდიაში" 22.40 ტელესერიალი "**ძილის წინ**" 23.00 "რა ხდება?" 00.00 მხ. ფილმი "**ჯეინ ეირი**".

19.00, 22.00 "მოამბე" მეორე არხზე 19.10 მულტფილმი 19.30 სერიალი "**რეაფეხა**" 20.30 ვმესტე 21.00 ჯანმრთელობა 21.30 მოგზაურობა სასიტყვეთში 22.10 მხ. ფილმი "**არხების გადართვისას**".

07.00 დილა მშვიდობისა 07.30 სერიალი "ლეიტენანტ მარშის კოსმიური მაშველები" 09.40 სერიალი "**ასულ ტეკილა**" 10.20 2003 წლის უიმბილდონის ყოველდღიური მიმოხილვა 11.10 სერიალი "**მეწამული ყვავილი**" 12.00, 15.00 კურიერი 12.15 სერიალი "**დატყვევებული გულები**" 13.30 მხ. ფილმი 15.20 მხ. ფილმი 17.20 სერიალი "**ასულ ტეკილა**" 18.00, 21.00, 04.00 კურიერი 18.15 ჩვენი ეზო 18.25 დოკ. ფილმი 18.50 სერიალი "**მაშველები**" 19.40 სერიალი "**დატყვევებული გულები**" 22.00 სერიალი "**ჯაშუში**" 22.50 ღამის კურიერი 00.20 სერიალი "**სექსი დიდ ქალაქში**" 01.00 2003 წლის უიმბილდონის ყოველდღიური მიმოხილვა 02.00 მხ. ფილმი "**რემბო 3**". მთ. რ-ში: სილვესტერ სტალონე. 04.10 კლასიკა

08.00 ანონსი, მულტფილმი 08.15 აღსავალი 08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 19.30, 23.30, 01.05 მუსიკა 08.30 მხ.ფ. "**სკუბი დუ**" 10.20 მხ.ფ. "**ბინძური პატარა საიდუმლო**" 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 22.45 ახალი ამბები 13.10, 18.00 დოკ. ფილმი 14.10 დოკუმენტური ფილმი 17.30 დოკ. სერიალი 20.00 ბურთი და მოედანი 20.30 მხ.ფ. "**როკის მეფეები**" 22.15, 23.00 დიალოგი 23.45 მხ.ფ. "**საუკუნოდ ჩემი**" 01.30 ღამის ფილმი

09.00, 10.55, 13.55, 15.55, 17.55, 20.55 ქრონიკა 09.05, 13.15, 17.20, 01.50 იმედის მელოდიები 09.30 სერიალი "**იუდას ქალი**" 66-ე ს. 10.30 ლარის მახე 11.05 სერიალი "**შტოკინგერი**" 12.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ქრონიკა 12.10 სერიალი "**გრაფი მონტე-კრისტო**" მე-8 ს. 13.30 სერიალი "**უკიდურესი ზღვარი**" 14.05 სერიალი "**მკვლელობის ილუზია**" მე-2 ს. 15.15 ფანების კინოკლუბი "**ფრთხილად, ლა ტურ**" 17.30 X-კლუზივი 18.05 სერიალი "**იუდას ქალი**" 19.30 სერიალი "**ფორტ საგანი**" 1-ლი ს. 20.30 სპორტ. პროგრამა "გოლი" 21.05 სერიალი "**მკვლელობის ილუზია**" მე-3 ს. 23.00 სერიალი "**ეროვნული უშიშროების აგენტი**" 23.55 კინო-ნოსტალგია "**ეს თუ სიყვარულია**"

09.00 საინფ. გამოშვება "მზერა" (გან) 10.00 სერიალი "**მარია ემილია**" 11.00, 12.00, 13.00, 14.00, 15.00, 16.00, 17.00, 18.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 11.10 დღის კინოდარბაზი 18.30 მულტსერიალი "პრინცესა შეჰერეზადა" 19.00 სერიალი "**მარია ემილია**" 20.00 საინფ. გამოშვება "მზერა" 20.45 მხ. ფილმი "**სახლი გზის პირას**" 22.45 საინფ. გამოშვება "ღამის მზერა" 23.45 მხ. ფილმი "**ცხრანახევარი კვირა**"

12.00 ინდური მხ. ფილმი "**გამოსავალი სიყვარულშია**" 15.00 მხ. ფილმი "**საცდელი დღე**" 17.00, 19.00, 20.30, 00.00 საინფორმაციო პროგრამა "დღეს" 17.15 მხ. ფილმი "**ჯუმანჯი**" 19.20 სპექტრი 21.00 მხ. ფილმი "**თავში უქრის**" 22.30 მხ. ფილმი "**დრაკონის კოცნა**"

10.30 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 12.00 "ვარსკვლავები გვამცნობენ" 13.00 საბავშვო მუსიკალური კოლაჟი 14.00 მხ. ფილმი 15.00, 21.00 ვესტი 15.30 ფილმის გაგრძელება 18.00 ჩვენ ვსწავლობთ კომპიუტერს, რუსული ენის გაკვეთილი, ინგლისური ენის გაკვეთილი 19.30 ექსტრაორდინალური 20.30 მუსიკალური პაუზა 21.30 ტალანტები და თაყვანისმცემლები 22.30 პირველი ნაბიჯები 23.00 ინდური მხ. ფილმი "**ლტოლვილები**"

08.00 მუსიკა 09.00 ტოროლა 12.00 ფილმი 14.00 მუსიკა 16.00 ფილმი "**კარგი ბიჭი**" მთ. რ-ში სტივ მარტინი, ედი მერფი. 18.00, 19.15 ქართული მუსიკა 19.00, 20.00, 21.00, 22.00 ინფორმატორი 19.30, 20.15 ვიდეორადიო 20.50 ათი ლექსი 21.15 უცხოური მუსათეული 22.35 პაპარაცი 23.00 აბა გამოიცანი კადრი 00.00 "ბრავო" "**ნარკობარონი**" მთ.რ-ში რეი ლიოტა. 01.40 "ღამურა" "**გაქცეული მატარებელი**" მთ.რ-ში ჯონ ვოიტი, ერიკ რობერთსი. 03.45 პაუზის გარეშე

